ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

! 2 @ ltrtv,thb7 @)!@

1286 (5976)

afcb5 #) stshb

3 დეკემბრიდან!
3ფ[ფკბ სფჯ,ფ4 +
წმინდანთა ცხოვრება
% კფჰბ
6ჯ3ბ @

# გენაძის დაჭერას მერაბიშვილი შარშან აპირებდა?



გვ.3

ლევან ბერძენიშვილი: „კახა გეწაძე 7 ნოემბრის დარბევაში უშუალოდ მონაწილეობდა“

## პეტრე მამრაძე: ადეიშვილს, მერაბიშვილს, უგულავას უვადო პატიმრობა ემუქრებათ“



გვ.4

## ნაციონალების მთავარი საქმე უცხოეთში სიარულია



გვ.6

## აკაკი ასათიანი: საქართველოს კრიზისი არ ემუქრება“

გვ.2

ნაციონალები თავისი ქმედებით ხალხის რისხვას დაიმსახურებენ





გვ.3

## რა ემუქრება თბილისს უგულავას დაჭერის შემთხვევაში

## რატომ დალის საააკაშვილი ამერიკისგერბიანი და დროშიანი ქურთუკით



გვ.3

## გამოკითხულთა 63,4% ვარდების რევოლუციის მოედნისთვის“ სახელწოდების შეცვლის მომხრეა



საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესის“ მიერ მიმდინარე წლის 23 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე საანალიზო პერიოდში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, „ვარდების რევოლუციის მოედნისთვის“ სახელწოდების შეცვლას გამოკითხვაში მონაწილეთა 63,4% ემხრობა.

კითხვაზე, „თქვენი აზით, უნდა შეეცვალოს თუ არა „ვარდების რევოლუციის“ მოედანს სახელწოდება“, გამოკითხვის მონაწილეთა 63,4%-მა დადებითი პასუხი გასცა, 34,1% კი მოედნისთვის სახელის შეცვლის წინააღმდეგია.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა გამოკითხვაში მონაწილე პირთა 2,5 პროცენტს გაუჭირდა.

ნიუსპრესი

## სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მონიტორინგი განხორციელდება



გვ.9

## მარიკა ლორთქიფანიძე: ტყუილად არ მიშრომია!

გვ.7

28 ნოემბრიდან!
3ფ[ფკბ სფჯ,ფ4
+
3ფჰბფ რფკფცბ
* კფჰბ



ნონა ცაბაძე

# აკაკი ასათიანი: საქართველოს კრიზისი არ ემუქრება“

## ნაციონალები თავისი ქმედებით ხალხის რისხვას დაიმსახურებენ

**ინტერვიუ ტრადიციონალისტთა ლიდერ აკაკი ასათიანთან**

***— ბატონო აკაკი, შევაფასოთ ქვეყანაში ბოლო პერიოდის პროცესები. მოდით, ჩვენი საუბარი დასავლეთის პოზიციის შეფასებით დავიწყოთ. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა მიუღებელი დასავლეთისთვის საქართველოს ახალი ხელისუფლების პოლიტიკა?***

— ეს ცოტა რთული საკითხია და დიდ ჩაღრმავებას საჭიროებს, თუმცა, მარტივად რომ გითხრათ, ასეა, გარკვეულწილად, არის ვალდებულებაც, ნაციონალები მოითხოვენ მათგან, ჩვენ ხომ დაგეთანხმეთ, დავთმეთ ხელისუფლება დემოკრატიული გზით, გადავაბარეთ მშვიდობიანად და ახლა კეთილი ინებეთ და დაგვიცავითო. ეს ალბათ ყველაზე ლამაზი ნათქვამია. ძირითადად მაინც, რადგან ნათქვამი ჰქონდა დასავლეთს, რომ ის ხელისუფლება იყო დემოკრატი, მათი გადასახედიდან პროგრესული იყო, ისინი ასე მარტივად აღარ ცვლიან პოზიციას. ისინი ასე პირდაპირ არ ამბობენ ხოლმე, მაგრამ ითხოვენ ერთგვარი თამაშის წესების განსაზღვრას. ასეთი მაგალითებიც ვიცით ჩვენ.

***— ამ თამაშის წესებში რა იგულისხმება?***

— მაგალითისთვის ნიკარაგუას მოვიყვან, შეერთებული შტატებისთვის სრულიად მიუღებელი რეჟიმი იყო. არჩევნებში დამარცხდა, ცნო ეს დამარცხება. მას დაუტოვეს ქონება და შემდეგ არჩევნებში გამარჯვების შანსიც მისცეს და გაიმარჯვა კიდეც. ნიკარაგუაში დღესაც ის გახლავთ ხელისუფალი, ანუ რაღაც თამაშის წესების დაცვას ითხოვენ იმ ფარგლებში და იქ თვალი უნდა დაიხუჭოს სამართალდარღვევებზე. შეიძლება ფაქტები არსებობდა, მაგრამ ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე, ვთქვათ, საერთო პოლიტიკური კურსის განხორციელებას. ამას ასე არავინ ამბობს და არ იტყვის, ცხადია, ამიტომ რეაგირებენ, ხომ არ არის პოლიტიკური ნიშნით დევნა, რომ პროცესი გამჭვირვალე იყოს. არადა, ჩვენ აქ ვცხოვრობთ და ვხედავთ, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით რაიმე უკანონობას ადგილი არ ჰქონია. საზოგადოებაში ძალიან დიდი მოთხოვნა იყო, სამწუხაროდ, თავიდან ნაციონალებმა ის მოახერხეს, რომ დღეს ყველას მკაცრად მოჰკითხვოდა პასუხი. ამიტომაც წააგეს მათ ეს არჩევნები, რომ ხალხში იყო სამართლიანობის აღდგენის ძალიან დიდი სურვილი, რომ დღეს მოჰკითხვოდა ყველას პასუხი. თვითონ ის პროცესი, რაც ახლა ჩვენთან ხდება, ხალხის მოლოდინების პასუხია, თუმცა რაღაც კომპრომისამდე მისვლის აუცილებლობა დადგება.

***— ფიქრობთ, რომ ახალ ხელისუფლებას კომპრომისზე წასვლა მოუწევს?***

— არ ვიცი, სიმართლე რომ გითხრათ. ძნელია ვარაუდებით საუბარი, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს დღევანდელი ხელისუფლება. ყოველ შემთხვევაში, ის, რაც დღეს ხდება, თავისთავად ყველაფერი ლოგიკურია. საზოგადოების მოთხოვნაა და დაკვეთაა სამართლიანობის აღდგენა. საზოგადოება მოითხოვს გაირკვეს, ვინ რა ჩაიდინა და რა მოხდა სინამდვილეში. ეს კითხვის ნიშნები დამოკლეს მახვილივით კიდია ქვეყნის თავზე.

***— თუმცა უკვე ისმის უკმაყოფილო განცხადებები საზოგადოების მხრიდან, რომ დამნაშავეებს პროკურატურა გაუგებარი ბრალდებით აპატიმრებს და ძირითადად მსუბუქ დანაშაულებზე ხდება აპელირება. თქვენი პოზიცია როგორია ამ შემთხვევაში?***

— მე ვფიქრობ, რომ რა მტკიცებულებებიც არსებობს, იმის მიხედვით ისჯებიან ადამიანები. ყველაფერს თავისი პროცედურა აქვს. მოდით, იმასაც ნუ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა ბევრი რამ გაზვიადებულიც იყო. როდესაც ხელისუფლება აშავებს, ხანდახან პატარა შეცდომა უფრო იბერება ხოლმე, ვიდრე სერიოზული დანაშაული.

***— ასევე კრიტიკაა იმასთან დაკავშირებითაც, რომ ჯერჯერობით მხოლოდ დაჭერები მიმდინარეობს და ახალ ხელისუფლებას მეტი არაფერი გაუკეთებია. ამაზე რას ფიქრობთ?***

— ასეთი განცხადებები მეც მოვისმინე და ალბათ ხელისუფლებამ უკვე უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები, მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეალურად ერთი თვეც არ არის, რაც ხელისუფლებამ მუშაობა დაიწყო. ჯერ კიდევ დაკომპლექტების პროცესი მიმდინარეობს, ჯერ მოადგილეებიც არ არიან დაკომპლექტებული, დეპარტამენტები, სამმართველოს უფროსები, ქვედა რგოლები. ეს სერიოზული პრობლემაა.



***— უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტიც, რომ დანაშაულის რიცხვმაც იმატა და ამას თავად შინაგან საქმეთა მინისტრიც აღიარებს.***

— ასეთ დროს ეს ხდება, ყველა ცვლილებას მოსდევს მსგავსი რამ. ეს არის ცუდი რეაქცია მოვლენებზე. არა მგონია, რომ ჩვენ გავხდეთ მოწმენი დანაშაულის აყვავებისა და კრიმინალის თარეშის. ასე ნამდვილად არ იქნება.

***— ზამთარი დადგა და დღეს ერთ-ერთი აქტუალური თემა ტარიფების საკითხია. მოლოდინი ძალიან დიდი იყო, თუმცა ხელისუფლებამ დანაპირები უკან წაიღო და საზოგადოება იმედგაცრუებული დატოვა.***

— გეთანხმებით, მოლოდინი დიდი იყო. მე დეტალები არ ვიცი, ალბათ თავად იტყვიან, თუ რა და როგორ არის. მეც მგონია, რომ საგრძნობლად შეიძლებოდა შემცირება. თუმცა ასე დეტალებში ჩახედული არა ვარ. რამდენადაც ვიცი და რაზეც გამახვილდა ყურადღება, არის ისეთი ტიპის ხელშეკრულებები, რომ მათი დარღვევა პრობლემების ჯაჭვს გამოიწვევს. ამას მუშაობა უნდა და, როგორც ვიცი, მუშაობენ. პრემიერი მუშაობს აქტიურად და ენერგეტიკის მინისტრიც ჩართულია. თანდათანობით გაირკვევა, თუ რისი გაკეთებაა შესაძლებელი. მოლოდინი ძალიან მაღალი იყო, ეს მართალია და მთელი ძალისხმევა ამ პრობლემების გადაწყვეტას უნდა მოხმარდეს. ძალიან ბევრი პრობლემის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა. წინა ხელისუფლება იმედებს ამყარებდა საზოგადოებაში, რომ ყველაფერი კარგად იყო, თუმცა ასე არ ყოფილა და რომ გამოფხიზლდები და სინამდვილეს გადააწყდები, დაინახავ, რომ არცთუ ისე კარგად ყოფილა საქმე.

***— ბატონო აკაკი, როგორ ფიქრობთ, კრიზისისკენ ხომ არ მივდივართ?***

— არა, ჯერჯერობით ასე არ ვფიქრობ, მაგრამ, ვიმეორებ, არის რამდენიმე მიმართულება, სადაც ახალმა ხელისუფლებამ სერიოზული გარღვევები უნდა გააკეთოს და, ვიმედოვნებ, რომ ამას მოახერხებენ.

***— რაც შეეხება ხელისუფლების საგარეო კურსს, ბევრისთვის მაინც კითხვის ნიშნები რჩება, თუ რა კურსი აირჩია ჩვენმა ახალმა ხელისუფლებამ. თქვენ რა მესიჯებს კითხულობთ იგივე რუსეთთან მიმართებით ან თუნდაც დასავლეთთან?***

— მე მგონი, დასავლეთისკენ აღებული კურსი არც შეცვლილა, საუბარია ნატოში ინტეგრაციაზე, შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობა, ავღანეთში ჯარს ტოვებს. მე არა მგონია, დასავლეთს ჰქონდეს საფუძველი, რომ რაიმე საყვედური გამოთქვას ამ კუთხით. შეიძლება, ისინი ვალს იხდიან ნაციონალების წინაშე, შეიძლება, დასაბალანსებლად სჭირდებათ, ვერ გეტყვით, მაგრამ პრეტენზიას დასავლეთი ვერ წაუყენებს საქართველოს ხელისუფლებას. დასავლეთისკენ აღებული კურსი არ შეცვლილა. ცოტა სხვა სიტუაციაა რუსეთთან ურთიერთობებში.

***— გაკეთდა განცხადება რუსეთის მხრიდან, რომ ისინი მზად არიან თანამშრომლობისათვის.***

— ყოველ შემთხვევაში, რუსეთთან იმ სუბიექტურმა პრობლემამ, რომელიც სააკაშვილის დროს მიმდინარეობდა, უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობები, უამრავი პრობლემაა და ასე უცებ ყველაფრის გადაწყვეტა ძალიან რთულია, მაგრამ სუბიექტური პრობლემა ივანიშვილმა მოხსნა. ყოვლად გაუაზრებელი და, რაც მთავარია, უნაყოფო რიტორიკა რუსეთის მიმართ შეწყვეტილია. მე ვფიქრობ, რაღაცა დოზით რუსეთიც ამას ითვალისწინებს. ასევე ძალიან სწორი ნაბიჯი იყო წარმომადგენლის შემოღება და ბატონი ზურაბ აბაშიძის დანიშვნა წარმომადგენლად. კარგია, რომ პაატა ზაქარეიშვილია მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში. ასე უცებ დიდ შედეგებს ალბათ არავინ ელოდა, თუმცა რაღაცა ნაწილი პრობლემებისა ნელ-ნელა გვარდება. ბატონი ზურაბ აბაშიძის დანიშვნაც მათი მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული. რაღაც სიმპტომები იმისა, რომ ვითარების გაუმჯობესების გზები არსებობს. დანარჩენი ვნახოთ.

***— აშკარაა, რომ ნაციონალური მოძრაობა ჩვეულ ამპლუაშია. თქვენი აზრით, რამდენად გამოუვათ მათ, რომ სერიოზული პრობლემები შეუქმნან ახალ ხელისუფლებას?***

— მე მგონი, ეს არ გამოუვათ, სერიოზულ პრობლემებს ხელისუფლებას ვერ შეუქმნიან და სულ ტყუილად აღიზიანებენ მოსახლეობას. დღევანდელ ხელისუფლებაზე როგორ მოქმედებს ეს, ვერ გეტყვით. მე ვფიქრობ, ისინი არაადეკვატურად იქცევიან, სათანადოდ ვერ აფასებენ შექმნილ რეალობას. გაკვირვებული ვარ პირდაპირ, იმის მაგივრად, რომ ეს მარცხი გამხდარიყო მათი გამოფხიზლების საფუძველი, ისინი კვლავ ძველებურად განაგრძობენ მოღვაწეობას.

***— ამ ბოლო პერიოდში პარალელების გავლება დაიწყეს ზვიადის ხელისუფლებასა და დღევანდელ ხელისუფლებას შორის. ზოგიერთებმა ისიც კი თქვეს, ახალმა ხელისუფლებამ არ დაამთავროს ისე, როგორც ზვიადის ხელისუფლებამ დაამთავრაო. თქვენი აზრით, რამ გააჩინა ამის თქმის საფუძველი?***

— ვერ გეტყვით, რამ გააჩინა ასეთი პარალელების გავლების საფუძველი. დღეს აბსოლუტურად განსხვავებული ადამიანია ლიდერი, მეორეც, არსებობს დიდი გამოცდილება, მრგვალი მაგიდიდან მოყოლებული, შევარდნაძის ხელისუფლების და თუნდაც იგივე ნაციონალებისა. ივანიშვილი არ ჩანს ისეთი კაცი, რომელიც რამეს აკეთებდეს გაუაზრებლად ან შემთხვევით და გაუთვლელად, თანაც, რაც მთავარია, არ არის ის კაცი, რომელმაც რაღაცა პრეტენზიას გადააყოლოს ყველაფერი. არა მგონია, მე რამდენადაც შემიძლია, რომ შევაფასო, ეს ასე არ იქნება. პრობლემები არის, თუნდაც რამდენიმე მიმართულებით ძალიან სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი.

***— თქვენი აზრით, ივანიშვილს ჰყავს ისეთი გუნდი, ისეთი გარემოცვა, რომ ყველაფერი გააკეთოს ისე, როგორც თავიდან ითქვა?***

— მე ვფიქრობ, რომ საზოგადოების უნდობლობის ნიშანი არ ჩანს, ადეკვატური ხალხია. არ არის იმის ნიშნები, რასაც ჩვენ წლების მანძილზე ვუყურებდით სააკაშვილის ხელისუფლებაში. უბრალოდ, მათ ადაპტაციის პერიოდი აქვთ. პოლიტიკური გამოცდილება ბევრს აქვს, საზოგადოებრივი მოღვაწეობის გამოცდილებაც ბევრს აქვს, მაგრამ სახელმწიფოს მართვის გამოცდილება ბევრს არ აქვს. ისინი გაივლიან ამ ეტაპებს და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ვიმეორებ, ერთი თვეც არ არის, რაც ჩაიბარეს ხელისუფლება და უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მართვის ბერკეტები სრულად მათ ხელში არ არის. ასე არ ხდებოდა ხელისუფლების ცვლილებები, ხდებოდა დამხობით, რევოლუციით და ადვილად იხსნებოდნენ და ინიშნებოდნენ, სულ კარტბლანში ჰქონდა ხოლმე ახალ ხელისუფლებას. ამათ კი ასე არ აქვთ, გუბერნატორები, გამგებლები, ელჩები და კიდევ უამრავი უწყება ჯერ კიდევ ნაციონალებისა და სააკაშვილის ხელში რჩება. ეს ყველაფერი სერიოზული და გასათვალისწინებელი პრობლემებია. კომპრომისული იქნება თუ არაკომპრომისული, რაღაც შეთანხმება აუცილებლად უნდა მოხდეს. ამ ხელისუფლებას უნდა მოვკითხოთ მაშინ, როცა მთლიანად მათ ხელში იქნება ხელისუფლება.

***— ალბათ პრობლემები გაგრძელდება მანამ, სანამ თვითმმართველობა და პრეზიდენტი ნაციონალების იქნება.***

— აბსოლუტურად გეთანხმებით. სანამ რეალური თვითმმართველობა არ ჩამოყალიბდება და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები არ გადაიდგმება, ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემები რჩება.

***— დასავლეთმა მიგვითითა, რომ სააკაშვილი უნდა დარჩეს ოქტომბრამდე.***

— მე არ ვიცი, ასეთი აღნიშვნები და მითითებები რამდენად კორექტულია, ამიტომ ამ საკითხის კომენტირებისაგან თავს შევიკავებ.

ახალი თაობა

ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ

უფპტსბ
უფვჯლბც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ

რჯყცეკნფყტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს .ბაბფყბ
ცფაბყფყცჯ ცფვცფეჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ

ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
უფდჰწტკტ,ბც ცფვცფეჰბ 2 ვტჰფ, კტდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ

ლფრფ,ფლჯყტ,ფ 2 ბყუფ ლდფკბიდბკბ7 ყჯყფ რფყლტკფრბ7 ვპბფ მჯმფიდბკბ

ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X□,□□□I□□□ჩ □8 1)7 ვტ-№ ცფჰსეკბ8
ნტკტაჯყბ□აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
ჰტლფმწბფიბ იტვჯცეკბ ვფცფკტ,ბ ფჰ ჰტწტყპბჰლტ,ფ ლფ
ფდნჯჰტ,ც ფჰ ე,ჰეყლტ,ფ8 ჰტლფმწბბც სფყვჯ,ბც უფჰტიტ
უფპტსიბ ლფ,ტზლბკბ ვფცფკტ,ბც7 ცეჰფსტ,ბც ლფ ცფჰტრკფვჯ
უფყწფლტ,ტ,ბც ცჰეკბ ფყ ყფოხკჯ,ჰბდბ უფვჯ·ტყტ,ფ
ფრჰფკეკბფ8 ცნფნბფიბ უფვჯმდტ·ყტ,ეკბ ვფცფკტ,ბც ცბპეცნტპტ
გფცეც ფუტ,ც ფდნჯჰბ8 ცფფდნჯჰჯ ეკტ,ტ,ბ ლფწეკბფ8

# რა ემუქრება თბილისს უგულავას დაჭერის შემთხვევაში

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოს მასშტაბით დიდი ალიაქოთია. გამგებლების გადადგომის მოთხოვნით ზოგან აქციები იმართება, ზოგან კი დიდი ცემა–ტყეპაა გამართული. რამდენიმე გამგებელმა საკუთარი ნებით დატოვა ეს თანამდებობა. ნაცმოძელები ამბობენ, რომ ისინი ძალითა და ზეწოლით გადააყენეს.**



ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ მალე შესაძლოა დედაქალაქი თავის გარეშე დარჩეს. გიგი უგულავა არჩეული მერია და მისი გადაყენება ასე მარტივი არ იქნება. მაგრამ ავი ზრახვების მატარებლებს რა დალევს ქვეყანაში. ვილაცები ამტკიცებენ, რომ მალე თბილისის მერი შესაძლოა არჩილ კბილაშვილის საკბილო გახდეს.

ქვეყანაში დატრიალებულ ალიაქოთს ყურადღებით აკვირდებიან პოლიტიკური პარტიები. ამ მხრივ განსაკუთრებით დადარაჯებულები პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრები არიან.

წინა კვირაში პარტიამ ახალ ხელისუფლებას დროშასთან დაკავშირებით მიმართა ინიციატივით. ისინი ითხოვენ, რომ იურიდიულ პირებს სახელმწიფო დროშის გამოყენება აეკრძალოთ. ახლა კი მათ თვითმმართველობებისთვის მოიცალეს. კერძოდ, „თავისუფალი საქართველო“ თვითმმართველობის მახინჯი სისტემის ძირეულ რეფორმირებას მოითხოვს.

— „თავისუფალი საქართველო“ ქვეყნის თვითმმართველ ერთეულებში მიმდინარე პროცესებს მიიჩნევს ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ჩამოყალიბებული მახინჯი თვითმმართველობის სისტემის წინააღმდეგ მიმართულ ბუნებრივ რეაქციას, რომელიც მორგებული იყო ერთპიროვნულ ცენტრალიზებულ მმართველობაზე, არ გააჩნდა არანაირი საკუთარი ფინანსური სახსრები და ემსახურებოდა მხოლოდ მოსახლეობის დათრგუნვასა და საკუთრების წართმევას ადგილობრივი გამგებლებისა და პრეზიდენტების რწმუნებულების სასარგებლოდ. ამის ნათელი გამოხატულებაა მარტვილის რაიონი, სადაც წლების განმავლობაში, სააკაშვილის მიერ არჩევნების გაყალბების შედეგად დანიშნული საკრებულოს თავმჯდომარე (გუბერნატორის ძმა), გამგებელი — მათი ნდობით აღჭურვილი პირი და გუბერნატორი გოროზია წლების განმავლობაში დაკავებული იყვნენ გლეხებისა და სოფლის საკუთრებაში არსებული სახნავი მიწებისა და საძოვრების დატაცებით, ამ მიწებზე საკუთარი თხილის პლანტაციების გაშენებითა და აუარებელი ფულის შოვნით, — აცხადებს პარტიის გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე.

მისი თქმით, მარტვილის მოსახლეობის წლების განმავლობაში არაერთი თხოვნისა, პროტესტისა, სამართლის დადგენისა, ასევე სასამართლოში აპელირებისა, შესმენილ არ იქნა და დღეს, როცა მარტვილის „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელ ყაჩაღებს პოლიციის ზურგი აღარ აქვთ, განაწამები, ქონებაწართმეული მოსახლეობის პროტესტი სავსებით სამართლიანია და „ხელმძღვანელი“ პირების გადადგომის მოთხოვნის დაკმაყოფილება — სავსებით ლეგიტიმური, ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად.

— როდესაც „ნაც“ აქტივი თვითმმართველობის სისტემაზე, თვითმმართველობის ინსტიტუტზე საუბრობს, არის ბლეფი, ვინაიდან, აღნიშნული სისტემა, რომელიც სწორედ მათი ტოტალიტარული მმართველობის პირობებშია მიღებული, არ შეიძლება იწოდებოდეს თვითმმართველობად, ვინაიდან თვითმმართველობებს არ გააჩნიათ არანაირი კომპეტენცია, არანაირი ფინანსური სახსრები, რაც ასე აუცილებელია მოსახლეობისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის სრულყოფილად განხორციელებისათვის და მთლიანად ცენტრის ხუშტურებზეა აწყობილი — სააკაშვილს მოუნდება, წყალს გაუყვანს, მოუნდება, გზას გაუყვანს, მოუნდება, გაზს გაუყვანს და არ მოუნდება, არც არაფერს არ გაუყვანს. უფრო მეტიც, „საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ“ კანონით, გაწერილი არ არის სავსებით ბუნებრივი შემთხვევა, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ კანონის ფარგლებში, როცა დედაქალაქის მერი ან საკუთარი განცხადებით გადადგება, ან კრიმინალისათვის დაიჭერენ, ან, ადამიანები ვართ და გარდაიცვლება, — მიიჩნევს პარტიის გენმდივანი.

შალამბერიძის თქმით, ასეთი საკანონმდებლო ვაკუუმი წარმოუდგენელია.

— შეუძლებელია, კანონით არ იყოს განსაზღვრული, თუ რა ხდება მერის პოსტის

ვაკანსიის დადგომის შემთხვევაში: ვინ იკავებს მის პოსტს, ვიდრე ვადამდელი არჩევნები არ დაინიშნება და ახალი მერი არ აირჩევა, რა ვადებში ტარდება მერის ვადამდელი არჩევნები, ვინ ნიშნავს არჩევნებს, რა უფლებამოსილებები ექნება მერის მოვალეობის შემსრულებელს და კიდევ მრავალი სხვა ნიუანსი, რომელიც ამ ინსტიტუტის მუდმივმოქმედ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. დღეს კი ამ აბდაუბდის შემოქმედ ადამიანებს, სააკაშვილის ხელმძღვანელობით, რომლებმაც მათ მიერ ჩადენილი კორუფციული ქმედებების გამჟღავნებისა და, შესაბამისად, დაჭერების საფრთხე დაინახეს, მხოლოდ ახლა გაახსენდათ, რომ თვითმმართველობა, ისევე, როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები, ასევე სახელმწიფო დამოუკიდებელი სახელისუფლებო შტოა და ამით ცდილობენ, „თვითმმართველობა“ თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებების შესაფუთად და პოლიტიკური დევნის მოტივად გამოიყენონ მხოლოდ. მოვითხოვთ, საქართველოს პარლამენტმა დაიწყოს თვითმმმართველობის სისტემის ძირეული რეფორმირება! — აცხადებს შალამბერიძე.

„თავისუფალი საქართველოს“ გენმდივნის განცხადებით, პარტია შედის

საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო წინადადებით „საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე მერის პოსტთან დაკავშირებული ყოვლად უმსგავსო ვაკუუმის დაუყოვნებლივ აღმოსაფხვრელად.

# რატომ დადის სააკაშვილი ამერიკისგერბიანი და დროშიანი ქურთუკით

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყოველთვის ამტკიცებს, რომ თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტია. ამას მისი თავგადაკლული მომხრეებიც ხშირად ადასტურებენ. პრეზიდენტის ქმედებებიდან გამომდინარე კი ამის დაჯერება ცოტა ძნელია.

მიხეილ სააკაშვილს თავისი ქვეყანა რომ უყვარს, ამაში ეჭვის შეტანა არც ჩვენ გვინდა. სხვა თუ არაფერი, მან ამ ქვეყნისგან უამრავი სიკეთე მიიღო. საქართველოს ბიუჯეტი მის შენახვაში დღეში 150 ათას ლარს იხდის.

არჩევნების წინ საქართველოს პრეზიდენტმა „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატი საჯაროდ დაადანაშაულა სახელმწიფო დროშის უპატივცემულობაში. სააკაშვილმა აღშფოთებანარევი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ იმ კაცმა პეკინის ოლიმპიადის გახსნის დღეს საქართველოს დროშის ქვეშ გავლაზე უარი თქვა. მოგვიანებით ამის გამო გია ბარამიძემაც ატეხა განგაში. რაღაცაში ისინი მართლებიც იყვნენ.

თუმცა არც გია ბარამიძეს და არც თავად სააკაშვილს ქართველი ერისთვის ერთი რამ არ განუმარტავთ. ჩვენი ერის დაკვირვებული ნაწილი ალბათ შეამჩნევდა, რომ ქვეყნის პირველ პირს საჯარო გამოსვლებისას ხშირად აცვია ერთი ქურთუკი. ამ ქურთუკზე ამერიკის დროშა და გერბია გამოსახული. 2 დღის წინ ამ ქურთუკში გამოწყობილმა პრეზიდენტმა უმასპინძლა პალერმოს მერს.



ერთი შეხედვით, არაფერი უცნაური იმაში არაა, რომ მიხეილ სააკაშვილი ამ ქურთუკით დადის. ამას არც არავინ მიაქცევდა ყურადღებას, სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტი რომ არ იყოს.

აბა, წარმოიდგინეთ, რა ამბავი ატყდებოდა სომხეთში, მათი პრეზიდენტი ამერიკის გერბითა და დროშით გაწყობილი ქურთუკით რომ დადიოდეს. აღარაფერს ვამბობთ ევროპული ქვეყნების რეაქციაზე.

ჩვენთან კი ამას რატომღაც არავინ აქცევს ყურადღებას. ნაციონალები მით უმეტეს არაფერს იტყვიან. მათ რომ ჰკითხო, თუ ვინმეს აქვს დედამიწაზე აშშ-ის დროშით სიარულის უფლება, ეს მიხეილ სააკაშვილია.

და მაინც საინტერესოა, რის ხაზგასმას ცდილობს ამით საქართველოს პრეზიდენტი. ის ყოველთვის ცდილობდა, ვაშინგტონისთვის თავის ერთგულება დაემტკიცებინა.

სწორედ აქედან გამომდინარე გაჩნდა თბილისში ბუშის ქუჩა და, ერს განგაში რომ არ აეტეხა, საქართველოს ერთ-ერთ მწვერვალს ობამას სახელსაც დაარქმევდნენ. ამ ინიციატივით კობა ხაბაზი გამოვიდა.

ახლა ვილაც შეგვედავება, რა მოხდა, თუ სააკაშვილი ამ ქურთუკით დადის, იქნება სხვა არც აქვსო. ისე, მართლა არაფერი დაშავდება, თუ სააკაშვილი ამ ქურთუკს თავის ეზო-კარში გასეირნების დროს ჩაიცვამს. საჯაროდ კი ასეთი ქურთუკით სიარული ცოტა უხერხულია, მით უმეტეს, როცა უცხოელ სტუმრებს მასპინძლობ. ისინი ვერასდროს გაიგებენ, რატომ კიაფობს საქართველოს პრეზიდენტის გულზე აშშ-ის დროშა და გერბი.

# ლევან ბერძენიშვილი: კახა გეწაძე 7 ნოემბრის დარბევაში უშუალოდ მონაწილეობდა“

## გეწაძის დაჭერას მერაბიშვილი შარშან აპირებდა?

შორენა მარსაგიშვილი

**ნაციონალური მოძრაობაში ყოფილი დეპუტატის კახა გენაძის დაკავების გამო შეშფოთებული არიან. ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი სამართალდამცავებმა 29 ნოემბრის დააკავეს. ნაციონალები მის დაკავებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებენ.**

ისინი ფიქრობენ, რომ ამ დაკავებით ახალი ხელისუფლება იმ გამგებლებს აშინებს, რომლებიც თანამდებობის დატოვებაზე უარს ამბობენ. შეგახსენებთ, რომ კახა გეწაძე ზესტაფონის გამგებლად აირჩიეს ცოტა ხნის წინ.



ზესტაფონის გამგებელსა და საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ კახა გეწაძეს სასამართლო აღმკვეთ ღონისძიებას დღეს შეუფარდებს.

როგორც გეწაძის ადვოკატმა ელისო დათუსანმა ჟურნალისტებს განუცხადა,

დაცვის მხარე დღეს დაგეგმილ პროცესზე გეწაძისთვის გირაოს შეფარდების მოთხოვნას დააყენებს.

— დაცვის მხარე იბრძოლებს, რომ მას გირაო შეეფარდოს. გეწაძე იყენებს დუმილის უფლებას და ბრალს არ აღიარებს. თუკი გირაოს შეუფარდებს სასამართლო, შემდეგ ვიბრძოლებთ, რომ მისი უდანაშაულობა დავამტკიცოთ, — განაცხადა დათუსანმა.

შსს-ს ინფორმაციით, გეწაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლის III ნაწილით, 118-ე მუხლის III ნაწილითა და 187-ე მუხლის I ნაწილით წარედგინა. გამოძიება მას „ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით ჩადენილი ხულიგნობის“, „ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა“ და „სხვისი ნივთის დაზიანების“ გამო ედავება.

კახა გეწაძის დაკავებას საპარლამენტო უმრავლესობაც გამოეხმაურა. დეპუტატი ლევან ბერძენიშვილი გეწაძეს საკმაოდ კარგად იცნობს და მისი წარსულიც კარგად იცის. მისი განცხადებით, გეწაძე 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევაში პირადად მონაწილეობდა.

— მე ნაციონალურ მოძრაობას ვგულშემატკივრობ. მათ უნდა დაიცვან მათი წევრები, მით უმეტეს, რომ ის არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი და „ნაციონალური მოძრაობის“ ძალიან აქტიური და ძვირფასი წევრი, ამიტომ მათი ზრუნვა არ მიკვირს, მაგრამ მე მათთან ერთად დაველოდებოდი გამოძიების შედეგებს. რაც შეეხება თავად გეწაძეს, ის ჩემთვის ცნობილია არა მარტო როგორც ზესტაფონის გამგებელი და ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელი, არამედ ადამიანი, რომელიც 2007 წელს პარლამენტის წევრისთვის შეუფერებელ საქმიანობას ღიად და აშკარად ეწეოდა. ის ჩვენი ერთ-ერთი მარბიელი, ჯალათი იყო. ეს ჩემი პირადი აზრია. ვწუხვარ, რომ ის ახლა სხვა რამისთვის არის დაკავებული, მაგრამ, თუ მისი საქმის ობიექტური გამოძიება გაგრძელდება, მას 2007 წლის ცოდვებიც ალბათ მოეკითხება. ასე რომ, ამ კაცისგან წმინდანის და მით უფრო პოლიტიკური დევნილის შექმნა ძალიან ძნელი იქნება, ვინაიდან ის ხელმძღვანელობდა დარბევის ოპერაციებს საქართველოში 2007 წელს და ეს საიდუმლო არავისთვის არ არის. დარწმუნებული ვარ, არც ძიებისთვის, თუმცა მასთან მიმართებითაც ამ დროისთვის უდანაშაულობის პრეზუმფცია მოქმედებს, — განაცხადა „მაესტროს“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ბერძენიშვილმა.

კახა გეწაძის დაკავების გამო გუშინ თავი ჭიდაობის ფედერაციაშიც გაინერვიულეს. ჭიდაობის ფედერაცია პრეზიდენტ გეწაძეს თავდებში უდგება. ისინი დარწმუნებული არიან, რომ გეწაძე გამოძიებას არ დაემალება.

„ახალი თაობისთვის“ ცნობილი გახდა, რომ კახა გეწაძის დაკავება ჯერ კიდევ გასულ წელს იგეგმებოდა. საუბარია იმავე ინციდენტზე, რომლის გამოც ახლა დააკავეს.

როგორც ამბობენ, მაშინ გეწაძეს პატრულისთვის უგინებია. ამაზე მაშინდელი შს მინისტრი გაბრაზებულა და მისი დაჭერა მოუთხოვია. მაგრამ ნაციონალები ლამის მუხლებში ჩავარდნიან მერაბიშვილს და ასე გადაურჩენიათ გეწაძე.

ისე, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ გეწაძეზე შური ლაშა ნაცვლიშვილმა იძია. 2005 წლის 1 ივლისს პარლამენტის სხდომაზე დიდი ჩხუბი მოხდა. ამ ჩხუბის დროს 10-მა ნაციონალმა დეპუტატმა ლაშა ნაცვლიშვილს სცემა. ამ ჩხუბში გეწაძეც მონაწილეობდა.

ამ ვერსიას სასაცილოდ უყურებენ მმართველ გუნდში. მათი განცხადებით, ახლა ნაციონალები ათას საბაბს მოიგონებენ.

# პეტრე მამრაძე: ადეიშვილს, მერაბიშვილს, უგულავას უვადო პატიმრობა ემუქრებათ“

## სააკაშვილს თავი ხან დავით აღმაშენებელი ჰგონია, ხან — გიორგი მეფე

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ პარლამენტის ყოფილ წევრ პეტრე მამრაძესთან

***— ბატონო პეტრე, ნაციონალურ მოძრაობას საკუთარი თავის დაცვის პოლიტიკის როგორი სტრატეგია და ტაქტიკა აქვს არჩეული? ზოგიერთ საკითხზე ყველაფერზე ირონიულად რეაგირებენ, თან მუდმივად გაიძახიან, თითქოს არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ და მხოლოდ პოლიტიკურ დევნას აქვს ადგილი.***

— მეტიც. თავდასხმა რომ საუკეთესო თავდაცვაა, მათ ეს პოზიცია აირჩიეს. ყველაზე კარგად თავს დაიცავ მაშინ, თუ დაესხმები სხვას. ოღონდ, უნდა იცოდე, რა და როგორ.

***— ეს მათი წინასწარ შემუშავებული სტრატეგიაა თუ უბრალოდ თანდათან რეაგირებენ?***

— იმ დღიდან მოყოლებული არ შეუცვლიათ თავისი სტრატეგია და ტაქტიკა, რაც სააკაშვილმა აღიარა არჩევნებში დამარცხება და ტელევიზიით გამოაცხადა, რომ ნაციონალური მოძრაობა საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა და ოპოზიციაში გადადის. მაშინაც გამოუცხადეს უცხოელებს, დასავლელ პარტნიორებს, რომ საქართველოში კრემლმა ბოლოს და ბოლოს განახორციელა თავისი გეგმა, რომ ივანიშვილი მოქმედებდა კრემლის დავალებით, პუტინის დავალებით. კრემლის ამ დავალების ასრულებაში ჩაერთო ვეებერთელა ფული და კრემლმა შეძლო ის, რაც მანამდე შეძლო უკრაინაში (მათ სიტყვებს ვიმეორებ), კრემლმა იქ მოიყვანა იანუკოვიჩი პოლიტიკური ანგარიშსწორებისთვის და დააპატიმრა ტიმოშენკო. ამაზე სააკაშვილი საუბრობდა შეხვედრებზე, სადაც აცხადებდა, რომ კრემლმა იანუკოვიჩის მსგავსად, აქ დასვა ივანიშვილი და დაგვაპატიმრებენ. ამას სააკაშვილი თავის თავზე და სხვებზეც ამბობდა, ვინაიდან ჩვენ ისინი ვართ, ვინც კრემლს ვებრძოდით ბოლომდე, დემოკრატიასა და თავისუფლებას ამკვიდრებდნენ საქართველოში (გაიხსენეთ სააკაშვილის არაერთი განცხადება). კრემლისთვის აუტანელი იყო, რომ მის მეზობლად არის სახელმწიფო, რომელიც დემოკრატიის, თავისუფლების, დასავლეთთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის გზას ადგას. ამიტომ კრემლმა ეს განახორციელაო. ამის შემდეგ დაიწყეს ნაციონალებმა წინასწარ პოლიტიკურად დევნილთა იმიჯის შექმნა. ვითარება ასეთია — სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა, უგულავამ (რომელი ერთი ჩამოვთვალო) ახალაიებმა, ქარდავებმა, გივი თარგამაძემ და სხვებმა იციან, რომ არაერთი ვეებერთელა დანაშაული აქვთ ჩადენილი. სააკაშვილს, მერაბიშვილს, ადეიშვილს, უგულავას და ზოგიერთ სხვას, დანაშაულობათა თუნდაც ნაწილი რომ დაუმტკიცდეთ სასამართლოში, მაშინ უვადო პატიმრობა არ უნდა ასცდეთ. ასეთია ჩემი დასაბუთებული ეჭვი. დასაბუთება კი ნამდვილად შემიძლია. ამიტომ ესენი წინასწარ ერთი მხრივ, ყველგან ყვირიან, რომ მათი პოლიტიკური დევნა დაიწყო, პოლიტიკური დევნა ხორციელდება და სხვას არაფერს აკეთებს ახალი ხელისუფლება — აპატიმრებს და აპატიმრებს. გახსოვთ ალბათ, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე რომ დააპატიმრეს, მაშინვე გამოაცხადა მერაბიშვილმა, ეს მხოლოდ და მხოლოდ ჩემზე ზეწოლის მიზნით გაკეთდაო. სააკაშვილმა განაცხადა, ჩართავ რადიოს, ტელევიზიას და სულ აგრესიასა და დაპატიმრებებზეა ლაპარაკიო.

***— რატომ უკვირს სააკაშვილს დაპატიმრებები?***

— კი არ უკვირს...

***— ამას, ალბათ, შეგნებულად ამბობს, თორემ დაპატიმრებები და თანაც უკანონო, სააკაშვილის ხელწერა იყო.***

— სწორედაც. თვითონ რომ ყოფილიყო, როგორც ადრე გააკეთეს, პირველივე დღეს ოფიციალური ბრალდებისა და მტკიცებულების გარეშე ათობით ადამიანი დააპატიმრეს. ამ ადამიანებს შორის ნამდვილად იყვნენ ისეთებიც, ვინც კორუფციის სიმბოლოდ იყვნენ ქცეული საქართველოში, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ცნობილი იყვნენ, როგორც ე.წ. კანონიერი ქურდები და საზოგადოება მათ დაპატიმრებას დადებითად აღიქვამდა. როგორც ირკვევა, მაშინაც უკვე ცხადი ხდებოდა, რომ არავითარი რეალური მტკიცებულება და ბრალდება არ ჰქონდათ. უბრალოდ, გადაახდევინეს თანხა და გამოუშვეს. დღემდე უცნობია, რამდენი მილიონი გადაახდევინეს.

***— არჩევნები რომ მოეგო, სააკაშვილი ახლაც გეგმავდა მასობრივ დაპატიმრებებს. ამისთვის საქალაქო სასამართლოში საკნებს ამზადებდნენ. ამის თაობაზე საქალაქო სასამართლოდან გათავისუფლებულმა მანდატურებმა განაცხადეს.***

— ეჭვი არ მეპარება. თუნდაც ის, პარლამენტის შენობაში აპარატურა, კაბელები რომ აჩეხეს და გაიტანეს, არის დანაშაული. ეს ხომ სახელმწიფო ქონებაა.

***— ასეთი მავნებლობა რატომ უნდა ჩაედინათ, ბატონო პეტრე?***

— თუნდაც იმიტომ, რომ გადაჭრილიყო გზა, თბილისში პარლამენტის ნაწილი მაინც რომ არ შეკრებილიყო. გათვლილი ჰქონდათ, თავიანთთვის უნდა მიეწერათ და უმრავლესობა პარლამენტში გაყალბებების შედეგად უნდა მოეპოვებინათ. გათვლილი ჰქონდათ, რომ ამას ვერ შეეგუებოდა ქართველი ხალხი და „ქართული ოცნება“, ბიძინა ივანიშვილი, ხალხი შეგროვდებოდა და თბილისში იქნებოდა პროტესტები. მანამდე ისმოდა, კულუარებში, რომ 35%-ზე მეტს მაინც არ დაგიწერთ 85%-იც რომ მიიღოთ და თუ გააპროტესტებთ, შესაბამისად მიიღებთო.

***— ნაციონალები წლების განმავლობაში რასაც ჩადიოდნენ, მთელი მსოფლიო ხედავდა. რატომ არიან ახლა ასეთი თავდაჯერებულები და რატომ ხდება უცხოელებისთვის, ევროსტრუქტურებისთვის დამაჯერებელი მათი საუბარი ნაციონალების უდანაშაულობასა და პოლიტიკურ დევნაზე?***

— არ ხდება მაინცდამაინც დამაჯერებელი, მაგრამ ზოგიერთმა განცხადება გააკეთა. წლების განმავლობაში სააკაშვილი იკრებდა გარშემო ყველა იმ ადამიანს, ვისაც კარგად ეხერხებოდა უცხოელებთან ურთიერთობა. ან სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული უცხოეთში (თუნდაც რაღაც კურსები), ინგლისურს ან სხვა ევროპულ ენებს კარგად ფლობდა. მისი ლოზუნგი იყო, ყველა ასეთი ადამიანი, ყველა კაი ტიპი (როგორც სააკაშვილი ამბობდა), უნდა იყოს მიხედილი. მაგალითად, დავით აფრასიძემ რამდენიმე თვის წინ, საერთაშორისო ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში ზომიერად კრიტიკული წერილი დაწერა საქართველოზე და უცებ



ამის შემდეგ თავი ამოყო პოლიციის აკადემიის რექტორად, ანუ მიხედეს. ამ ფონზე, ამ წლებში რეგულარულად აგებდა დასავლეთის თვალში, დასავლელ დიპლომატებთან ურთიერთობის დროს. დასავლეთი ხედავდა, რომ ერთ მხარეს იყვნენ დასავლურად მოაზროვნე, დასავლურად აღზრდილი ადამიანები, დასავლური მენტალიტეტით, მეორე მხარეს კი — სხვანაირი ადამიანები. ხშირად ჩვენი ოპოზიციის ზოგიერთ ლიდერს უწოდებდნენ გამოქვაბულის კაცს თუ გამოქვაბულის ქალს.

***— ეს, ალბათ, იმის ბრალიც იყო, რომ ნაციონალებმა მოსმენებითა და სხვადასხვა მანიპულაციებით მეტნაკლებად იცოდნენ, რა უნდა მოემოქმედა ოპოზიციას და პრევენციულ ღონისძიებას მიმართავდნენ.***

— ალბათ გახსოვს, მაშინდელმა ოპოზიციამ რუსთაველზე საკნების კამპანია რომ მოაწყო, საკნებით რუსთაველი რომ გადაკეტეს და ამით ხალხი გააწბილეს. გაიხსენეთ 26 მაისი, ხალხი სტადიონზე რომ შეკრიბეს და როგორც შეკრიბეს, ისე დაშალეს. დაშალეს და სასოწარკვეთილი ხალხი ბორჯომის მატარებლის ლიანდაგზე ჯდებოდა, რადგან არ იცოდა, რა ექნა.

***— მაშინდელ ოპოზიციას ხალხი რომ არ გაეწბილებინა, მაშინ როგორც სააკაშვილი შევარდა პარლამენტში, ისეთი აქცია უნდა მოეწყოთ. ამით საქმე სისხლისღვრამდე მივიდოდა. ხალხი რომ არ დაეშალათ, აბა, რა უნდა ექნათ, გამოსავალი არ ჩანდა.***

— უნდა იცოდე, ხალხს მეორე-მესამე დღეს რას შესთავაზებ. დასავლელი დიპლომატები გაოგნებული იყვნენ, როდესაც თქვენს ოპოზიციას ველაპარაკებით, არავითარი კონკრეტული გეგმა არ აქვთ არც ერთ დარგში, არც ეკონომიკაში, არც — ფინანსებში, არც — სოციალურ საკითხებში, არც საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ერთადერთი, აცხადებდნენ, ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სააკაშვილი წავიდესო. გეკითხებით, ვთქვათ, მიაღწიეთ, მერე რას აკეთებთ? მერე ყველაფერი კარგად იქნებაო. მეუბნებოდნენ, ეს ოპოზიცია არ არის. ისინი არიან გამოქვაბულის კაცები და ქალები, არც გეგმა აქვთ, არც პროგრამა, ხალხს მიერეკებიან ქუჩაში, კეტავენ ძირითად მაგისტრალს. რას მიაღწევენ ამით, გარდა სააკაშვილის რეჟიმის გაძლიერებისაო.

***— მაშინაც დასავლელები თავიანთი მხარდაჭერით აძლიერებდნენ სააკაშვილს. კი მაგრამ, რატომ არ სჯეროდათ ოპოზიციის, ვთქვათ, სისხლიანი 7 ნოემბრის, 26 მაისის შემდეგ მაინც?***

— სულ ვიყავი კონტაქტში და მახსოვს, როგორ უწოდეს სააკაშვილმა, ლომაიამ და სხვებმა ამერიკის ელჩს რიჩარდ მაილს ვარდების რევოლუციის მტერი.

***— მიუხედავად ამისა. როცა საქართველოში არჩევნები ყალბდებოდა ხოლმე, მაშინ, რეალურად, სააკაშვილს უჭერდნენ მხარს გაყალბებულ არჩევნებში.***

— არავითარ შემთხვევაში.

***— მაშინ რატომ აღიარებდნენ?***

— მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოში არანაირი ძალა, რომელიც დადებდა დოკუმენტის მსგავსს, რომ არჩევნები გაყალბებული იყო. მინდა იცოდეთ, რომ ნაციონალები არიან წლების განმავლობაში გამოწრთობილი დემაგოგები და პოპულისტები. მიუხედავად იმისა, შესანიშნავად იციან, რა დანაშაულობები აქვთ ჩადენილი. იციან, ჩადენილი დანაშაულის ნაწილიც რომ დაუმტკიცდეთ, ციხე ეკუთვნით, მაგრამ მაინც თავხედურად გამოდიან და აქეთ ბრალს სდებენ, თითქოს ახლანდელი ხელისუფლება პოლიტიკურ დევნას ახორციელებს, დანაპირებს არ ასრულებს.

***— ამას ისინი ყოველ წუთში ჩასჩიჩინებენ საქართველოს მოსახლეობას. ხალხის აზრის შეცვლა უნდათ.***

— დიახ (თავისი პირადი ტელევიზიებით ნიაღვარი მოდის პროპაგანდისა), რომ დემოკრატი და რეფორმისტული მთავრობა, რომელიც ასე ვზრუნავდით ხალხზე, ახლა ვართ ოპოზიციაში და მზად ვართ ისევ ხალხს ვემსახუროთო. სააკაშვილს თავხედობა ყოფნის თქვას, ჩემ ხალხს განსაცდელში არ მივატოვებო. განსაცდელში მართლა არის ხალხი, მაგრამ განსაცდელში ხალხი სააკაშვილის კლეპტოკრატულმა ავტოკრატიამ ჩააგდო.

***— სხვათა შორის, შევნიშნე, 23 ნოემბერს ქუთაისში სააკაშვილმა პერიფრაზირება მოახდინა გიორგი მეფის სიტყვებისა „დიდოსტატის მარჯვენიდან“, მე ჩემს ხალხს ვემსახურებოდიო და ა.შ...***

— დიახ, ქუთაისიდან გვესაუბრებოდა. სააკაშვილს ხან თავი დავით აღმაშენებელი ჰგონია, ხან — გიორგი მეფე. განსაცდელი მდგომარეობს იმაში, რომ წლების განმავლობაში სააკაშვილის საშინელი ხაზინის ქურდების ავტორიტარული რეჟიმი ანგრევდა ჩვენს სახელმწიფოს, ანიავებდა მთელი ერის ქონებას, ავანტიურისტული პოლიტიკის შედეგად, პუტინს ლანგარზე მიართვა სააკაშვილმა (როგორც ოფიციანტმა ისე) აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირების საშუალება, მათი დამოუკიდებლობის ცნობის საშუალება. ეს ყველაფერი სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა. შესანიშნავად წერს ცნობილი ბლოგერი სოლომონ ტერნერი: საქართველოში ახლა ისეთი ვითარებაა, გერმანიაში ომის შემდეგ ჰიტლერი, გერინგი, ჰიმლერი, გებელსი და სხვები რომ დარჩენილიყვნენ ოპოზიციაში და იქით დაედოთ ბრალი, ხომ ხედავთ, გერმანია დაყოფილია, გერმანია დანგრეულიაო. ასეთი აბსურდია ნაციონალური მოძრაობის ლიდერების სააკაშვილსა და სხვათა ოპოზიციონერობა.

***— ალბათ გახსოვთ, ცოტა ხნის წინ ევროპაში სააკაშვილი შულცს რომ შეხვდა და თავს მოახვია თავისი ტყუილები. შულცმა განაცხადა, გერმანიაში ყოფილ მინისტრებს არ აპატიმრებენო. გერმანიაში არ იყო ჰიტლერი და ნიუნბერგის პროცესი, სადაც მთელი მთავრობა გაასამართლეს? რატომ ხუჭავენ სააკაშვილის მიერ ჩადენილ დანაშაულობებზე თვალს და რატომ აკეთებენ ასეთ განცხადებებს?***

— ზოგიერთი ლიდერის მხრიდან ორმაგი სტანდარტის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი. ქართველი ადამიანის უფლებების დამცველებს თავი რომ დავანებოთ, წლების განმავლობაში ევროპის ყველაზე ავტორიტეტული ორგანიზაციები, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი თომას ჰამერბერგი, გაეროს წარმომადგენელი მარია კიარო, სტრასბურგის სასამართლო უწყვეტ რეჟიმში წერდნენ და ამბობდნენ იმას, რომ საქართველოში ხდება საშინელება ადამიანის უფლების დაცვის მხრივ, რომ საქართველოში აღარ არსებობს უდანაშაულობის პრეზუმპცია. საქართველოში ადამიანები ყველაფერზე მიდიან, მზად არიან, დაიბრალონ ნებისმიერი აბსურდული ბრალდება, ოღონდ ციხეებში წამებას გადაურჩნენო. მაშინ სად იყვნენ? მკითხველებს მოვიწოდებ, დაფიქრდნენ. მაშინ ერთი საჯარო განცხადება მაინც რატომ არ გააკეთეს რასმუსენმა, შულცმა? რატომ არ თქვეს, რომ მათში შეშფოთებას იწვევს ის ინფორმაცია, რაც საქართველოდან შემოდისო. სად იყვნენ მაშინ, როცა თუნდაც ანტენები რომ დააყადაღეს საქართველოში? მთელ მსოფლიოში იწერებოდა, რომ ერთი აფრიკის ქვეყანაში მოხდა ანტენების დაყადაღება და მეორე — საქართველოსიო. სად იყვნენ მაშინ დასავლელი ლიდერები?

***— ქეთრინ ეშტონის განცხადება იყო, ივანიშვილმა და ახალმა მთავრობამ საგარეო პოლიტიკასაც უნდა მიხედოსო. რით უნდა ყოფილიყო განპირობებული ასეთი განცხადების გაკეთება?***

— ესეც ორმაგი სტანდარტის გამოვლინებაა იმიტომ, რომ სააკაშვილი აკეთებდა რუსეთის საქმეს. ეს მათ ძალიან კარგად იცოდნენ. მე თქვენ გაგახსენებთ ლინკოლნ მიტჩელის შესანიშნავ წერილს. ის წერს: სააკაშვილი ლაპარაკობს ერთს, მაგრამ სამაგიეროდ შესანიშნავად ემსახურება საქართველოში კრემლის რეჟიმს, პუტინის რეჟიმსო.

***— მაშინ რატომ ვერ ხედავენ ამას?***

— შესანიშნავად ხედავდნენ, იმიტომაც არანაირად არ უჭერდნენ მხარს ამ არჩევნებში. პირიქით, მოითხოვდნენ, რომ ძალაუფლება გადაცემულიყო, მაგრამ ზეპირი განცხადებების მხრივ საქმე გვაქვს ორმაგ სტანდარტთან.

# ბაჩო ახალაიას მეუღლე არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის

ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი, თანამოაზრეებთან ერთად, არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნის.

როგორც ნადარეიშვილმა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრი“ ღია იქნება ყველა იმ პირისთვის, ვინც ახალი მთავრობის უკანონო ქმედებების მსხვერპლად მიიჩნევს თავს.

ნადარეიშვილის განმარტებით, ორგანიზაცია რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს; მისი წევრები გეგმავენ, შსს-დან გამოითხოვონ ოფიციალური სტატისტიკა ქვეყანაში ბოლო პერიოდში მომხდარი დანაშაულებების შესახებ. ორგანიზაციის წარმომადგენლების თქმით, საჯარო უწყებებიდან თანამშრომლების გათავისუფლების გამო პასუხს მოითხოვენ.

„ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქვეყანაში მძიმე მოვლენები დაიწყო. ეს არის პოლიტიკური ოპონენტების დევნა, მედიაზე და თვითმართველობებზე ზეწოლა, ადამიანების განთავისუფლება სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით და ხალხის დაშინება. არსებობს ინფორმაცია, რომ ქვეყანაში იმატა კრიმინალმა და კორუფციულმა ფაქტებმა“, — აღნიშნა ნადარეიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

# აივ-ინფიცირებულ ორსულთა მკურნალობის შედეგად 138 ჯანმრთელი ბავშვი დაიბადა

მერი ნამორაძე

პირველ დეკემბერს შიდსის საერთაშორისო დღე აღინიშნება. საერთაშორისო დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს აივ-შიდსის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას და შიდსით დაავადებულ პირთა მიმართ საერთაშორისო სოლიდარობის დემონსტრირებას ახდენს მსოფლიო მასშტაბით. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, ეს დღე პარტნიორებს სახელმწიფო და კერძო სექტორიდან აძლევს შესაძლებლობას, გაავრცელონ ინფორმაცია პანდემიის სტატუსის შესახებ და ხელი შეუწყონ აივ-შიდსის პრევენციასა და მკურნალობასთან დაკავშირებულ პროგრესს მთელ მსოფლიოში.

2012 წლის სლოგანი გახლავთ „დავიყვანოთ ნულამდე“. 2011-2015 წლებში შიდსთან ბრძოლის მსოფლიო დღეების თემაა: „ნულოვანი ნიშნულის მიღწევა: აივ-ინფექციების ახალი შემთხვევების ნულოვანი მაჩვენებელი. ნულოვანი დისკრიმინაცია და შიდსით სიკვდილობის ნულოვანი მაჩვენებელი“. შიდსთან ბრძოლის მსოფლიო კამპანია ფოკუსირდება თემაზე: „შიდსით სიკვდილობის ნულოვანი მაჩვენებელი“, რაც გულისხმობს მოქმედებების გააქტიურებას დაავადების მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდის თვალსაზრისით და წარმოადგენს მოწოდებას მთავრობებისადმი, დაუყოვნებლივ განახორციელონ ქმედებები ამ მიმართულებით.

აივ-შიდსი კვლავ რჩება მსოფლიოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, განსაკუთრებით დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში. ბოლო პერიოდში ანტირეტროვირუსული პრეპარატებით მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების შედეგად, აივ-ინფიცირებული ადამიანები უფრო დიდხანს და ჯანმრთელად ცხოვრობენ. 2010 წლის ბოლოს 6.65 მილიონმა ადამიანმა ჩაიტარა მკურნალობა ანტირეტროვირუსული პრეპარატებით დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში. თუმცა 7 მილიონზე მეტ ადამიანს კვლავ ესაჭიროება მსგავსი მკურნალობა, მაგრამ მათ ჯერ ამის შესაძლებლობა არ აქვთ.

საქართველოში ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის 2012 წლის 24 ნოემბრის მონაცემებით, რეგისტრირებულია შიდსის ვირუსით ინფიცირების 3588 შემთხვევა. აქედან 2630 მამაკაცია, 958 – ქალი. შიდსი განუვითარდა 2308 პაციენტს, 779 – გარდაიცვალა. ანტირეტროვირუსულ მკურნალობაზეა 1358 პაციენტი, აქედან 37 ბავშვია.

საქართველოში 2012 წლის ბოლოს რეგისტრირებულია აივ-ინფიცირების 360 შემთხვევა. ექსპერტთა პროგნოზით, ინფიცირებულთა სავარაუდო რიცხვი 5 ათასამდეა. 2012 წელს გამოვლინდა ინფიცირების 485 ახალი შემთხვევა, რაც 11%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის პერიოდს. პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა. უკანასკნელ წლებში ქვეყანაში გამოვლენილი შემთხვევების დაახლოებით 45%-ში დიაგნოზი დასმული იქნა დაავადების შორსწასულ სტადიაზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს დაავადების გამოსავალსა და ეპიდემიის მიმდინარეობაზე.

როგორც შიდსის ცენტრში ამბობენ, რეგისტრირებულ აივ-ინფიცირებულ პაციენტთა 54% დაინფიცირდა ნარკოტიკების ინექციური მოხმარებით, 39% – ჰეტერო, ხოლო 4% –



ჰომოსექსუალური კონტაქტით. იზრდება აივ-ინფიცირებულ ორსულ ქალთა რაოდენობა.

სპეციალისტთა თქმით, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი აინფიცირებს იმუნური სისტემის უჯრედებს, აივ-ინფექცია აზიანებს და იწვევს იმუნური სისტემის ნგრევას, რაც ადამიანის ორგანიზმს უნარს ართმევს წინააღმდეგობა გაუწიოს ინფექციებსა და დაავადებებს. შიდსი შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი არის აივ-ინფექციის ბოლო სტადია. შიდსით ინფიცირებული ადამიანი უფრო მგრძნობიარე ხდება 20-ზე მეტი ინფექციისა და სიმსივნური დაავადებების მიმართ.

არსებობს აივ-ინფექციის გადაცემის რამდენიმე გზა. იგი შეიძლება გადაეცეს დაუცველი სქესობრივი კონტაქტით, ინფიცირებული სისხლის გადასხმით; აივ-ინფიცირებული სისხლით დაბინძურებული შპრიცის, ნემსის ან სხვა ბასრი ინსტრუმენტის გამოყენებით; ინფიცირებული დედისგან ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების შედეგად.

მსოფლიოში ცხოვრობს აივ-შიდსით ინფიცირებული 34 მილიონი ადამიანი, მათგან უმრავლესობა ცხოვრობს საშუალო და დაბალი შემოსავლების ქვეყნებში. დადგენილია, რომ 2010 წელს ვირუსით დაავადდა 2.7 მილიონი ადამიანი. ინფექციურ დაავადებათა შორის აივ-შიდსი არის მსოფლიოში სიკვდილობის ძირითადი მიზეზი.

საქართველო იმ ქვეყანათა შორის იმყოფება, რომელმაც უზრუნველყო შიდსით დაავადებულთათვის ანტირეტროვირუსული მკურნალობის უნივერსალური ხელმისაწვდომობა. დღეს ასეთი მკურნალობა 1358 შიდსით დაავადებულ პაციენტს უტარდება. კომბინირებული ანტირეტროვირუსული თერაპია ადამიანის ორგანიზმს იცავს აივ ვირუსის გამრავლებისგან. ვირუსის რეპროდუქციის შეჩერების შემთხვევაში ადამიანის იმუნურ უჯრედებს უნარი აქვთ უფრო დიდხანს იცოცხლონ და უზრუნველყონ ორგანიზმის დაცვა ინფექციებისგან.

2003 წლის მონაცემებთან შედარებით ანტირეტროვირუსული მკურნალობის ხელმისაწვდომობა მსოფლიოში 16-ჯერ გაიზარდა. ინფიცირებულ ბავშვთა უმრავლესობა ცხოვრობს აფრიკაში, საჰარის უდაბნოს სამხრეთ ნაწილში. ისინი აივ დადებითი ვირუსით დაავადებული დედებისგან დაინფიცირდნენ ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს. ყოველდღიურად თითქმის 1100 ბავშვი ინფიცირდება აივ-ინფექციით. იმ ბავშვთა რიცხვი, რომელთაც ანტირეტროვირუსული მკურნალობა უტარდებათ, 75 000–დან (2005 წელი) 456 000-მდე (2010 წელი) გაიზარდა.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, შესაძლებელია აივ-ინფექციის დედიდან ბავშვზე გადაცემის პრევენცია. დაბალ და საშუალო შემოსავლების ქვეყნებში პრევენციული ღონისძიებების ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი კვლავ დაბალია. მიუხედავად ამისა, პროგრესი მაინც მიღწეულია. 2010 წელს აივ-ინფიცირებულ ორსულთა 48%–მა მიიღო მკურნალობის ზედმიწევნით ეფექტური სქემები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად დედიდან ბავშვზე ვირუსის გადაცემის პრევენციის მიზნით. საქართველოში ინფიცირებულ ორსულთა სრულყოფილი პროფილაქტიკური მკურნალობის შედეგად 138 ჯანმრთელი ბავშვი დაიბადა.

არსებობს აივ-ინფექციის გადაცემის პრევენციის რამდენიმე გზა. ინფექციის გადაცემის პრევენციის ძირითადი საშუალებებია კონდომის გამოყენება, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, მათ შორის აივ-ინფექციის, ტესტირება და მკურნალობა.

ინფექციური ნარკოტიკების მოხმარებისგან თავის შეკავება, მოხმარების შემთხვევაში ახალი და ერთჯერადი ნემსის და შპრიცის გამოყენება; სისხლისა და სისხლის პროდუქტების აივ-ინფექციაზე ტესტირების უზრუნველყოფა.

ინკუბაციური პერიოდი შეიძლება საშუალოდ 3-10 წელი გაგრძელდეს. ამ პერიოდში ადამიანი პრაქტიკულად ჯანმრთელად გრძნობს თავს. შიდსი კლინიკურად გამოვლინდება იმუნური სისტემის ღრმა დაზიანების შემდეგ და მრავალფეროვნებით ხასიათდება. რაც შეეხება შიდსზე საეჭვო ნიშნებს, მას ახასიათებს ლიმფური კვანძების გადიდება, ტემპერატურის ხანგრძლივი უმიზეზო მატება, წონაში უეცარი დაკლება 10%-ით და მეტით; გახანგრძლივებული ფილტვების ანთება; ხანგრძლივი ფაღარათი, ძლიერი სისუსტე, მუქი წითელი ფერის ლაქები კანსა და ლორწოვან გარსებზე.

# ,,ნეტარ არიან დევნილნი...“ — პასუხი პატივცემულ პროფესორებს!

2011 წელს გამომცემლობა ,,უნივერსალის“ მიერ დაიბეჭდა პროფ. ვ. გურულის ავტორობით და პროფ. ა. წოწკოლაურის რედაქტორობით ,,ჯვარცმული უკვდავება და ჯვარმცმელთა სირცხვილი. 1930-1936“, რომელიც არის სტენოგრაფიული ჩანაწერების საარქივო მასალა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში სახელმწიფო უნივერსიტეტში მომხდარი ე.წ. ,,წითელი პროფესურის“ მიერ ორგანიზებული პარტიულ-სამეცნიერო კრებებისა, სადაც ისმენდნენ და განიხილავდნენ უნივერსიტეტისათვის და ზოგადად იმ სახელმწიფოსათვის არაკეთილსაიმედო პროფესურის საქმეებს.

ჩვენის აზრით, უპრიანია, შევახსენოთ პატივცემულ პროფესორებს ის, რომ მსგავსი პუბლიკაციები უნდა ქვეყნდებოდეს ცენტრალური არქივის ეგიდით, თუ ისინი ქვეყნდება პირველად, როგორც საარქივო დოკუმენტი (მაგალითად, ჟურნალ ,,საარქივო მოამბეში“). და თუ ისტორიკოსები აქვეყნებენ მას, როგორც სიახლეს, მაშინ კეთილი ინებონ და მხოლოდ ზედაპირული, არამეცნიერული და მხოლოდ იარლიყების მიწებების ფუნქციის მქონე ზოგადი შესავლითა და მდარე ხარისხის კომენტარებით ნუ შემოიფარგლებიან. ასეთი რამ არა მხოლოდ უხერხულია გამოცდილი და სახელიანი მეცნიერებისაგან, არამედ ძალზედ არაეთიკურად, არაპროფესიულად გამოიყურება. ხოლო ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ვილაცის დაკვეთის ცუდად შესრულებულ დავალებას წააგავს, რაც სამწუხაროდ, მიკერძოებულობაა.

ასევე, აღნიშნული მასალა (ჩვენ მას წიგნს და პუბლიკაციას ვერ დავარქმევთ, რადგან სწორედ რომ დაუმუშავებელი მასალაა!), უნდა ითქვას, რომ პირველად არ ქვეყნდება და იგი მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სცადა პროფ. დ. ცინცაძემ, გამოექვეყნებინა საგაზეთო სტატიებად, საცდელად გაზეთი ,,შანსი’ არჩია, თუმცაღა იგივე შეცდომა დაუშვა, რაც თქვენ. ერთი სტატია გამოვიდა კიდეც 1997 წლის გაზეთ ,,შანსის“ №033 (72) მარტის ნომერში სათაურით ,,შერისხვა წმინდისა დიდისა ბატონ ივანე ჯავახიშვილისა 1936 წლის გაზაფხულზე ბოლშევიკებისგან“, რაზეც პასუხი გავეცით იმავე გაზეთის აპრილის ნომერში სათაურით – ,,ვიდრე განიკითხავდე საქციელს სხვისას“. ახლა იძულებულნი ვართ, მეორედ გამოვაქვეყნოთ ორივე სტატია, რათა წაიკითხოთ და შესაფერისი დასკვნები გამოიტანოთ. აქვე დავსძენთ, რომ ეს პასუხი თქვენც გეხებათ პატივცემულო პროფესორებო. ასევე, გვინდა შეგახსენოთ, რომ როდესაც რაიმეს აქვეყნებთ, ნუ დაგავიწყდებათ სხვების ,,წვლილი“ იმავე საკითხების ,,კვლევაში“. ესეც ელემენტარული ეთიკის ამბავია და, სულ ცოტა, ალბათ, უნდა მოიხსენიოთ მაინც (მითუმეტეს, რომ პროფ. დ. ცინცაძე გარდაცვლილია). თორემ, ამას კარგად უწყით, რაც ჰქვია სამეცნიერო წრეებში – პლაგიატი!

ახლა გადავიდეთ თქვენს მიერ გაკეთებულ ,,აღმოჩენებზე“ და ,,სენსაციებზე“. ზემოთ აღნიშნული ,,მასალების“ 58-ე გვერდზე თქვენ სიტყვა-სიტყვით მოგაქვთ იმ პერიოდის სტენოგრაფისტის მიერ გაკეთებული კომენტარი (მესამე პირში): ,,ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის შრომების ღრმა ბოლშევიკურ-აკადემიური კრიტიკით მომხსენებელმა ფარდა ახადა ივანე ჯავახიშვილის ყველა მიმდევრებს და მეცნიერულ-აკადემიური მახვილი ჩასცა აშკარა ყალბსა და ფალსიფიკატორულ შეხედულებებს საქართველოს ისტორიის მოვლენებზე“. ვიდრე თქვენს კომენტარს შევეხებით, აქ შევჩერდეთ. ,,მასალებში“ თქვენ მოგყავთ ისტორიკოსების: ცინცაძის, ჯანელიძის, ტალახაძის, დღვილავას წარმოთქმული სიტყვები – ჩაწერილი სტენოგრაფისტის მიერ. ჩვენ, ბუნებრივია, შეკითხვა გვებადება: სად არის ლუკა ციხისთავის სიტყვა? გამოგრჩათ მისი

> **ლუკა ციხისთავი 'კონტრრევოლუციონური საქმიანობის~ ბრალდებით პირველად დაპატიმრებული იყო 1924 წელს. მეტეხის ციხეში იხდიდა სასჯელს 7 თვის განმავლობაში. მომდევნო 20-წლიანი პოლიტპატიმრობა და გადასახლება მან ციმბირში გაატარა 1937-1957 წწ.**

მოყვანა არგუმენტად? ტექსტის აკრეფისას წაიშალა? თუ საერთოდაც არ არსებობდა და მხოლოდ სტენოგრაფისტის კომენტარი იყო? აქვე, ბუნებრივია, ჩნდება კიდევ ერთი კითხვა, რომელიც, ალბათ, არაისტორიკოსებსაც გაუჩნდებოდა. თუკი პიროვნების ცოცხალი გამოსვლა არ იყო დაფიქსირებული, ეგებ სტენოგრაფისტის კომენტარი ერთგვარ დაკვეთას წარმოადგენდა? იტყვით, რომ ასეთი რამ არ ხდებოდა სტალინურ საბჭოეთში, სადაც ყველაფერს ,,ჩეკა“ აკონტროლებდა? ასეთი აზრი გამორიცხულია, რომ თქვენც არ გაგჩენოდათ პატივცემულო პროფესორებო, მრავალი სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიების ავტორებო, მაგრამ აქ რატომღაც ამდაგვარი არაფერი გაგხსენებიათ და პირდაპირ გადახვედით ცილისწამებისა და შეურაცხმყოფელი სიტყვების კორიანტელის დაყენებაზე: ,,წითელი პროფესორი“ და ,,ფილიპე მახარაძის თანამებრძოლი“ – რა ადვილია იარლიყების მიწებება! თუმცაღა, რა გასაკვირია, თქვენც ხომ იმ ეპოქისა და ფასეულობების მატარებელი ადამიანები ხართ, ეპოქისა, სადაც მთავარი ადამიანის სახელის ლაფში ამოსვრა იყო, აღარაფერს ვამბობთ პროფესიულ ეთიკაზე, რომელიც, ალბათ, არც გაგიგიათ. სინამდვილეში, რაც მოხდა იმ პერიოდში, თქვენ ეს არ გაინტერესებთ, მთავარი თქვენთვის ,,სენსაციაა“ და ამაზე დამყნობილი საკუთარი სახელების განდიდება! არადა სირცხვილია პატივცემულებო, და თქვენ დღეს არა მხოლოდ მეცნიერებად, პედაგოგებადაც მოიაზრებით...

მოვითხოვთ, გვაჩვენოთ დადასტურება ფილიპე მახარაძესთან მეგობრობის, ჩვენ კი გიჩვენებთ ლუკა ციხისთავის წერილებს ციმბირიდან (20 წლიან გადასახლებაში ნამყოფი ადამიანისა). რომელშიც არც ერთი სიტყვა არ არის ნახსენები ,,პარტიულ მამებზე“ რომ ისინი უშველიან და გამოიხსნიან. ეს არაფერზე მეტყველებს?

გვინდა, ასევე, გაუწყოთ, რომ თქვენს ახალგაზრდობაში დოც. ლ.ციხისთავი მუშაობდა უმაღლეს სკოლაში და უზადო რეპუტაციით სარგებლობდა. მასთან მეგობრობდნენ ჩვენი ქვეყნის სასახელო შვილები, მაგრამ ერთზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება – იგი იყო ცნობილი დისიდენტი და ბოლშევიკებთან შეურიგებელი მებრძოლი ღრმა სიბერემდე – ფილოსოფოსი იოსებ სალარიძე. რატომ მეგობრობდა ლუკა ციხისთავთან ეს შეურიგებელი მებრძოლი საბჭოთა წყობასთან, როგორ ფიქრობთ?. ეს ის პიროვნებაა, რომელიც უნდა გცნობებოდათ ახალგაზრდობაში, თუკი კარგად იცნობდით დისიდენტურ მოძრაობას და თუკი კარგად არის თქვენთვის ცნობილი ბედი დისიდენტებისა და გადასახლებულების. ლუკა ციხისთავი ის პიროვნება იყო, რომელიც, გადასახლებიდან ჩამოსული და იმ ჯოჯოხეთს სასწაულად გადარჩენილი, პანაშვიდების დროს კუბოში აფურთხებდა ძველ ბოლშევიკებს (კერძოდ ასეთი შემთხვევა ვიცით, უნივერსიტეტის წითელი რექტორის – ერმალო ბურჭულაძის გასვენებისას მოხდა ეს ფაქტი). ესეც ლუკა ციხისთავის მძიმე ცხოვრებიდან გამომდინარე იყო. როგორ ფიქრობთ, რატომ ვერავინ ადანაშაულებდა ამაზე იმ პერიოდში, რატომ არ სჯიდნენ? ან კი დაინტერესებულხართ მისი ბედით ოდესმე? იცით რა ბედი ეწია თქვენს მიერ დარქმეულ ,,წითელ პროფესორს“ და როგორი იყო მისი განვლილი გზა?

იმ ავად-სახსენებელ კრებას 1936 წელს ესწრებოდა დოც. ნატალია კვეზერელი-კოპაძე (აწ გარდაცვლილი ისტორიკოსი), რომელიც მაშინ ასპირანტი იყო. ჩვენ მასთან გარდაცვალებამდე ინტერვიუ ჩავწერეთ, სადაც აღწერილია იმ კრების დეტალები. ქ-ნი ნატალიას გახსენებიდან ლ.ციხისთავი საერთოდ არ გამოსულა სიტყვით. მაგრამ შემდეგ გაჩნდა სტენოგრაფისტის მიერ დაწერილი კომენტარი ,, მასალებში“. თქვენის აზრით, ეს არ არის გამოსაკვლევი? თუ იტყვით, რომ წყაროს ეყრდნობით, მაშინ გიპასუხებთ, რატომ სხვა წყაროს არ იშველიებთ სწორი დასკვნის გასაკეთებლად და რატომ გჯერათ ბრმად მხოლოდ ამ ჩანაწერის?. ჩვენის აზრით ეს სხვა არაფერია, თუ არა ისტორიის ფალსიფიკაცია! იმ პერიოდში ლუკა ციხისთავი სახელმწიფო უნივერსიტეტის ქ. ქუთაისის ფილიალის დეკანის მოვალეობას ასრულებდა, სადაც ცოტა ხანში გაეშურა და იქვე დააპატიმრეს და გადაასახლეს 20 წლით! თუ ასეთი ერთგული იყო და ასე ემსახურებოდა ბოლშევიკებს არაკეთილსაიმედოთა გამოვლენაში, რატომ დააპატიმრეს ასე სწრაფად? ივანე ჯავახიშვილის საწინააღმდეგოდ კი გამოსულან ნიკო ბერძენიშვილი და სიმონ ჯანაშია, მაგრამ რატომღაც თქვენს მიერ გამოქვეყნებულ ,,მასალებში“ ისინი მეათეხარისხოვან მოწმეებად გვევლინებიან და თანაც, არანაირი რეპრესია მათ არ შეხებიათ. ეს გახლავთ ის მონათხრობი, რაც 1997 წელს ჩავწერეთ ქ-ნი ნატალია კვეზერელი-კოპაძის ინტერვიუს დროს.

ის, რაც ,,მასალებშია“ მოტანილი, ეს არ გახლავთ ლუკა ციხისთავის სიტყვები, ეს არის საბჭოურ-ბოლშევიკური ბრტყელ-ბრტყელი დემაგოგია, ცილისწამება და სხვა არაფერი. სამწუხაროდ, საბჭოელებისგან ხომ დევნილი იყო, მაგრამ თქვენც სრულიად დაუმსახურებლად და ყოველგვარი შესწავლისა და კვლევის გარეშე განაგრძეთ მისი დევნა. მაგრამ, როგორც იტყვიან ,,ნეტარ არიან დევნილნი, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა“.

დასასრულს, ოფიციალურად მოვითხოვთ ,,მასალების“ ავტორისა და რედაქტორისგან, ან დადონ შესაფერისი არგუმენტები, წყაროები, ანდა საჯაროდ ბოდიში მოიხადონ პრესაში გამოქვეყნებით უმწიკვლო პიროვნებისა და მისი ხსოვნის ასერიგად შეურაცხყოფისათვის!

**ციხისთავების ოჯახის სახელით,**
**ნანა ციხისთავი, ისტორიკოსი**

# ბიძინა ივანიშვილი: მე-9 არხზე ყველაფერი კარგად მიდის“

ნათია ხურცილავა

**პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის განცხადებას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ქვეყანაში მიმდინარე დაკავებებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობასაც იგივე პოზიცია აქვს, რაც _ ჰილარი კლინტონს.**

– დაკავებების პროცესის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით იმავეს ვფიქრობთ ჩვენც და ვაკეთებთ კიდეც. ასე რომ, ჰილარი კლინტონის განცხადებაში არაფერი განსაკუთრებული არ თქმულა, – დასძინა ივანიშვილმა.




ჰილარი კლინტონმა საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით განცხადება საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრისას გააკეთა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, არის ეჭვი, რომ უცხოურ პრესაში პასკვილებზე გიგა ბოკერიას უწყებას 16 000 000 ლარი აქვს დახარჯული.

– სააკაშვილი ცდილობს, არასწორი ინფორმაცია გაიტანოს საზღვარგარეთ. გიგა ბოკერიას სამსახურს ბიუჯეტიდან 16 000 000 ლარი აქვს დახარჯული, თუმცა ამ ინფორმაციის „გახსნა“ ვერ მოვახერხეთ, მას გრიფი „საიდუმლო“ ადევს. ინფორმაცია გამოითხოვა ფინანსთა მინისტრმა, თუმცა მასაც არ აძლევენ. ვფიქრობ, უახლოეს დღეებში შევძლებთ სიმართლის დადგენას, თუმცა, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ბიუჯეტიდან ამ თანხებით ფინანსდებოდა პასკვილები, რაც უცხოურ პრესაში იბეჭდებოდა, – განუცხადა ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული სტატიის კომენტირებისას.

მისივე განმარტებით, ასეთი სტატიები ქართული სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობას ვერ შეაფერხებს.

– ჩვენ ვიწყებთ სამართლიანობის აღდგენას. დაკავებების პროცესი მალე ჩამთავრდება და ჩვენ მოვახერხებთ, საერთაშორისო მედიასაც გავაცნოთ მათი რეალური სახე. არ ვიმოქმედებთ იმის მიხედვით, თუ რა იწერება საზღვარგარეთ. ჩვენ ვართ საქართველოს მთავრობა და ძალიან კარგად ვფლობთ სიტუაციას. ვიცით, რაც ხდება ქვეყანაში, – აღნიშნა ივანიშვილმა.

პრემიერ-მინისტრი „მე-9 არხის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსაც გამოეხმაურა.

უკვე არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა „მე-9 არხის“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. როგორც ცნობილია, ჟურნალისტები ტელევიზიაში მიმდინარე რეორგანიზაციის პროცესს დააკვირდებიან და, მათი განცხადებით, სარედაქციო დამოუკიდებლობის დაკარგვის შემთხვევაში არხის პროტესტის ნიშნად დატოვებაზე საუბრობენ.

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის შეფასებით, ტელეკომპანია „მე-9 არხში“ მიმდინარე რეორგანიზაცია ნორმალური პროცესია. თუმცა, პრემიერს კომენტარი არ გაუკეთებია ჟურნალისტების პოზიციასთან დაკავშირებით.

– „მე-9 არხზე“ ყველაფერი კარგად ვითარდება. როგორც ვთქვი, ტელეკომპანია დარჩება. ხდება რეორგანიზაცია, ეს კი ნორმალური პროცესია, – განაცხადა ივანიშვილმა.

# ნაციონალების მთავარი საქმე უცხოეთში სიარულია

ნათია ხურცილავა

**პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ლობისტების მომსახურებას ძალიან შეეჩვია და ამას ვერ მოიშლის. როგორც უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, საქართველოს პრეზიდენტი მიეჩვია, რომ სხვადასხვა დედაქალაქში ვიღაცები სხედან და მის საქმეს აკეთებენ.**

– მსოფლიო მედიაში გამოქვეყნებულ ყველა სტატიას ერთ სიბრტყეში ვერ მოვაქცევთ. ესეც არ იყოს, ჩვენ მედიასთან საბრძოლველად არ მოვსულვართ. ჩვენ მოვედით იმისთვის, რომ ქვეყანაში არსებულ პრობლემებს ვებრძოლოთ. რაც შეეხება გარესამყაროს, მათ უნდა მივაწოდოთ რეალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება ქვეყანაში. „ნაციონალური მოძრაობა“ ახლა მხოლოდ იმითაა დაკავებული, რომ მსოფლიოს აჩვენოს, თუ როგორ ჩაგრავენ მათ. მაგალითად, მე დღეში პარლამენტში 6-7 მივლინებაზე ვაწერ ხელს, რადგან ისინი ფრაქციის სახსრებით საზღვარგარეთ დადიან. მაგათი საქმეა ახლა, რომ იარონ უცხოეთში, რათა რაც შეიძლება მეტი ინტერვიუ მისცენ, თუ როგორ ჩაგრავენ. ეს ყველაფერი ნორმის ფარგლებში ხდება და ახალი ხელისუფლება ამაზე ნამდვილად არ ღიზიანდება, – განაცხადა უსუფაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, „2003-2004 წლებში დემოკრატიულმა დასავლეთმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა“.

– ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა დემოკრატიულმა დასავლეთმა, რომელმაც 2003-2004 წლებში „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ ჩათვალა, რომ საქართველოში დემოკრატიის საქმე დასრულებული იყო და შეეძლო, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებისთვის ყურადღება აღარ მიექცია. ძალიან კარგია, რომ არჩევნების შემდეგ დემოკრატიული სამყარო მობილიზებულია და ყურადღებით აკვირდება განვითარებულ მოვლენებს. ასეთ ვითარებაში გარდაუვალია ის ამბავი, რომ საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ზედმეტად ფრთხილი დამოკიდებულებაა. ეს სწორია, რადგან ახალი ხელისუფლება მათ წინასაარჩევნო პერიპეტიებში გაიცნეს, – განაცხადა უსუფაშვილმა და დასძინა, რომ „ძალიან ხშირია გადაჭარბებული შეფასებები და უსაფუძვლო, შორს მიმავალი დასკვნები, მაგრამ ახალმა ხელისუფლებამ ამას გაღიზიანებით არ უნდა შეხედოს“.

– ყველა დაგროვილ კითხვაზე ძალიან მშვიდად უნდა გავცეთ პასუხი და საერთაშორისო საზოგადოების ნებისმიერ შენიშვნას წყნარად უნდა შევხვდეთ, – აღნიშნა უსუფაშვილმა.

ოქტომბრის არჩევნების შედეგების მშვიდობიანად აღიარება ყველა მხრიდან იყო ნაბიჯი წინ, მაგრამ, სამწუხაროდ, პირველ ოქტომბრამდე, მთელი წლის განმავლობაში, ქართული დემოკრატია ფართო ნაბიჯებით უკან იხევდა. ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა სასტუმრო „რედისონში“ არჩევნების შესახებ კონფერენციის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, მთელი წლის განმავლობაში ქართული დემოკრატია უკან იხევდა და ეს შეეხება საარჩევნო კანონმდებლობას, საარჩევნო კამპანიის დროს ოპოზიციის მიმართ განხორციელებულ რეპრესიებს.

– ამიტომ იმან, რომ 2 ოქტომბერს ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში, არ უნდა გაგვიჩინოს ილუზია, რომ საქართველოს სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები მზად არიან მსგავსი გამოწვევებისთვის. ახალმა ხელისუფლებამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაატაროს შესაბამისი რეფორმები, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისი თქმით, უკვე ითქვა, რომ უახლოეს ხანებში პარლამენტში ინტერფრაქციული ჯგუფის დონეზე დაიწყება საარჩევნო საკითხზე მუშაობა. ეს შეეხება როგორც ამომრჩეველთა სიებს, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციებს.

– მაგალითად, ეს საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შვა, ბუმერანგივით უკან ბრუნდება. ცესკო-ს 13 წევრიდან 8 წევრს „ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებდა. ახალი ხელისუფლების პირობებში ჩვენ 13-დან 12-ის კონტროლი შეგვიძლია, თუმცა ამის გაგრძელებას არ ვაპირებთ და ამ მიმართულებით სერიოზული ცვლილებები განხორციელდება, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

მისივე განცხადებით, პარტიებსა და საარჩევნო სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ მაქსიმალური შესაძლებლობა დაკვირვების, მონიტორინგის.

პარლამენტის თავმჯდომარე პრეზიდენტის მიერ დაქირავებულ ლობისტებზე დასმულ კითხვაზე ასე პასუხობს:

– ლობისტებს რაც შეეხება, მან ლობისტებს გემო გაუგო. სააკაშვილი შეეჩვია და ვერ მოიშლის ამ ამბავს. მან გაუგო გემო იმას, რომ რა კარგია, როდესაც ვიღაცები სხედან სხვადასხვა




დედაქალაქში და მის საქმეს აკეთებენ, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ იმით არის დაკავებული, რომ იარონ უცხოეთში და რაც შეიძლება ბევრი ინტერვიუ მისცენ.

– მაგალითად, დღეში 6-7 მივლინებაზე ვაწერ ხელს, რომ თავიანთი ფრაქციის სახსრებით დადიან უცხოეთში. მაგათი საქმეა ახლა, რომ უცხოეთში იარონ, რაც შეიძლება ბევრი ინტერვიუ მისცენ, თუ როგორ ჩაგრავენ მათ, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძეს გუშინ ჟურნალისტებმა უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების შეფასება სთხოვეს. ჯაფარიძის განცხადებით, თუ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში რაიმე სინამდვილეს შეესატყვისება, ის მხედველობაში უნდა მივიღოთ.

– გასაგებია, მე ახლა არ მოვახდენ დრამატიზირებას ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, „ვაშინგტონ პოსტი“ არის ერთი გამოცემა, რა თქმა უნდა, ძალიან გავლენიანი. იქ გამოთქმულ მოსაზრებებს ჩვენ ყურადღებით უნდა გავეცნოთ, თუ ამ პუბლიკაციაში რაიმე სინამდვილეს შეესატყვისება, ეს მხედველობაში უნდა მივიღოთ. რაც შეეხება ჩემს საბჭოურ წარსულს თუ „აპარატჩიკობას“, მე არ ვიცი, ამაზე კომენტარის გაკეთება ცოტა რთულია. მე ყოველთვის ვცდილობ, ადეკვატურად შევაფასო ის სიტუაცია, რაც ხდება ჩვენთან, კარგიც და ცუდიც, – განაცხადა ჯაფარიძემ.

თედო ჯაფარიძის განცხადებით, მედვედევის მიერ დასახელებული ახალი რეალობა დაკავშირებულია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების აღიარებასთან და ეს ქართული მხარისთვის მიუღებელია.

– რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესება ჩვენი სტრატეგიული ინტერესების ხარჯზე არ მოხდება, – განაცხადა ჯაფარიძემ.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეს ჟურნალისტებმა ქართველი დიპლომატების სიაზე ჰკითხეს კომენტარი. თედო ჯაფარიძე ადასტურებს, რომ არსებობს დიპლომატების სია, რომელთა გამოწვევას ახალი ხელისუფლება გეგმავს, თუმცა გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ბლოკავს.

ამის შესახებ ჯაფარიძემ იმ გავრცელებული ინფორმაციის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმად, არსებობს სია დიპლომატებისა, რომელთა გამოწვევა იგეგმება.

– მე, ისევე, როგორც თქვენ, გავიგე, რომ ასეთი სია არსებობს. უფრო მეტიც, ეს სია გადაეცა უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას, რომელსაც, თავის მხრივ, აღნიშნული სია პრეზიდენტს სააკაშვილისთვის უნდა გადაეცა. ვის ეხება ეს გამოწვევა, რომელი გვარებია ამ სიაში, ვერ გეტყვით. მე ეს სია არ მინახავს, მაგრამ გავიგე, რომ პრეზიდენტი ბლოკავს ამ გადაწყვეტილების მიღებას, – განაცხადა ჯაფარიძემ და დასძინა, რომ აღნიშნული პრობლემა მოგვარებადია, თუმცა მას გარკვეული დრო დასჭირდება.

# როდის შეიცვლება საარჩევნო სისტემა

ნათია ხურცილავა

**სასტუმრო „რედისონში“ პროექტის „რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში შეხვედრა-დისკუსია მოეწყო.**

ღონისძიებას საქართველოს მთავრობისა და ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლების, ასევე რეგიონულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი ევროკომისიის დირექტორატი, პროექტის წამყვანი ექსპერტები და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განუცხადა, ღონისძიება რეგიონული განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია.

– ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საქართველოში ევროკავშირის სპეციალური პროგრამა დაიწყო, რომლის მიზანი რეგიონული განვითარების გაუმჯობესებაა. პროექტის ფარგლებში უკვე მიღებულია და ათვისებულია პირველი ტრანში, მეორე და მესამე ტრანშიც მისაღებია, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში მნიშვნელოვნად იცვლება ვექტორი რეგიონულ განვითარებასთან დაკავშირებით, დღეს იქნება მსჯელობა იმაზე, თუ როგორ წარმოგვიდგენია მათი მხარდაჭერა და რას ვაპირებთ, რათა უკეთესი რეგიონული განვითარება და დეცენტრალიზაცია მივიღოთ, რითიც 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებს უნდა



შევხვდეთ, – განაცხადა დავით ნარმანიამ.

როგორც ცნობილია, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „რეგიონული პოლიტიკის განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში“ მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში დაბალანსებულ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. პროექტის წამყვანი ექსპერტები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დახმარებას გაუწევენ, რათა გააუმჯობესონ პოლიტიკის ფორმულირება, სტრატეგიული დაგეგმარება და რეგიონული ფონდების მენეჯმენტი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემა უნდა შეცვალოს, რათა შედეგი ამომრჩეველთა ნების გამომხატველი იყოს.

– ჩვენმა განვლილმა პრაქტიკამ, 20 წელზე მეტი გავიდა, რაც არჩევნებს ვატარებთ, გვიჩვენა იმ საარჩევნო სისტემის ნაკლოვანებები, რომლითაც დღეს საქართველოში არჩევნები იმართება. აქ ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის ის, რომ მაჟორიტარული სისტემის არჩევნები საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილ წესებს არანაირად არ შეესაბამება. ამის ძირითადი მიზეზი კი არის ის, რომ ამომრჩევლის ხმა ერთ საარჩევნო ოლქში გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე მეორეში. ამით ირღვევა თანასწორობის პრინციპი. არსებული ადმინისტრაციული დაყოფის პირობებში ამ სტანდარტების უზრუნველყოფა შეუძლებელია, ამიტომ აუცილებელია საარჩევნო სისტემის შეცვლა. ასეთ რეკომენდაციას იძლევა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. კონფერენციაზე საუბარი გვქონდა იმაზე, რომ არსებული სისტემა ისეთი სისტემით შეიცვალოს, რომელიც არჩევნების ისეთ შედეგს უზრუნველყოფს, როგორიც ამომრჩევლის ნებაა, – განაცხადა ხმალაძემ და დასძინა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემა უნდა შეიცვალოს, რათა შედეგი ამომრჩეველთა ნების გამომხატველი იყოს“.

– ამისთვის დრო საკმარისი გვაქვს. 2014 წლამდე ამის მოსწრება შესაძლებელია, – აღნიშნა ხმალაძემ.

# მარიკა ლორთქიფანიძე: ტყუილად არ მიშრომია!

ეკა ირემაშვილი

ბევრია თუ არა 90 წელი, როგორ აფასებს განვლილ ცხოვრებას და რა საჩუქარი მიიღო საქართველოს პატრიარქისგან, ამ თემებზე მარიკა ლორთქიფანიძე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**მარიკა ვერულაშვილი:**

— პირველ რიგში, ყველას დიდი მადლობა, ვინც ჩემი საიუბილეო ღონისძიებები ჩაატარა. 90 წელი ალბათ ერთი სიცოცხლისთვის ბევრია, მაგრამ როცა უკან მოიხედავ, გეცოტავება, კიდევ იმდენი რამე გინდა ადამიანს. იმდენი რამეა კიდევ წინ, თან ისეთ ახალ ეტაპში გადავედით, რომ გინდა ყველაფერს მოესწრო, თან ძალიან აჩქარდა დრო. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ახალგაზრდობისა გავატარე ისე, რომ ტელეფონი მარტო აკადემიკოს გიორგი მუხაძის ოჯახს ჰქონდა, მერე ნელ-ნელა ყველას გაგვიჩნდა ჩვეულებრივი ტელეფონი, მერე გაჩნდა მობილური ტელეფონი, ახლა ვფიქრობ, რანაირად ვცხოვრობდით აქამდე-მეთქი. მობილური ტელეფონი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ჩემი შეგნებული ცხოვრების პერიოდში მარტო ტელეფონმა ასეთი ცვლილება განიცადა და სხვა რამეზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

***— იმ დროს არ ჰქონდა თავისი ხიბლი?***

— ხიბლის რა მოგახსენოთ, მაგრამ ასე იყო და რას ვიზამთ?

***— თქვენი ძმა, ბატონი გიგა, ხელოვნებისკენ გადაიხარა. თქვენ ისტორიკოსობა რატომ აირჩიეთ?***

— ამაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, რადგან ჩვენ სკოლაში ისტორიას საერთოდ არ გვასწავლიდნენ. ჩვენ გვქონდა ბედნიერება გეოგრაფიის მასწავლებლად გვყოლოდა არაჩვეულებრივი ადამიანი ოლღა ჭეიშვილი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტი, მას ისტორიის სწავლების უფლებას არ აძლევდნენ. სკოლებში, როგორც საგანი, ისტორია არ ისწავლებოდა და ამიტომ ისტორია ცხრილში არ არსებობდა, მაგრამ ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი გვასწავლიდა ისტორიას. მერე მივხვდი, რომ ის შეგნებულად აკეთებდა ამას. რომელიმე ქვეყნის გეოგრაფიას რომ გვიხსნიდა, ჯერ მოგვიყვებოდა იმ ქვეყნის ისტორიას და მერე გადადიოდა გეოგრაფიაზე. ჩვენს ოჯახშიც იყო ინტერესი წარსულისა და ისტორიისადმი, გენეტიკისადმი. როდესაც საბჭოთა კავშირში დაიწყო ბრძოლა გენეტიკისადმი და ამბობდნენ, რა მნიშვნელობა აქვს გენეტიკასო, ბებიაჩემი თავადის ქალი იყო, მიქელაძე და თქვა, არ მესმის, თუ ცხენის ჯიში, ძაღლის ჯიში და ძროხის ჯიში არსებობს, ადამიანის ჯიში რატომ არ არსებობსო. ისიც თქვა, ჩვენ, თავადებს, მართლა ცისფერი სისხლი კი არ გვაქვს, საუკუნის მანძილზე რომ შეჯვარება ხდებოდა, ამის შედეგია, რომ ცისფერსისხლიანებად ვიწოდებითო. დედაჩემის ძმა, ყოფილი კადეტი მიხეილ მიქელაძე და დეიდაჩემის მეუღლე, მსახიობი და რეჟისორი ლელიკო ხოტივარი, ხშირად იყვნენ ჩვენთან და სადილობდნენ. ჩვენს ოჯახში მთვრალი კაცი არ მინახავს. დიდი სუფრა იყო თუ პატარა, სვამდნენ ზომიერად. სულ ორი ოთახი გვქონდა. დედაჩემს ოთახში კარადა ცოტა ირიბად ედგა. იმის უკან ხატები ელაგა და არ უნდოდა ყველა შემომსვლელს დაენახა. ერთხელ 7 თუ 8 წლის ვიყავი, მამაჩემმა დედაჩემს უთხრა განსხვავებული სასმისი მოეტანა. ვიღაცის სადღეგრძელო დალიეს და მოვკარი ყური ქაქუცა ჩოლოყაშვილს, ჩემთვის მაშინ ეს არაფერს ნიშნავდა. გავიდნენ ამ კარადის უკან, რაღაცები ილაპარაკეს, ძალიან გაგუდული ხმით იმღერეს, დალიეს პატარა ჭიქით და გამოვიდნენ. როცა სტუმრები წავიდნენ, მამას ვკითხე, ვინ არის ქაქუცა ჩოლოყაშვილი-მეთქი. მითხრა, შენ უკვე პატარა აღარ ხარ და უნდა იცოდე, მაგრამ ისიც უნდა იცოდე, რომ ეს სახელი არასოდეს უნდა ახსენოო. მაშინ მომიყვა მამა ქაქუცა ჩოლოყაშვილის შესახებ. ასე შემოდიოდა ჩემს ცნობიერებაში ცოტა წარსული და უფრო გვიანდელი წარსულის ისტორია. ჩვენ ვერაზე ვცხოვრობდით და იქ იყო ძირითადად ორი დონის მოსახლეობა — ძველი ქართული ინტელიგენცია და ძველი თბილისელები. ჩვენი დაწყებითების პედაგოგი ნინო მიქელაძე დავით მეველეს ქალიშვილი იყო, ის მაქსიმალურად ცდილობდა ეს ორი დონის მოსახლეობა ერთმანეთთან დაეახლოვებინა. მაშინ ვერ ვხდებოდი ამ ყველაფერს, თორემ ახლა უკვე ჩემთვის ყველაფერი ნათელია. საერთოდ, პედაგოგებზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ჩვენი პედაგოგები გვასწავლიდნენ მასწავლებლების პატივისცემას. ერთ მშვენიერ დღეს შემოვიდოდა ჩვენი ქართულის მასწავლებელი ონოფრე ნიკოლეიშვილი და გვეტყოდა, ბავშვებო, ადექით ფეხზე, დღეს ჩემი მასწავლებლის დაბადების თუ გარდაცვალების დღეა და პატივი მივაგოთ მის ხსოვნასო. ჩვენ კი ვდგებოდით ფეხზე, მაგრამ ირონიულად გვეღიმებოდა ხოლმე. ამასაც ვერ ვაცნობიერებდი და გვიან მივხვდი, რომ მას არაფერში სჭირდებოდა ჩვენი ფეხზე ადგომა და ერთი წუთით გაჩუმება, მას სჭირდებოდა ჩვენ გვცოდნოდა, რომ მასწავლებელს პატივი უნდა სცე. მოგვიანებით მისი საფლავი ქუთაისში მწვანე ყვავილას სასაფლაოზე ვნახე, მას ასე აწერია, „ძვირფას მასწავლებელს მადლიერი მოსწავლეებისგან“ და მაშინ მივხვდი, რომ მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო სწორედ მოწაფეების მადლიერებაა.

***— უნივერსიტეტში ისტორიულზე ჩააბარეთ?***

— როცა სკოლა დავამთავრეთ, გავიგეთ, რომ იმ წელს უნივერსიტეტში გაიხსნა ისტორიის ფაკულტეტზე ახალი სპეციალობა — ხელოვნების ისტორია. კლასის რამდენიმე ამხანაგმა გადავწყვიტეთ იქ ჩაგვებარებინა. როცა საბუთები უნდა შეგვეტანა, ერთ-ერთი ამხანაგის დედამ გვკითხა, სად აპირებთ ჩაბარებასო, რომ ვუთხარით, გაუკვირდა, როგორი არაპრაქტიკულები ხართო. შეიტანეთ სამედიცინოზეო, მან რუსულად გვითხრა, ვრაჩ ი სდეს ვრაჩ, ი ვ ტურმე ვრაჩ, ი ვ სილკე ვრაჩ, კამუ ვაშა ისკუსტვა ნადაო. სიმართლე რომ გითხრათ, არც ერთს არ გაგვკვირვებია მისი ნათქვამი, მაგრამ მაინც იქ ჩავაბარეთ, სადაც გვინდოდა. როცა მოვეწყეთ, ცოტა მატრაკვეცა ბავშვები ვიყავით და ცხრილში ივანე ჯავახიშვილის ძებნა დავიწყეთ. მას უკვე გავლილი ჰქონდა დევნის პერიოდი და ყველანაირად რეაბილიტირებული იყო. აღმოჩნდა, რომ ისტორიკოსებთან ის კითხულობდა სპეციალურ კურსებს მხოლოდ მესამე კურსიდან. არ მოვინდომეთ მესამე კურსამდე დაცდა და აღმოვაჩინეთ, რომ იურიდიული ფაკულტეტის ერთ-ერთ კურსს უკითხავდა ქართული სამართლის ისტორიას. მივედით სტუდენტებთან და ვთხოვეთ, რომ ოთხი-ხუთი სტუდენტი დავესწრებით მის ლექციებს და არ გაგვცეთო. შემობრძანდებოდა ბატონი ივანე შავი პორტფელით ხელში, დადებდა მას მერხზე, იქიდან ამოალაგებდა ბარათებს, სადაც ამოწერილი ჰქონდა ციტატები ქართული სამართლის ძეგლებიდან და ორნაირად უდგებოდა საკითხს, ან თეორიულ დებულებას ჩამოაყალიბებდა და ამ დებულების დასასაბუთებლად კითხულობდა ამ ბარათებიდან, ან პირიქით, ჯერ დებულებებს წაიკითხავდა და მერე ამის საფუძველზე აყალიბებდა თეორიას. ცოტა გვიჭირდა გაგება, მაგრამ ძალიან საინტერესო ლექციები იყო და გატრუნულები ვუსმენდით. ლექციებს სისტემატურად ვესწრებოდით. მას გამოცხადებული ჰქონდა, რომ ლექციის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მისთვის დაესვათ შეკითხვები და ის უპასუხებდა, მაგრამ ვინაიდან სმენა ცოტა დაქვეითებული ჰქონდა, შეკითხვებს წერილობით აწვდიდნენ. ძალიან საინტერესო კითხვა-პასუხი იყო ხოლმე. ერთხელაც მიუვიდა ფურცელი, რომელზეც ეწერა: სტალინური მოძღვრების თანახმად, ერის ჩამოყალიბების შესახებ, ქართველი ერი XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. თქვენ კი საიდან იწყებთ ქართველი ერის ისტორიას? შეიძლება ეს საგანგებოდ იყო დაწერილი, შეიძლება გულწრფელად იყო ნაკითხი, არ ვიცი. გაიტრუნა აუდიტორია. ბატონმა ივანემ მთელი თავისი გუდანაბადი აკრიფა, ჩაალაგა პორტფელში, მოკიდა ხელი და წავიდა. შეკითხვაზე პასუხი არ გაუცია, ეს ფურცელი წვრილ-წვრილად დაკეცა, დახია და სამელნის ჩასადებში ჩაყარა. გავოგნდით. ჩემი მეგობარი ბიჭები ამბობდნენ, რომ ბატონი ივანე ძალიან სწორად მოიქცა, როცა ამ შეკითხვას პასუხი არ გასცაო. მე კი დიდხანს ვბორგავდი, რომ კითხვაზე პასუხი მაინც უნდა გაეცა-მეთქი. ძალიან გვიან მივხვდი, რომ ბიჭები მართლები იყვნენ. მერე იმაზე ვინერვიულეთ, რას უზამდნენ ივანე ჯავახიშვილს.

***— შეიძლებოდა, რომ დაესაჯათ?***

— უკვე აღარ შეიძლებოდა. ის საკავშირო აკადემიის აკადემიკოსი იყო, უზენაესი საბჭოს წევრი იყო. შეიძლება რამე უთხრეს, მაგრამ გარეგნულად არ შეტყობია.

***— თქვენ თუ მოახერხეთ მისთვის კითხვის დასმა?***

— არა, ჩვენ გასუსულები ვუსმენდით. ჩვენ არ ვიყავით მათი სტუდენტები და ამის უფლებას ვერ მივცემდით ჩვენს თავს.

***— მოგვიანებითაც არ გაგიმხელიათ მისთვის, რომ ქურდულად ესწრებოდით მის ლექციებს?***

— ამას როგორ გავუბედავდით? სანამ ჩვენ მესამე კურსამდე მივედით, ივანე ჯავახიშვილი გარდაიცვალა და ბედნიერები ვიყავით, რომ მოვესწარით მის ლექციებზე ყოფნას. ასე ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ჩემში და ჩემს მეგობრებში ლტოლვა ხელოვნებისადმი. მერე დაიწყო მსოფლიო ომი, ვის ეცალა ხელოვნებისთვის, დაიწყო ფაკულტეტების შეერთება, ჩვენ გაგვაერთიანეს ფილოსოფიის ფაკულტეტთან, ხუთწლიანი სწავლებიდან გადაგვიყვანეს ოთხწლიან სწავლებაზე, საგნებიც შემცირდა და ძალიან დაჩქარებულად დავამთავრეთ უნივერსიტეტი, თუმცა მან მაინც ძალიან ბევრი რამ მოგვცა. პირველ კურსზე საქართველოს ისტორიას, უძველესი დროიდან თამარის მეფობის ჩათვლით, გვიკითხავდა სიმონ ჯანაშია. შესანიშნავი გარეგნობის მამაკაცი იყო, დინჯი, არც ერთი ზედმეტი სიტყვა, არავითარი პატრიოტული მოწოდებები მის ლექციებში არ იყო, მაგრამ ჩვენ ვგრძნობდით, რომ ქვეტექსტით ის სწორედ პატრიოტობას გვასწავლიდა, ახლაც არ ვიცი, რანაირად ხდებოდა ეს, მაგრამ ასე იყო. საქართველოს ისტორიის მეორე ნაწილს XIII-XVIII საუკუნეებს სრულიად განსხვავებული პიროვნება ნიკო ბერძენიშვილი გვიკითხავდა, ემოციური კაცი, მაგრამ არც ის აძლევდა თავს უფლებას პატრიოტიზმისკენ მოეწოდებინა, თუმცა მისი ლექციაც ამას



ემსახურებოდა. ასე ჩამოვყალიბდით და ბევრი რამ მივიღეთ უნივერსიტეტში. საუკეთესო პედაგოგები და მეცნიერები გვასწავლიდნენ. თავიდან ისტორიის ფაკულტეტზე 100-ზე მეტი სტუდენტი ვიყავით, მაგრამ ომის გამო ცოტანი დავრჩით. სახელმწიფო გამოცდები პირველად ხუთმა თუ ექვსმა სტუდენტმა ჩავაბარეთ, რადგან ფაკულტეტი დაიქსაქსა. კომისიის თავმჯდომარე სიმონ ჯანაშია იყო, მასთან ერთად გამოცდებს იბარებდნენ ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ნიორაძე, გიორგი ჩიტაია, ალექსანდრე ნამორაძე, კოტე ბაქრაძე. თითქმის ყველამ დავიმსახურეთ მიწვევა დარგზე. გიორგი ნამორაძემ რომ მითხრა, ხომ არ წამოხვალ ჩემთან არქეოლოგიაშიო, მაშინ ბავშვი ვიყავი და ვუთხარი, ბატონო გიორგი, მე ქალი ვარ, უნდა გავთხოვდე, შვილები უნდა გავაჩინო, არქეოლოგი კი ნახევარ წელიწადზე მეტი სახლში არ არის და რანაირად-მეთქი. დამანება თავი. მახსოვს, როცა უკვე უნივერსიტეტში ვმუშაობდი და სახელმწიფო გამოცდების თავმჯდომარე ბატონი გიორგი იყო, მე კი მდივანი, დამაბეზღა, გამოაცხადა, მარიკამ ასე მითხრაო. მე კი მიამიტობით მომივიდა, მაგრამ მაინც გამთქვა. როცა ყველაფერი დამთავრდა, ბატონმა სიმონმა მითხრა, რომ გამოვაცხადო მიღება საქართველოს ისტორიაში თუ წამოხვალო. ისე გამიკვირდა, გავოგნდი და ხმა ველარ ამოვიღე, მაშინვე ჩამეკითხა, არ გინდაო, კი, კი, როგორ არა-მეთქი, შემეშინდა და მაშინვე ვუპასუხე. რომ გამოცხადდა მიღება საქართველოს ისტორიაში, საბუთები შევიტანეთ მე და გივი კილურაძემ. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა ჩვენი ფაკულტეტის მდივანი და მითხრა, შენ და გივი კილურაძეს კანცელარიაში გიბარებენო. რომ მივედით, საბუთები უკან გამოგვატანეს, გამოცდების ჩაბარებაზე უარი გვითხრეს. გივის მამა ნატახტრის მშენებლობის უფროსი იყო და დახვრიტეს ოფიციალური ბრალდებით, რომ მას უნდა მოეწამლა ნატახტარში წყალი, რათა თბილისის მოსახლეობა მოწამლულიყო. მე კი იმიტომ დამიბრუნეს საბუთები, რომ მამა რეპრესირებული მყავდა. გადავწყვიტე მივსულიყავი ბატონ სიმონთან და ყველაფერი მეთქვა. რამდენიმე დღის შემდეგ მდივანი ისევ მოვიდა და მითხრა, მოძებნე გივი და მოდით კანცელარიაშიო. მივედით და გვითხრეს, მოიტანეთ საბუთები, თქვენ დაგრთეს გამოცდების ჩაბარების უფლებაო. როცა მადლობის სათქმელად რექტორთან შევედით, მან გვითხრა, მე ნუ მეუბნებით მადლობას, მადლობა უთხარით სიმონ ჯანაშიასო. მიუხედავად იმისა, რომ ის მთავრობის კაცად ითვლებოდა, მაინც ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა, სარგებლობდა იმით, რომ მთავრობის კაცად იყო მიჩნეული. გავხდი სიმონ ჯანაშიას ასპირანტი, სულ მახსოვს მისი ნათქვამი, თქვენ გაქვთ უფლება არ იყოთ კარგი ისტორიკოსები, მაგრამ თქვენ უნდა იყოთ კარგი პიროვნებებიო. რას ნიშნავდა კარგი პიროვნება, ამის მაგალითს ის თვითონ იძლეოდა. სამი წელი ვიმუშავე ბატონ სიმონთან, როგორც კი დავამთავრე ასპირანტურა, წამიყვანა აკადემიაში, ისტორიის ინსტიტუტში, შემიყვანა ისტორიის განყოფილებაში და იქ დამსვა უმცროს მეცნიერ მუშაკად, როცა საკანდიდატო დისერტაცია დავამთავრე, მივიტანე ბატონ სიმონთან, რომელიც მაშინ ბაგინეთში იყო წასული.

***— ერთხელ მაინც არ მოგიწიათ არქეოლოგიურ გათხრებზე ყოფნა?***

— კი, როგორ არა. როგორც კი აღმოაჩენდნენ რაიმე საინტერესოს, მაშინვე გვეძახდნენ. ისტორიკოსებს გვაძლევდნენ მანქანას და მივდიოდით, ვესწრებოდით საფლავის გახსნას და სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს. როცა ჩავედი ბაგინეთში, ძალიან ვინერვიულე, მან კი მითხრა, მარიკავ ჩემო, ძალიან მომეწონა თქვენი დისერტაციაო და ამივარდა ხმამაღალი ტირილი. შემოვიდა დედამისი და ჰკითხა, სიმონიკო, რა უთხარი ამისთანა, რომ ასე ტირის მარიკაო. მანაც უპასუხა, ვუთხარი, რომ მომეწონა მისი დისერტაცია, ალბათ უნდა მეთქვა, რომ არ მომეწონა და აღარ იტირებდაო. ბევრი რამ ვისწავლე ბატონი სიმონისგან, ისიც კი, როგორ უნდა მოექცე სხვის აზრს. სამი შენიშვნა მომცა, თან მითხრა, დაფიქრდით, როგორც თქვენ ჩათვლით საჭიროდ, ისე მოიქეცითო. ასე ვიყავი ჩემს მოწაფეებთანაც, არ მავიწყდებოდა, რომ ახალი აზრის გარეშე მეცნიერება ვერ განვითარდება. ბატონმა სიმონმა კი წაიკითხა ჩემი დისერტაცია და მსვლელობაც მისცა, მაგრამ გარდაიცვალა, დისერტაცია მის გარეშე დავიცავი. ორი შავი მაინც მივიღე, ვისგან მივიღე და რატომ, ისიც ვიცი, რადგან ჩემს დისერტაციაში საუბარი იყო ქართულ ეკლესიაზე, რომელმაც ძალიან დიდი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში. როცა გადაწყდა ჩემი სადისერტაციო ნაშრომის წიგნად გამოცემა, მირჩიეს ეს თემა ამომეღო, მაგრამ არ ამოვიღე და მაინც დავტოვე, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ასეა.

***— თქვენ ჩვენი პატრიარქის აღსაყდრებასაც ესწრებოდით. როგორ გახსენდებათ ეს დღე?***

— ჩვენი პატრიარქი მაშინ ცხუმ-აფხაზეთში მსახურობდა. არ ვიცნობდი და არაფერი მის შესახებ არ ვიცოდი, მაგრამ იყო ასეთი ქალბატონი ბაბო დადიანი, რომელმაც რაღაც ჯგუფი შეადგინა და განუმარტა, ვინ იყო ეს კაცი და რომ უნდა გაგვეკეთებინა ყველაფერი, რომ ის აერჩიათ პატრიარქად. ჩვენ რას გვეკითხებოდა ვინმე, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი უნდა შეგვექმნა მის სასარგებლოდ. თუკი სინოდის სხდომამდე ერთი დღით ადრე ხელისუფლებისგან მოდიოდა აზრი, რომ არავითარ შემთხვევაში ღუდუშაური არ ყოფილიყო არჩეული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, მეორე დღეს ილია მეორე საქართველოს პატრიარქი გახდა და ეს ღვთის ნება იყო. ჩვენ კი ძალიან ვცდილობდით და შევქმენით საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ ვინ გაუწევდა ამ აზრს ანგარიშს? ძალიან ბედნიერები ვიყავით, როცა პატრიარქად ილია მეორე დასახელდა და მის ინტრონიზაციასაც დავესწარი. არასოდეს დამავიწყდება საჩუქარი, რომელიც პატრიარქმა გამიკეთა: 25 თებერვალს ჩემი კლასის ამხანაგის გოგი ფუთურიძის დაბადების დღეა, იმ დღესაც იქ ვიყავით კლასის ამხანაგები. მოვიდა ჩემი რძალი ირინა და მეუბნება, დარეკეს საპატრიარქოდან, მარიკა და მისი ოჯახის წევრები საჩქაროდ მოვიდნენო. მაშინ პატრიარქი საგვარეულოებს ლოცავდა და ვიფიქრე, ალბათ ამიტომ გვეძახის-მეთქი. გიგასაც შევატყობინე, ყველანი შევიკრიბეთ და წავედით. რომ მივედი, ბევრი ხალხი იყო, ვიფიქრე, ალბათ მარტო ჩემს საგვარეულოს და ოჯახს კი არა, სხვებსაც ლოცავს-მეთქი. როგორც კი მივედით, მაშინვე პატრიარქის ოთახში შემიყვანეს, მან მომკიდა ხელი და წამიყვანა დიდ დარბაზში, პატრიარქის სავარძლის გვერდით მეორე სავარძელი იდგა და მითხრა, აქ, ჩემს გვერდით დაჯექიო. ცოტა ხანში გამოაცხადა, დღეს ჩვენ ქალბატონ მარიკას ვულოცავთ საიუბილეო მოღვაწეობასო და ამასთან დაკავშირებით სიტყვა მისცა როინ მეტრეველს, რამდენიმე ჩემი სტუდენტიც გამოვიდა, მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ბოლოს პატრიარქმა თქვა, შემოიტანეთო. შემოიტანეს წმინდა გიორგის ოქროს ჯვარი, ეს ხომ ხელოვნების ზღაპრული ნიმუშია. ჩამომკიდა ეს ჯვარი მისმა უწმინდესობამ და ბოლოს გააკეთა ასეთი განცხადება, ქალბატონი მარიკა ლორთქიფანიძე არის საქართველოს დედაო, მაშინ კი გავტყდი და ცრემლები წამომივიდა. შეიძლება პატრიარქმა ცოტა გადააჭარბა, მაგრამ ამაზე დიდი შეფასება ადამიანებისგან არ მიმიღია და არც შემიძლია მიმეღო.

***— ქალბატონო მარიკა, თქვენი ვაჟიც რომ ისტორიით დაინტერესდა, თქვენი ბრალია?***

— არასოდეს მითქვამს მისთვის, რომ ისტორიის ფაკულტეტზე შედი-მეთქი, მაგრამ ის თვითონ ჩამოყალიბდა ამ თვალსაზრისით. ჩვენ ახლაც ვკამათობთ და მაშინაც ვკამათობდით, ეს ბუნებრივი ამბავია.

***— ოჯახმა რამდენად შეგიწყოთ ხელი იმაში, რომ თქვენს პროფესიაში ბოლომდე დახარჯულიყავით და კომფორტულად გემუშავათ?***

— ყოველ შემთხვევაში, ხელს არავინ მიშლიდა. ერთხელ საუბარში ვთქვი, რომ ქალის უპირველესი დანიშნულება არის ოჯახი და შვილები. მერე წამომაძახეს, შენ რას აკეთებო? ცოტა გავთავხედდი და ვთქვი, ორივე შეუძლია იმას, ვისაც ორივეს გაძლოლის უნარი აქვს-მეთქი.

***— ქალბატონო მარიკა, იქნებოდით საქართველოს მემატიანე, თუნდაც ბოლო პროცესებთან დაკავშირებით?***

— თუ გადახედავთ ჩემს ინტერვიუებს, ყოველთვის კრიტიკულ განცხადებებს ვაკეთებდი, რა თქმა უნდა, ფრთხილად. ჩვენ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მტკივნეული პროცესები გავიარეთ — დავკარგეთ ტერიტორიები, ამიტომ კრიტიკა აუცილებელი იყო.

# ესპანეთში მადრიდული დერბია, იტალიაში — ტურინული



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01.12 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 4.0 | 3.3 | 1.95 |
| 01.12 | ფულემი-ტოტენჰემი | 2.87 | 3.4 | 2.37 |
| 01.12 | არსენალი-სუონსი | 1.44 | 4.5 | 7.0 |
| 01.12 | ლივერპული-საუთჰემპტონი | 1.36 | 4.8 | 8.5 |
| 01.12 | ვესტ ბრომვიჩი-სტოკი | 2.0 | 3.3 | 3.6 |
| 01.12 | ქპრ-ასტონ ვილა | 2.0 | 3.3 | 3.8 |
| 01.12 | სიტი-ევერტონი | 1.53 | 4.33 | 5.5 |
| 01.12 | რედინგი-მანჩესტერი | 7.0 | 4.4 | 1.44 |
| 02.12 | ნორვიჩი-სანდერლენდი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 03.12 | ნიუკასლი-უიგანი | 2.0 | 3.4 | 3.75 |

**ვესტ ჰემი-ჩელსი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-იოსი ბენაიუნი, მეტ იარვისი, რიკარდო ვაზ ტე, ალუ დიარა

ჩელსი: ***ტრავმ***-დანიელ სტარიჯი, ჯონ ტერი, ფრენკ ლამპარდი

**ფულემი-ტოტენჰემი**

ფულემი: ***ტრავმ***-ბრაიან რუისი, მლადენ პეტრიჩი, ალექსანდრ კაჩანიკლიჩი, კირონ რიჩარდსონი, მაჰამადუ დიარა, სიმონ დევისი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-სტივენ კოლკერი, მუსა დემბელე, ბენუა ასოუ-ეკოტო, იუნის ქაბული

**არსენალი-სუონსი**

არსენალი: ***ტრავმ***-თეო უოლკოტი, ანდრე სანტოსი, ჟერვინიო, კირონ გიბსი, აბუ დიაბი, ლუკაშ ფაბიანსკი, ტომაშ როსიცკი

სუონსი: ***ტრავმ***-ლეროოი ლიტა, კი სუნ უენი, მაიკლ ვორმი, ნეილ ტეილორი

**ლივერპული-საუთჰემპტონი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ფაბიო ბორინი, მარტინ კელი, ლუკაშ ლეივა

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-რიჩარდ ჩაპლოუ, ფრეიზერ რიჩარდსონი

**ვესტ ბრომვიჩი-სტოკი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-გარეთ მკალეი, ბენ ფოსტერი, სტივენ რიდი

სტოკი: ***ტრავმ***-ენდი უილკინსონი, რორი დელაპი, მაიკლ ოუენი, მარკ უილსონი

**ქპრ-ასტონ ვილა**

ქპრ: ***ტრავმ***-ბობო ზამორა, პარკ ჯუ სუნი, ენდრიუ ჯონსონი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-ჩარლზ ნზოგბია, ჯო ბენეტი, დარენ ბენტი, კრის ჰერდი, გარი გარდნერი, სტილიან პეტროვი

**სიტი-ევერტონი**

სიტი: ***ტრავმ***-გაელ კლიში, მარიო ბალოტელი, ჯეიმს მილნერი, მიკა რიჩარდსი, ჯეკ როდველი

ევერტონი: ***ტრავმ***-ფილ ნევილი, კევინ მირალისი, ტონი ჰიბერტი, ვიქტორ ანიშებე, დარონ გიბსონი

**რედინგი-მანჩესტერი**

რედინგი: ***ტრავმ***-ჯიმი კებე, ალექს მაკარტი, ჯიმ კარაკანი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-დავიდ დე ხეა, უეინ რუნი, ნანი, ჯონი ევანსი, შინჯი კაგავა, ნემანია ვიდიჩი

**ნორვიჩი-სანდერლენდი**

ნორვიჩი: ***ტრავმ***-რასელ მარტინი, ჰერი კეინი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ვესლი ბრაუნი

**ნიუკასლი-უიგანი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-გაბრიელ ობერტანი, იოან კაბაიე, ხონას გუტიერესი, რაიან ტეილორი

უიგანი: ***ტრავმ***-გარი კოლდუელი, ბენ უოტსონი, ჯეიმს მაკკარტური, ანტოლინ ალკარაზი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 14 | 11 | 0 | 3 | 33:18 | 33 |
| 2.სიტი | 14 | 9 | 5 | 0 | 27:10 | 32 |
| 3.ჩელსი | 14 | 7 | 5 | 2 | 24:13 | 26 |
| 4.ვესტ ბრომვიჩი | 14 | 8 | 2 | 4 | 24:18 | 26 |
| 5.ტოტენჰემი | 14 | 7 | 2 | 5 | 25:23 | 23 |
| 6.ევერტონი | 14 | 5 | 7 | 2 | 24:18 | 22 |
| 7.არსენალი | 14 | 5 | 6 | 3 | 24:14 | 21 |
| 8.სუონსი | 14 | 5 | 5 | 4 | 21:17 | 20 |
| 9.სტოკი | 14 | 4 | 7 | 3 | 13:12 | 19 |
| 10.ვესტ ჰემი | 14 | 5 | 4 | 5 | 16:16 | 19 |
| 11.ფულემი | 14 | 4 | 5 | 5 | 25:23 | 17 |
| 12.ლივერპული | 14 | 3 | 7 | 4 | 18:18 | 16 |
| 13.ნორვიჩი | 14 | 3 | 7 | 4 | 11:20 | 16 |
| 14.ნიუკასლი | 14 | 3 | 5 | 6 | 14:21 | 14 |
| 15.უიგანი | 14 | 4 | 2 | 8 | 15:25 | 14 |
| 16.სანდერლენდი | 13 | 2 | 7 | 4 | 12:16 | 13 |
| 17.ასტონ ვილა | 14 | 3 | 4 | 7 | 11:22 | 13 |
| 18.საუთჰემპტონი | 14 | 3 | 3 | 8 | 21:31 | 12 |
| 19.რედინგი | 13 | 1 | 6 | 6 | 16:23 | 9 |
| 20.ქპრ | 14 | 0 | 5 | 9 | 10:26 | 5 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01.12 | ხეტაფე-მალაგა | 2.55 | 3.3 | 2.7 |
| 01.12 | ვალენსია-სოსიედადი | 1.57 | 3.75 | 6.0 |
| 01.12 | ბარსელონა-ბილბაო | 1.1 | 9.5 | 21.0 |
| 01.12 | რეალი-ატლეტიკო | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 02.12 | გრანადა-ესპანიოლი | 2.1 | 3.4 | 3.5 |
| 02.12 | დეპორტივო-ბეტისი | 2.2 | 3.3 | 3.25 |
| 02.12 | სელტა-ლევანტე | 2.0 | 3.4 | 3.8 |
| 02.12 | მალიორკა-სარაგოსა | 1.95 | 3.4 | 3.8 |
| 03.12 | სევილია-ვალიადოლიდი | 1.73 | 3.8 | 4.6 |

**ხეტაფე-მალაგა**

ხეტაფე: ***ტრავმ***-რაფა ლოპესი, დავიდ აბრაჰამი

მალაგა: ***ტრავმ***-სერხიო სანჩესი, ნაჩო მონრეალი, ჟულიო ბაპტისტა

**ვალენსია-სოსიედადი**

ვალენსია: ***ტრავმ***-ჟოაო პერეირა, ფერნანდო გაგო, პაბლო პიატი, ჟერემი მეტიუ, სერხიო კანალესი

სოსიედადი: ***ტრავმ***-მარკელ ბერგარა, გორკა ელუსტონდო, კადამურო

**ბარსელონა-ბილბაო**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ალექსის სანჩისი, ადრიანო, ერიკ აბიდალი, ტიაგო ალკანტარა

ბილბაო: ***ტრავმ***-ფერნანდო ამორებიეტა, რუის დე გალარეტა, ინიგო პერესი

**რეალი-ატლეტიკო**

რეალი: ***ტრავმ***-გონსალო იგუაინი, მარსელო

ატლეტიკო: ***ტრავმ***-სილვიო

**გრანადა-ესპანიოლი**

გრანადა: ***ტრავმ***-ჰასან იებდა, მიკელ რიკო, ხაიმე რომერო

ესპანიოლი: ***ტრავმ***-არავინ

**დეპორტივო-ბეტისი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-ნელსონ ოლივეირა, დიოგო სალომაო

ბეტისი: ***ტრავმ***-დამიენ პერკი

**სელტა-ლევანტე**

სელტა: ***ტრავმ***-სამუელ ლორკა, ნაჩო ილსა

ლევანტე: ***ტრავმ***-თეოფანოს გეკასი, დარიუს დუდკა

**მალიორკა-სარაგოსა**

მალიორკა: ***ტრავმ***-ჯოვანი დოს სანტოსი, ჟოაო ვიქტორი, ხავი მარკესი, ნუნესი, ანტონიო ლოპესი

სარაგოსა: ***ტრავმ***-გლენ ლოვენსი, ივან ობრადოვიჩი

**სევილია-ვალიადოლიდი**

სევილია: ***ტრავმ***-პიოტრ ტროხოვსკი

ვალიადოლიდი: ***ტრავმ***-ენრიკე სერენო, მარკ ვალიენტე

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 12 | 1 | 0 | 43:15 | 37 |
| 2.ატლეტიკო | 13 | 11 | 1 | 1 | 29:11 | 34 |
| 3.რეალი | 13 | 8 | 2 | 3 | 32:10 | 26 |
| 4.მალაგა | 13 | 6 | 4 | 3 | 19:9 | 22 |
| 5.ბეტისი | 13 | 7 | 1 | 5 | 20:22 | 22 |
| 6.ლევანტე | 13 | 6 | 2 | 5 | 15:20 | 20 |
| 7.ხეტაფე | 13 | 6 | 1 | 6 | 16:19 | 19 |
| 8.რაიო | 13 | 6 | 1 | 6 | 18:29 | 19 |
| 9.ვალიადოლიდი | 13 | 5 | 3 | 5 | 18:14 | 18 |
| 10.სევილია | 13 | 5 | 3 | 5 | 18:18 | 18 |
| 11.ვალენსია | 13 | 5 | 3 | 5 | 16:18 | 18 |
| 12.სოსიედადი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:16 | 17 |
| 13.სარაგოსა | 13 | 5 | 0 | 8 | 15:22 | 15 |
| 14.ბილბაო | 13 | 4 | 3 | 6 | 18:27 | 15 |
| 15.სელტა | 13 | 4 | 2 | 7 | 15:18 | 14 |
| 16.მალიორკა | 13 | 3 | 3 | 7 | 13:22 | 12 |
| 17.დეპორტივო | 13 | 2 | 5 | 6 | 19:28 | 11 |
| 18.გრანადა | 13 | 3 | 2 | 8 | 11:20 | 11 |
| 19.ოსასუნა | 13 | 2 | 3 | 7 | 11:15 | 10 |
| 20.ესპანიოლი | 13 | 2 | 3 | 8 | 13:22 | 9 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01.12 | იუვენტუსი-ტორინო | 1.33 | 4.8 | 10.0 |
| 02.12 | ნაპოლი-პესკარა | 1.22 | 6.0 | 13.0 |
| 02.12 | უდინეზე-კალიარი | 1.95 | 3.3 | 4.0 |
| 02.12 | ლაციო-პარმა | 1.75 | 3.5 | 4.75 |
| 02.12 | ინტერი-პალერმო | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 02.12 | ჯენოა-კიევო | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 02.12 | ბოლონია-ატალანტა | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 02.12 | სიენა-რომა | 3.6 | 3.5 | 2.0 |
| 02.12 | ფიორენტინა-სამპდორია | 1.44 | 4.33 | 7.0 |

**იუვენტუსი-ტორინო**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-მირკო ვუჩინიჩი

ტორინო: ***ტრავმ***-ჯუზეპე ვივესი, ანჯელო ოგბონა

**ნაპოლი-პესკარა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-გორან პანდევი

პესკარა: ***ტრავმ***-ვლადიმირ ვაისი, მანუელ ბლაზი, ჯუზეპე კოლუჩი, კრისტიან ტერლიცი

**უდინეზე-კალიარი**

უდინეზე: ***ტრავმ***-დუშან ბასტა, ჯანპიერო პინცი, მეჰდი ბეთანია

კალიარი: ***ტრავმ***-ლორენცო არაუდო, ვიჩენცო კამილიერი

**ლაციო-პარმა**

ლაციო: ***ტრავმ***-მიროსლავ კლოზე, მაურო სარატე, კრისტიან ბროკი, ანდრე დიასი, ერნანდესი

პარმა: ***ტრავმ***-დანიელე გალოპა, ფაბიანო სანტაკროჩე

**ინტერი-პალერმო**

ინტერი: ***ტრავმ***-ფრედი გუარინი, გაბი მუდინგაი, ჯოელ ობი, ვალტერ სამუელი, კოუტინიუ, დეიან სტანკოვიჩი

პალერმო: ***ტრავმ***-ანდრეა მანტოვანი, მაურო კეტო, აბელ ერნანდესი

**ჯენოა-კიევო**

ჯენოა: ***ტრავმ***-იურაი კუჩკა, ლეონარდო მელაზი, მარიო პისიტელა, ანსელმო, კრისტობალ ხორკერა, ხუან ვარგასი, დამიანო ფერონეტი

კიევო: ***ტრავმ***-პოლ პაპი, ნიკოლას ფრეი, მარკო რიგონი, ბოსტიან სეზარი, ლორენცო სკუზი

**ბოლონია-ატალანტა**

ბოლონია: ***ტრავმ***-მიქელე პაციენცა, ნიკო პულზეტი, როჟერ კარვალიუ, არხიმედ მორლეო, ჩეზარე ნატალი

ატალანტა: ***ტრავმ***-ჯანპაოლო ბელინი, დანიელე კაპელი

**სიენა-რომა**

სიენა: ***ტრავმ***-მასიმო პაჩი, რეჯინალდო, ზე ედუარდუ, გაეტანო დაგოსტინო, რიბაირ როდრიგესი, ალესანდრო როსინა

რომა: ***ტრავმ***-პაბლო ოსვალდო, როდრიგო ტადეი, დანიელე დე როსი, პანაგიოტის ტაჩტიდისი, მარტინ სტეკელენბურგი

**ფიორენტინა-სამპდორია**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-სტევან იოვეტიჩი

სამპდორია: ***ტრავმ***-ედერი, მაქსი ლოპესი, გაეტანო ბერარდი, ნიკოლა პოცი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 14 | 10 | 2 | 2 | 29:10 | 32 |
| 2.ნაპოლი | 14 | 9 | 3 | 2 | 23:11 | 30 |
| 3.ფიორენტინა | 14 | 8 | 4 | 2 | 25:12 | 28 |
| 4.ინტერი | 14 | 9 | 1 | 4 | 26:16 | 28 |
| 5.ლაციო | 14 | 8 | 2 | 4 | 22:17 | 26 |
| 6.რომა | 14 | 7 | 2 | 5 | 31:23 | 23 |
| 7.პარმა | 14 | 5 | 5 | 4 | 17:18 | 20 |
| 8.კატანია | 14 | 5 | 4 | 5 | 18:20 | 19 |
| 9.მილანი | 14 | 5 | 3 | 6 | 21:18 | 18 |
| 10.ატალანტა | 14 | 6 | 2 | 6 | 14:20 | 18 |
| 11.სამპდორია | 14 | 5 | 2 | 7 | 17:19 | 16 |
| 12.უდინეზე | 14 | 3 | 7 | 4 | 18:23 | 16 |
| 13.კალიარი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:20 | 16 |
| 14.ტორინო | 14 | 3 | 7 | 4 | 15:14 | 15 |
| 15.პალერმო | 14 | 3 | 5 | 6 | 14:21 | 14 |
| 15.ჯენოა | 14 | 3 | 3 | 8 | 14:22 | 12 |
| 17.კიევო | 14 | 3 | 3 | 8 | 13:25 | 12 |
| 18.სიენა | 14 | 4 | 5 | 5 | 13:14 | 11 |
| 19.ბოლონია | 14 | 3 | 2 | 9 | 15:19 | 11 |
| 20.პესკარა | 14 | 3 | 2 | 9 | 9:25 | 11 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01.12 | შალკე-გლადბახი | 1.4 | 4.75 | 7.0 |
| 01.12 | ლევერკუზენი-ნიურნბერგი | 1.44 | 4.5 | 6.5 |
| 01.12 | ფიურტი-შტუტგარტი | 3.1 | 3.4 | 2.25 |
| 01.12 | მაინცი-ჰანოვერი | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 01.12 | აუგსბურგი-ფრაიბურგი | 2.45 | 3.3 | 2.8 |
| 01.12 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.8 | 3.8 | 4.0 |
| 02.12 | ჰოფენჰაიმი-ვერდერი | 2.6 | 3.4 | 2.6 |
| 02.12 | ვოლფსბურგი-ჰამბურგი | 2.0 | 3.5 | 3.6 |

**შალკე-გლადბახი**

შალკე: ***ტრავმ***-ატსუტო უჩიდა, მარკო ჰოგერი, კრისტოფ მეცელდერი, ვასილიოს პლიასტიკასი

გლადბახი: ***ტრავმ***-ფილიპ დემსი, ლუუკ დე იონგი

**ლევერკუზენი-ნიურნბერგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***– სიდნეი სამი, დანიელ შვააბი, ქარიმ ბელარაბი, მიხალ კადლეცი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ალმოგ კოენი

**ფიურტი-შტუტგარტი**

ფიურტი: ***ტრავმ***-ტობიას მიკელსენი, სებასტიან ტირალა

შტუტგარტი: ***ტრავმ***-გეორგ ნიდერმაიერი, ტიმ ჰოოგლანდი, თუნაი თორუნი, მამადუ ბა, კაკაუ, დანიელ დიდავი

**მაინცი-ჰანოვერი**

მაინცი: ***ტრავმ***-ნიკო ბანგერტი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი

ჰანოვერი: ***ტრავმ***-სერჟიო პინტუ, ფელიპე, ლეონ ანდრეასენი

**აუგსბურგი-ფრაიბურგი**

აუგსბურგი: ***ტრავმ***-სიმონ ჯენტში, პოლ ვერაე, იან მორავეკი, ჯოვანი სიო, კევინ ვოგი

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-მატიას გინტერი, იმანუელ ონი

**ბაიერნი-დორტმუნდი**

ბაიერნი: ***ტრავმ***-არიენ რობენი, ჯერომ ბოატენგი

დორტმუნდი: ***ტრავმ***-სებასტიან კელი, პატრიკ ოვამოიელა

**ჰოფენჰაიმი-ვერდერი**

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-იანიკ ვესტერგაარდი, ტობიას ვეისი, ბორის ვუკჩევიჩი

ვერდერი: ***ტრავმ***-კლემენს ფრიცი

**ვოლფსბურგი-ჰამბურგი**

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ფერან ჰასანი, ფელიპე

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ჰუნგ მინ სონი, ლაფაელ ვან დერ ვაარტი, ჯაკოპო სალა, პეტრ იირაჩეკი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 14 | 12 | 1 | 1 | 40:5 | 37 |
| 2.ლევერკუზენი | 14 | 8 | 3 | 3 | 27:19 | 27 |
| 3.დორტმუნდი | 14 | 7 | 5 | 2 | 29:15 | 26 |
| 4.შალკე | 14 | 7 | 3 | 4 | 24:18 | 24 |
| 5.აინტრახტი | 14 | 7 | 3 | 4 | 27:22 | 24 |
| 6.ჰანოვერი | 14 | 6 | 2 | 6 | 27:25 | 20 |
| 7.მაინცი | 14 | 6 | 2 | 6 | 19:17 | 20 |
| 8.ჰამბურგი | 14 | 6 | 2 | 6 | 15:17 | 20 |
| 9.გლადბახი | 14 | 5 | 5 | 4 | 21:24 | 20 |
| 10.ფრაიბურგი | 14 | 5 | 4 | 5 | 19:16 | 19 |
| 11.შტუტგარტი | 14 | 5 | 4 | 5 | 16:24 | 19 |
| 12.ვერდერი | 14 | 5 | 3 | 6 | 22:23 | 18 |
| 13.ნიურნბერგი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:20 | 16 |
| 14.ფორტუნა | 14 | 3 | 6 | 5 | 14:19 | 15 |
| 15.ვოლფსბურგი | 14 | 4 | 3 | 7 | 13:22 | 15 |
| 16.ჰოფენჰაიმი | 14 | 3 | 3 | 8 | 21:32 | 12 |
| 17.ფიურტი | 14 | 1 | 5 | 8 | 10:25 | 8 |
| 18.აუგსბურგი | 14 | 1 | 4 | 9 | 10:25 | 7 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01.12 | ლიონი-მონპელიე | 1.75 | 3.4 | 5.0 |
| 01.12 | ევიანი-ნანსი | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 01.12 | ვალანსიენი-რეიმსი | 1.67 | 3.5 | 5.5 |
| 01.12 | ლილი-ბასტია | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 01.12 | ნიცა-პსჟ | 4.5 | 3.4 | 1.83 |
| 01.12 | ბორდო-სოშო | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 02.12 | ბრესტი-მარსელი | 3.5 | 3.2 | 2.15 |
| 02.12 | ტრუა-რენი | 3.5 | 3.25 | 2.15 |
| 02.12 | ლორიენი-ტულუზა | 2.4 | 3.2 | 3.0 |

**ლიონი-მონპელიე**

ლიონი: ***ტრავმ***-დეიან ლოვრენი, ჯიმი ბრიანდი, მიშელ ბასტოსი

მონპელიე: ***ტრავმ***-ჰილტონი, ჯონი უტაკა, ბენჯამინ სტამბული, ქარიმ აიტ ფანა

**ევიანი-ნანსი**

ევიანი: ***ტრავმ***-სედრიკ მონგო, დავიდ იაროლიმი, ჯონათან მენსა, სედრიკ ბარბოსა, საბერ ხელიფა, ალი მადი

ნანსი: ***ტრავმ***-მასადიო ჰაიდარა, ზირი ჰამარი

**ვალანსიენი-რეიმსი**

ვალანსიენი: ***ტრავმ***-რემი გომისი, მოდუ ტრაორე

რეიმსი: ***ტრავმ***-ნიკოლას ფოვერი, გაეტან კურტე

**ლილი-ბასტია**

ლილი: ***ტრავმ***-ფრანკ ბერია, რაიან მენდესი

ბასტია: ***ტრავმ***-ჟილ კიონი, სილვიან მარშალი, ჟერომ როტენი, ილანი

**ნიცა-პსჟ**

ნიცა: ***ტრავმ***-ფაბიენ კასტელანა, კევინ ანინი, დიაჩკო ფოფანა

პსჟ: ***ტრავმ***-ტიაგო მოტა, კრისტოფერ ჟალე, მეტიუ ბოდმერი

**ბორდო-სოშო**

ბორდო: ***ტრავმ***-აბდუ ტრაორე, ანდრე ბიოგო პოკო

სოშო: ***ტრავმ***-ჟერომ როსილონი, კარლაო, პიერიკ გროსი, ტიერი დუბაი, იასინ მიკარი

**ბრესტი-მარსელი**

ბრესტი: ***ტრავმ***-ოსმან კულიბალი, ადამა ბა

მარსელი: ***ტრავმ***-ლოიკ რემი, ანდრე-პიერ ჟინიაკი, ლეიტი ნდიაე

**ტრუა-რენი**

ტრუა: ***ტრავმ***-ჟერემი ბრეჩე, ჟულიენ ფოსუ, სებასტიენ გრო

რენი: ***ტრავმ***-აბდულაიე სანე, ვიქტორ მონატანო

**ლორიენი-ტულუზა**

ლორიენი: ***ტრავმ***-მაქსიმ ბარტე, ალაინ ტრაორე, ბრუნო მანგა

ტულუზა: ***ტრავმ***-ჯონათან ძებინა, ფრანკ ტაბანი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლიონი | 14 | 8 | 4 | 2 | 27:15 | 28 |
| 2.პსჟ | 14 | 7 | 5 | 2 | 23:10 | 26 |
| 3.მარსელი | 14 | 8 | 2 | 4 | 18:15 | 26 |
| 4.სენტ ეტიენი | 14 | 7 | 4 | 3 | 24:10 | 25 |
| 5.ბორდო | 14 | 6 | 6 | 2 | 18:11 | 24 |
| 6.ვალანსიენი | 14 | 6 | 4 | 4 | 27:16 | 22 |
| 7.ტულუზა | 14 | 6 | 4 | 4 | 23:16 | 22 |
| 8.რენი | 14 | 7 | 1 | 6 | 18:17 | 22 |
| 9.ლილი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:15 | 20 |
| 10.ნიცა | 14 | 4 | 7 | 3 | 19:19 | 19 |
| 11.ლორიანი | 14 | 4 | 6 | 4 | 22:27 | 18 |
| 12.მონპელიე | 14 | 4 | 5 | 5 | 19:18 | 17 |
| 13.ბრესტი | 14 | 5 | 2 | 7 | 14:18 | 17 |
| 14.ბასტია | 14 | 5 | 2 | 7 | 21:33 | 17 |
| 15.რეიმსი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:14 | 16 |
| 16.აიაჩო | 14 | 4 | 5 | 5 | 15:19 | 15 |
| 17.ევიანი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:22 | 15 |
| 18.სოშო | 14 | 4 | 2 | 8 | 13:20 | 14 |
| 19.ტრუა | 14 | 1 | 5 | 8 | 14:29 | 8 |
| 20.ნანსი | 14 | 1 | 4 | 9 | 9:25 | 7 |

# ბაჩანა ცხადაძე აზერბაიჯანში ორ ტიტულს უმიზნებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და როგორც გვსურდა, ისე ვერ ვითამაშეთ. ზაქათალაში თამაში ყოველთვის რთულია, თანაც, „სიმურგი“ ამ სეზონში გაცილებით უკეთ გამოიყურება. კოლექტიურ ფეხბურთს აჩვენებს და მისი ფეხბურთელები კომპაქტურად მოქმედებენ. ვაღიარებ, რომ მეტოქემ გვაჯობა და დამსახურებულად იმარჯვა.

***— მამათქვენი, კახა ცხადაძე, „სიმურგთან“ მატჩისას ზაქათალაში არ გახლდათ. მამამისს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა და ამიტომ მოუწია საქართველოში წასვლა. დაეტყო ეს გუნდის თამაშს? და გვითხარით, როგორ არის ბაბუათქვენის ჯანმრთელობის მდგომარეობა?***

— ამ ინფორმაციამ მთელი ოჯახი შეგვაშფოთა. მთავარი მწვრთნელის არყოფნა, რა თქმა უნდა, დაგვეტყო. ბაბუას სერიოზული პრობლემები ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, თუმცა მადლობა ღმერთს, მდგომარეობა გაუუმჯობესდა.

— „სიმურგთან“ მარცხმა „ინტერის“ სიტუაცია გაართულა. ახლა „სიმურგი“ ქულებით გაგითანაბრდათ, გარდა ამისა, სხვა გუნდების სუნთქვაც გესმით.

— დაძაბული ჩემპიონატია. პირველ ექვსეულში მყოფ ნებისმიერ გუნდს შეუძლია პირველზე გადასვლა, თუმცა, ალალად გეტყვით, ეს ფაქტორი ჩვენთვის პოზიტიურია. ასეთი დაძაბულობა მოდუნების საშუალებას არ გვაძლევს და ნებისმიერი მეტოქე პრინციპულია. ახლა „ინტერსა“ და „სიმურგს“ თანაბარი ქულები აქვთ და პირველ-მეორე ადგილებზე არიან, მაგრამ, იმედი მაქვს, ახლო მომავალში მდევრებს ჩამოვიტოვებთ.

— შეიძლება ითქვას, რომ „ინტერს“ აზერბაიჯანის თასზე არ უმართლებს. გუნდი ოთხჯერ გავიდა ფინალში და ვერც ერთხელ ვერ მოახერხა მოგება. თქვენი აზრით, შეძლებს წელს გუნდი, ეს სინდრომი დაძლიოს?

— ამაზე ცოტა უნდა ვიფიქროთ და არ არის საჭირო წარსულ უიღბლობებზე ყურადღების გამახვილება. პირადად მე ასეთი სინდრომების არ მჯერა. „ინტერისთვის“ კი ყველა ახალი სეზონი ახალი ტიტულის მოსაგებად იწყება. ჩვენი ამოცანაა, ჩემპიონატიც მოვიგოთ და თასიც, ამისთვის კი ყველაფერს გავიღებთ.

— ბოლო დღეებში თქვენი ინტერვიუ ერთ-ერთ ქართულ ვებგვერდზეც ვნახეთ. საქართველოში თქვენზე სტატიები გახშირდა, თქვენს სამშობლოში აზერბაიჯანის ჩემპიონატისადმი ინტერესმა იმატა.

— გეტყვით, რომ საქართველოში ბაქოს „ინტერს“ ბევრი გულშემატკივარი ჰყავს, რადგან აქ 6 ქართველი ფეხბურთელია და ასევე — 3 მწვრთნელიც. საქართველოში ჩვენი შედეგებით ინტერესდებიან. აქაური ამბების შესახებ ბევრი რამ იციან. საკმაოდ ხშირად გვირეკავენ ქართველი ჟურნალისტები და მათთან სიამოვნებით ვსაუბრობთ. სასიხარულოა, რომ საქართველოში ძალიან აინტერესებთ აზერბაიჯანის ჩემპიონატი.

# სირიაში ინტერნეტი გაითიშა

სირიის ოპოზიციის ჯგუფების ცნობით, ფაქტობრივად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაითიშა ინტერნეტი. ჯერ უცნობია ვინ დგას მომხდარის უკან, თუმცა მთავრობას ბოლო პერიოდში არაერთხელ შეუფერხებია ინტერნეტის ხელმისაწვდომობა მოსახლეობისათვის.



სირიაში ამერიკის ელჩის რობერტ ფორდის თქმით, მსგავსი რამ სირიაში ადრეც მომხდარა. „სირიის მთავრობა ინტერნეტს თვალთვალის მიზნით წლებია იყენებს. ირანის დახმარებით ისინი ინტერნეტს ოპოზიციის აქტივისტების მისაგნებლად, დასაჭერად და მოსაკლავად იყენებენ“, – აცხადებს ფორდი „სი-ენ-ენთან“ საუბრისას.

როგორც ოპოზიცია აცხადებს, დამასკოში არ მუშაობს მობილური კავშირი. თავის მხრივ ხელისუფლება აცხადებს, რომ კომუნიკაციების გათიშვა საბოტაჟის შედეგია.

ხელისუფლება, ოპოზიციის ხელის შეშლის მიზნით, აქამდეც თიშავდა ინტერნეტს და ფიჭურ კავშირს იმ ტერიტორიებში, სადაც ბაშარ ასადის არმია მსხვილმასშტაბიან სპეცოპერაციებს ატარებდა. თუმცა, ამჯერად, სირიის ინფორმაციის მინისტრმა, ომრან აზ-ზუაბიმ ინტერნეტის გათიშვა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოაცხადა, მაგრამ ინტერნეტის გათიშვა ოპოზიციას დააბრალა.

„ამ ტერორისტებმა ინტერნეტკაბელები გადაჭრეს“, – განაცხადა მინისტრმა, სახელმწიფო ტელეარხის ეთერით გამოსვლისას.

შეიარაღებული კონფლიქტი სირიაში, სახელისუფლო ძალებსა და ოპოზიციას შორის მიმდინარე წლის მარტში დაიწყო. სხვადასხვა მონაცემებით, ამ დრომდე 20-30 ათასი ადამიანია დაღუპული ორივე მხრიდან. ოპოზიცია ბაშარ ასადის გადადგომას ითხოვს, თავად ასადი კი პოსტზე უარის თქმას არ აპირებს, რადგან, მისი გაცხადებით, მას „ხალხის დიდი მხარდაჭერა აქვს და ამბოხებულები ხელისუფლებას უცხოური შეთქმულების შედეგად ებრძვიან, რომელთაც მიზნად სირიის განადგურება აქვთ დასახული“.

# პალესტინის ავტონომიას სახელმწიფო-დამკვირვებლის სტატუსი მიენიჭა

ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგობის მიუხედავად, გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირა პალესტინის ავტონომიის სახელმწიფო-დამკვირვებლის სტატუსამდე ამაღლებას. ამის შესახებ ტელეკომპანია „ბიბისი“ იუწყება.

ამასთან, პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტმა მაჰმუდ აბასმა ამ გადაწყვეტილებამდე გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე განაცხადა, რომ პალესტინელების სტატუსზე კენჭისყრა „იქნება უკანასკნელი შანსი ორი სახელმწიფოს შექმნისთვის“. თავის მხრივ, გაერო-ში ისრაელის ელჩმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება მშვიდობის ხელშეწყობის ნაცვლად პროცესებს უკან წევს.

საერთო ჯამში, სტატუსის ამაღლებას მხარი დაუჭირა 138-მა ქვეყანამ. მათ შორის – რუსეთმა, საფრანგეთმა და იაპონიამ. 41 ქვეყნის წარმომადგენელმა კი თავი შეიკავა. მათ შორის – დიდი ბრიტანეთის და გერმანიის.

პალესტინელისთვის სტატუსის ამაღლებაზე უარი თქვა ცხრა ქვეყანამ: აშშ-მა, ისრაელმა, კანადამ, მარშალის კუნძულებმა, მიკრონეზიამ, ნაურუმ, პალაუმ, პანამამ და ჩეხეთმა. მართალია, „მუდმივი დამკვირვებლის“ სტატუსის „არაწევრი დამკვირვებელი სახელმწიფოს“ სტატუსით შეცვლას სიმბოლური ხასიათი აქვს, თუმცა მომავალში პალესტინას შეეძლება გაეროს სხვადასხვა საკითხების განხილვაში მიიღოს მონაწილეობა, ასევე გაჩნდა შესაძლებლობა გაწევრიანდეს ისეთ ორგანიზაციაში, როგორიც საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოა.

# იაპონიის პრემიერ-მინისტრმა რუსეთში ვიზიტი პუტინის ჯანმრთელობის გამო გადადო

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მაციით, რუსეთის პრეზიდენტს შეიძლება ქირურგიული ჩარევაც დასჭირდეს ხერხემალზე. ეს ინფორმაცია ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრე ლუკაშენკომაც დაადასტურა, რომელმაც განაცხადა, რომ პუტინმა ხერხემალი ძიუდოს ვარჯიშისას დაიზიანა. მისი თქმით, ტრავმის გამო, მისი რუსი კოლეგა იძულებული გახდა ჰოკეის თამაშზე და ძიუდოზე უარი ეთქვა. პრეზიდენტის პრესმდივანი, დიმიტრი პესკოვი კი ირწმუნება, რომ პუტინის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება და მას უბრალოდ „ჩვეულებრივი სპორტული ტრავმა“ აქვს.

ფაქტია, რომ უკანასკნელ ხანებში პუტინმა გადადო დაგეგმილი ვიზიტები ინდოეთში, პაკისტანსა და თურქეთში. სწორედ საზღვარგარეთის ქვეყნებში გადადებული ვიზიტების შემდეგ ჟურნალისტებმა დაიწყეს რუსეთის ლიდერის შეცვლილი გეგმების მიზეზების ძიება. ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების საშუალებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ პუტინს ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები აქვს, რაც მაშინვე უარყვეს კრემლის სამსახურებმა.

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, საპენსიო ასაკს მიღწეულ პუტინს ასტკივდა ზურგი და მას სასწრაფოდ ესაჭიროება ოპერაცია ხერხემალზე. სექტემბრის „აპეკის“ სამიტზე შენიშნეს, როგორ კოჭლობდა იგი, თუმცა მისმა პრეს-მდივანმა კოჭლობა „სპორტულ ტრავმას“ დააბრალა.

ერთ-ერთი საიმედო წყარო იმასაც იტყობინება, რომ პუტინი ორთოპედიულ კორსეტს ხმარობს, რასაც ადასტურებს რუსეთის პრეზიდენტზე გადაღებული ფილმის ავტორი ნატალია გევორქიანი: „აბსოლუტურად სხვა მანერები და სულ სხვაგვარი ურთიერთობები აქვს ადამიანებთან... მე ვფიქრობ, რომ მის სიარულშიც რაღაც ვერ არის რიგზე, ზურგთან დაკავშირებით. ფილმში ჩანს, რომ უკან, პერანგის შიგნით მას აცვია კორსეტი და ძალიან მძიმედ გადაადგილდება“.

ვლადივოსტოკის სამიტზე ტელეკამერების მიერ დაფიქსირებულია ფაქტი, როდესაც ის საგარეო საქმეთა მინისტრს შესჩივის თავისი მკაცრი დიეტის თაობაზე.

პუტინის საუკეთესო ფიზიკური ფორმა და სპორტული აღნაგობა ეხმარებოდა მას რუსეთში პოპულარობის მოპოვებაში, რაც კონტრასტს ქმნიდა მის წინამორბედ ბორის ელცინთან, რომელიც მთვრალ მდგომარეობაში ჩნდებოდა ხალხის წინაშე და გულს უჩიოდა. „როიტერის“ დასკვნით, ნებისმიერი დაავადება და ხალხის მიერ იმის გაგება, რომ პუტინს სამკურნალოდ გაუხდა საქმე, მას ჩამოაცილებს აქამდე კარგად მორგებულ „მაჩოს“ იმიჯს და რაინდულ შარავანდედს.

# ეგვიპტის ასამბლეამ კონსტიტუციის ახალი პროექტი დაამტკიცა

ეგვიპტის კონსტიტუციურმა ასამბლეამ, რომლის წევრების დიდ ნაწილს ისლამისტური მოძრაობა „ძმები მუსლიმების“ მხარდამჭერები შეადგენენ, ახალი კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა.



ახლა დოკუმენტი ქვეყნის პრეზიდენტმა მუჰამედ მურსიმ უნდა დაამტკიცოს, რის შემდეგაც მას რეფერენდუმზე გაიტანენ.

ახალ კონსტიტუციას საფუძვლად 1971 წლის დოკუმენტი დაედო, რომელიც 234 მუხლისგან შედგება. ასამბლეის წევრები პროექტის თითოეულ მუხლს აძლევდნენ ხმას. პროცესი გვიან ღამემდე გაგრძელდა. კანონის მიხედვით, იმისთვის, რომ რომელიმე კანონი ძალაში შევიდეს, მას საკონსტიტუციო ასამბლეის წევრთა 67%-მა უნდა დაუჭიროს მხარი.

კონსტიტუციის ერთ-ერთ უმთავრეს კანონად სასამართლომ შარიათის ანუ ისლამის კანონი მიიღო, რომელზეც აგებული იქნება მთელი კონსტიტუცია.

პრეზიდენტ მოჰამედ მურსის კონსტიტუციის ახალი პროექტისთვის ხელის მოსაწერად ორი კვირის ვადა აქვს, თუ ის ხელს მოაწერს, მაშინ კონსტიტუცია უკვე სახალხო რეფერენდუმზე გავა.

ეგვიპტის სასამართლომ უკვე დაითხოვა ქვედა პალატა, რომლის უმრავლესობასაც „ძმები მუსლიმები“ შეადგენდნენ და რომლის წევრიც პრეზიდენტი მურსი გახლდათ.

ეგვიპტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ახალ კანონზე მუშაობა მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების ფონზე დააჩქარა. დემონსტრანტები მურსის დეკრეტს აპროტესტებენ, რომელიც მისი უფლებამოსილების გაზრდას გულისხმობს.

პრეზიდენტმა პირობა დადო, რომ ახალი კონსტიტუციის მიღების შემდგომ ის საკუთარ ბრძანებას გააუქმებს. ამასთან, მოჰამედ მურსის განცხადებით, გარკვეულ წრეებს სურთ ეგვიპტეში სტაბილურობა არ იყოს.

„ხალხის დიდი რაოდენობა ცდილობს პროტესტი გამოხატოს და ეს ძალიან კარგია, თუმცა მათზე ძალადობა არ ხორციელდება. „ნავის აყირავება“ არავის არ წაადგება, პირიქით“, - აცხადებს მურსი ჟურნალ „ტაიმსისთვის“ მიცემულ ვრცელ ინტერვიუში.

მურსის განცხადებით, ეგვიპტის მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს, რომელიც მისი ძალაუფლების გაძლიერების წინააღმდეგ გამოდის, შეუძლია მშვიდად იყოს.

„ეგვიპტეში ძალთა გადანაწილება ახალი კონსტიტუციის მიღების შემდეგ დადგინდება, რომელსაც დაჩქარებული წესით მივიღებთ. ეს კი რამდენიმე თვეში მოხდება“, - აღნიშნა პრეზიდენტმა.

შეგახსენებთ, რომ მურსის ბრძანების თანახმად, არავის, მათ შორის არც სასამართლოს, არ აქვს უფლება პრეზიდენტის გადაწყვეტილება გაასაჩივროს. მიღებულმა ახალმა კანონპროექტმა, რომელმაც მისი ძალაუფლება ბევრად გაზარდა, ეგვიპტის მოსახლეობის დიდი ნაწილი და ეგვიპტის სასამართლო აღაშფოთა. აქციები ტაჰრირის მოედანზე მეხუთე დღეა არ წყდება.

# სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მონიტორინგი განხორციელდება

შორენა გონგლაძე



საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის ზაქარია ხუნძაყიშვილის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა კომისია, რომელიც მსოფლიო ბანკის, ADB-სა და ჟIჩA-ს მიერ დაფინანსებულ პროექტებზე გაფორმებული კონტრაქტების ფარგლებში, კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ მობილიზებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მონიტორინგს განახორციელებს.

ამ მიზნით, კომისიამ გუშინ იმერეთის რეგიონში, ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის მონაკვეთის ქუთაისის ახალ შემოვლით გზაზე და ქუთაისის ახალი შემოვლითი-სამტრედიის საავტომობილო გზაზე მიმდინარე სამუშაოებზე მობილიზებული ტექნიკის მონიტორინგი განახორციელა.

კომისიის წევრებმა კონკრეტულ ობიექტებზე, კონტრაქტით გათვალისწინებული და რეალურად არსებული მანქანა-მექანიზმების შესაბამისობა შეამოწმეს. მონიტორინგი სხვა ობიექტებზეც ერთი თვის განმავლობაში, პერმანენტულად გაგრძელდება. საბოლოო დასკვნას კომისია წლის ბოლოსთვის წარმოადგენს.

ზაქარია ხუნძაყიშვილის განცხადებით, აღნიშნულ ობიექტებზე მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები წინასწარგათვლილი გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს, გზებზე მობილიზებული სამშენებლო ტექნიკა შესაბამისობაშია კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან. ხოლო, რაც შეეხება თავად მშენებლობის პროცესს, იგი საინჟინრო და ტექნოლოგიური ნორმების სრული დაცვით, კონტრაქტით გათვალისწინებული გრაფიკების მიხედვით განხორციელდება. მისი განცხადებით, ეს მიდგომა იქნება ყველა ობიექტის მიმართ. მითუმეტეს, იმ უპრეცენდენტო გამოწვევების პირობებში რაც 2013 წლისთვის არის დაგეგმილი.

2013 წელს ქვეყნის ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე მომდევნო მონაკვეთების მშენებლობის პროცესი სრული დატვირთვით დაიწყება და პარალელურ რეჟიმში, სამშენებლო აქტივობა იქნება 118 კმ. გზაზე. აღსანიშნავია, რომ მსგავსი აქტივობა საგზაო მონაკვეთების მშენებლობის კუთხით საქართველოში არასდროს არ დაფიქსირებულა.


## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● ოსტეოქონდროზის, ძლიერ დაქვეითებული სმენის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის და სხვა დაავადებების გარანტირებული განკურნება წამლების და ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად, არასკეპტიკოსებისთვის. მიღება შეზღუდულია წინასწარი ჩაწერით. გადახდა განკურნების შემდეგ. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული და დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-978-546; 551-254-535

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის და რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვან და დეკორატიული მცენარეების ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. გაგიფორმებთ დეკორატიულ კუთხეებს. ტელ: 236-28-78; 599-15-67-28.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლიზმს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, აფორიაქებას, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, უიმედობას, ოჯახურ კონფლიქტებს, დაძაბულობას, დეპრესიას, ჩაკეტილობას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423 ნანა ქიბროწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, გაგიფორმებთ ხელშეკრულებას.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სამკურნალო სადიაგნოსტიკო რეაბილიტაციის ცენტრი „მედიგარდი“ გთავაზობთ კუჭისა და ნაწლავების ექოსკოპიას, რაც გასტროსკოპიის და რენტგენოლოგიური კვლევის ალტერნატივაა. ამავე კლინიკაში გთავაზობთ მკურნალობას სამკურნალო მცენარეებით, ისეთი დაავადებების დროს, როგორიცაა კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, გასტრიტი, კოლიტი, შარდ-კენჭოვანი დაავადება და სხვა. მისამართი: ფალიაშვილის ქ.№17, ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

## ორშაბათი 3 დეკემბერი

07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00,16.00, 19.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები"12.45 "პირადი ექიმი" 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ"კვალდაკვალ"17.00 "სპიკერი" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ"აგენტურა საიდუმლო სამსახური"21.00 ტ/სერ"სპირალი" 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.30 "მედიამონიტორი" 00.30 "საფარი" 01.20 მხ/ფ "გველები თვითმფრინავში" (ს.ელ.ჯექსონი) 03.05 მხ/ფ "აბრეშუმი" (ტიტ.) (კ.ნაიტლი) 05.00 მხ/ფ "მაფალდა სავოიელი" (ტიტ.) 1-2 სერ.

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "რიო დე ჟანეირო"09.00 მხ/ფ "ბიჭი წყალზე" 10.40 მხ/ფ "ენდე საკუთარ თავს" (ა. ბანდერასი)12.30 მხ/ფ "გამცილებლები და დამხვდომები" 14.00 დ/ფ "ბირთვული იარაღის საიდუმლო" მე-4 ნაწ. 15.00, 17.00, 20.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" მე-11 ნაწ. 19.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" I ნაწ. 22.00 "თავისუფალი ტრიბუნა"00.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)01.00 მხ/ფ "ნაპერწკალი"

08.00 ან/ფ09.00 ქ. სერ."ცხელი ქალი – 3"10.00 სერ."იღბლიანი მოახლე"11.00 სერ."უკვდავი ამბავი"12.00 სერ."მემკვიდრეები"13.00 სერ."გაქცევა – 2"14.00 სერ."თვალი არ მომაცილო"15.00 მხ/ფ 17.00 სერ."მოჯადოებული"18.00 სერ."მეწამული ცა"19.00 სერ."სახიფათო ვნება"20.00 ქ. სერ."ყავა და ლუდი – 2"21.00 სერ."მემკვიდრეები"22.00 ცეკვავენ ვარსკვლავები00.30 მხ/ფ02.50 მხ/ფ04.35 მხ/ფ06.10 მხ/ფ

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."ქალის მსხვერპლი" 11.00 სერ."იდუმალი ქალი"12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 სხვა ამბები13.00 "შუა დღე"15.30 შერეკილები17.00 სერ."ვნების უფსკრული"18.45 სერ."მგზნებარე გული"19.50, 20.05 სერ."ღირსება და ამბიცია"22.00 ქ.მხ/ფ23.00 შიშის ფაქტორი01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

09.00, 24.00 "მ-კოდი"09.35 "კვაჭი კვაჭანტირაძე"09.45, 12.00, 15.00, 17.00 "ტვ-მარკეტი"10.00 სერ. "ასა"10.30 "დიდი სანაძლეო"11.00, 17.40 "ბიჭები. გოგოები" 11.25, 19.20 "ფარული კამერა"12.15, 21.15 "მზის დარტყმა13.00, 22.00 "მზესუმზირა"15.15 "პულსი" 15.45 სერ. "დიდი დასვენება"16.05 "საქართველოს ისტორია"16.30 "ხმა საქართველოდან"17.05 "გუნდი"18.00 "სიცილი მზეზე"18.50 სერ. "ასა"19.45 "გზა ევროპისკენ"

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ"ზრავო, ალბერ ლოლიშ" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.05, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15 პატრიარქის ქადაგება 10.35, 21.15 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.10 მხ/ფ "გიორგობის თვე" 13.40 კონცერტი - ნიკა რაჭველი და მაქსიმ რისანოვი 15.05 სპექტაკლი "გვადი ბიგვა" 17.25 დოკ/ფ"ველური ბუნება" 17.50 დებიუტი 18.10 გუთნისდედა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ"სანამ წვიმა გადიღებდეს". 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 სღვთისმეტყველო საუბრები 22.25 დოკ/ფ"საქართველოს ისტორია" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ"გალობის რაინდები" 00.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 01.00 ირაო

მაესტრო 07.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 01.00, 03.00, 05.00, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 10.35, 13.25, 15.30, 17.35, 20.45, 21.40, 23.50, 00.25, 02.45, 04.25, 05.25, 06.25 უცხოეთის ამბები. 10.00, 20.10, 23.15 ღია კარის დღე. 10.50 პრეს-პრესი. 12.30, 13.05 აკრედიტაციის გარეშე. 14.05 დოკ.ფ. 16.05 "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად. 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება. 19.00, 03.25 დისკუსია – სტუდია "რე". 22.00, 01.30 ნანა ლეჟავას "კვირის რეპორტაჟი".

## სამშაბათი 4 დეკემბერი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ"კვალდაკვალ"17.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ"აგენტურა საიდუმლო სამსახური"21.00 ტ/სერ"სპირალი"22.00 "აქცენტები" 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. (პ/რ) (შესვენებისას: "ვიქტორინა")01.40 მხ/ფ "ცეცხლოვანი კედელი" (ჰ.ფორდი) 03.50 მხ/ფ "მაფალდა სავოიელი" (ტიტ.) მე-3, მე-4 სერ.05.30 დ/ფ "ძვლების მკვლევარები"

08.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ "ოკეანის ფსკერი" მე-2 ნაწ. 14.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" I ნაწ. 16.00 დ/ფ "რომი: იმპერიის ალმავლობა და დაცემა" მე-12 ნაწ. 19.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-2 ნაწ.22.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)01.00 მხ/ფ "სასიკვდილო იარაღი-4" (მ. გიბსონი) (12)

08.00 ან/ფ.09.00 ქ. სერ."ცხელი ქალი – 3" 10.00 სერ."იღბლიანი მოახლე"11.00 სერ."უკვდავი ამბავი"12.00 სერ."მემკვიდრეები"13.00 სერ."გაქცევა – 2"14.00 სერ."თვალი არ მომაცილო"15.00 მხ/ფ17.00 სერ."მოჯადოებული"18.00 სერ."მეწამული ცა"19.00 სერ."სახიფათო ვნება"20.00 ქ.სერ."ყავა და ლუდი – 2"21.00 სერ."მემკვიდრეები"22.00 ქ. სერ."ცხელი ქალი – 3"23.00 ახალი ქართული ხმა01.00 მხ/ფ02.40 მხ/ფ04.10 მხ/ფ06.20 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."ქალის მსხვერპლი" 11.00 სერ."იდუმალი ქალი"12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 სხვა ამბები13.00 "შუა დღე"15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ)17.00 სერ."ვნების უფსკრული"18.45 სერ."მგზნებარე გული"19.50, 20.05 სერ."ღირსება და ამბიცია"21.50 ეროვნული ლატარეა 2.00 სერ."ჩემი ცოლის დაქალები"23.40 ჩემპიონთა ლიგა02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა02.30 მხ/ფ 04.30 კურიერის დაიჯესტი

09.00, 24.00 "მ-კოდი" 9.35 "კვაჭი კვაჭანტირაძე"09.45, 12.00, 15.00, 17.00 "ტვ-მარკეტი"10.00 სერ. "ასა"10.30 "დიდი სანაძლეო"11.00, 17.40 "ბიჭები. გოგოები" 11.20, 19.15 "ფარული კამერა"12.15, 21.20 "მზის დარტყმა13.00, 22.00 "მზესუმზირა" 15.15 "პულსი" 15.45 სერ. "დიდი დასვენება"16.05 "საქართველოს ისტორია"16.40 "ხმა საქართველოდან"17.05 "გუნდი"18.00 "სიცილი მზეზე"18.55 სერ. "ასა"19.40 "გზა ევროპისკენ"20.45 "ვიდეოპირატი"

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.15 სპექტაკლი "გვადი ბიგვა" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ"გალობის რაინდები" 11.20 სღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ"სანამ წვიმა გადიღებდეს". 13.35 კონცერტი - ტრიო "თბილისი" 15.05 მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად 15.30 დოკ/ფ"ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ"ზოლიანი დოლი" 17.50 დებიუტი 18.10 სალბუნი 18.25 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები. 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დოკ/ფ"ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლისა" 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ"წელიწადის დრონი" 00.30 ერთსულოვნების სალონი 01.15 კარაბადინი 01.40 ირაო

მაესტრო 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 00.00, 02.35, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.45, 15.30, 16.30, 18.40, 05.30, 06.35 უცხოეთის ამბები. 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის "დილა". 11.30, 22.00, 02.15 ყოველდღიური ამბები. 13.30 აკრედიტაციის გარეშე. 14.05 მაესტროს პრესკლუბი. 17.10, 04.50 თოქ-შოუ "პირდაპირი საუბარი". 19.05 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი". 19.30, 00.55 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები". 22.20, 03.10 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## ოთხშაბათი 5 დეკემბერი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.15 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ"კვალდაკვალ"17.00 დ/ფ "მეცნიერება ფილმებში" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ"აგენტურა საიდუმლო სამსახური" 21.00 ტ/სერ"სპირალი" 22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ტურნირი. (პ/რ) (შესვენებისას: "ვიქტორინა") 01.40 მხ/ფ "ჰაზარდელი დიუკები" 03.35 მხ/ფ "ცეცხლოვანი კედელი" (ჰ.ფორდი) 05.30 დ/ფ "მეცნიერება ფილმებში"

08.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ "სიცოცხლე" I ნაწ. 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-3 ნაწ.22.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ/ფ "და ყველაფერი განათდა"

08.00 ან/ფ.09.00 ქ. სერ."ცხელი ქალი – 3" (გ/ჩ)10.00 სერ."იღბლიანი მოახლე"11.00 სერ."უკვდავი ამბავი"12.00 სერ."მემკვიდრეები" 13.00 სერ."გაქცევა – 2"14.00 სერ."თვალი არ მომაცილო"15.00 მხ/ფ17.00 სერ."მოჯადოებული"18.00 სერ."მეწამული ცა"19.00 სერ."სახიფათო ვნება"20.00 ქ. სერ. "ყავა და ლუდი – 2"21.00 სერ."მემკვიდრეები"22.00 ქ. სერ. "ცხელი ქალი – 3"23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სერ."შერკინება"01.00 მხ/ფ03.10 მხ/ფ04.40 მხ/ფ06.15 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."ქალის მსხვერპლი" 11.00 სერ."იდუმალი ქალი"12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 სხვა ამბები13.00 "შუა დღე"15.30 შერეკილები17.00 სერ."ვნების უფსკრული"18.45 სერ."მგზნებარე გული"19.50, 20.05 სერ."ღირსება და ამბიცია"22.00 საქართველოს ვარსკვლავი 23.40 ჩემპიონთა ლიგა - ჩანაწერი02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა02.30 მხ/ფ 04.30 კურიერის დაიჯესტი

09.00 "მ-კოდი"09.35 "კვაჭი კვაჭანტირაძე"09.45, 12.00, 15.00, 17.00 "ტვ-მარკეტი"10.00 სერ. "ასა"10.30 "დიდი სანაძლეო"11.00, 17.40 "ბიჭები. გოგოები" 11.20, 19.20 "ფარული კამერა"12.15, 21.20 "მზის დარტყმა13.00 "მზესუმზირა" 15.15 "პულსი" 15.45 სერ. "დიდი დასვენება"16.05 "საქართველოს ისტორია"16.35 "ხმა საქართველოდან"17.05 "გუნდი"18.00 "სიცილი მზეზე"18.40 სერ. "ასა"19.45 "გზა ევროპისკენ" 22.00 "იცხოვრე სპორტით" 23.00 კონცერტი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ"ბავშვი მიდის სასეირნოდ" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.05, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ"ტაძრად მიყვანება ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლისა" 11.05 სალბუნი 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები. 13.10 კონცერტი - ელისო ვირსალაძე და ნატალია გუტმანი 15.05 მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად 15.30 დოკ/ფ"ველური ბუნება" 15.55 დოკ/ფ"წერილი ძმას" 16.45 კვირიაკე 17.50 დებიუტი 18.10 დეკორატიული ფლორა 18.25 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ"სინემა". 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 გზა, რომლითაც ვიარე 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ"საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" 00.30 მხ/ფ"დიმიტრი II"

მაესტრო 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 21.00, 00.00, 01.35, 04.25, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 18.40, 05.40, 06.35 უცხოეთის ამბები. 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის "დილა". 11.30, 22.00, 01.15 ყოველდღიური ამბები. 14.05 მაესტროს პრესკლუბი. 17.10, 05.00 თოქ-შოუ "პირდაპირი საუბარი". 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი". 20.05, 02.10 თოქ-შოუ "არგუმენტები". 22.20, 02.55 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი". 23.45, 04.10 აკრედიტაციის გარეშე.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## ხუთშაბათი 6 დეკემბერი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.30 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ"კვალდაკვალ"17.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ"აგენტურა საიდუმლო სამსახური"21.00 ტ/სერ"სპირალი"22.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 23.00 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 00.00 "ჩემი ოჯახი" 01.00 მხ/ფ "ბნელი რაინდი" 03.50 მხ/ფ "ჰაზარდელი დიუკები" 05.30 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა"

08.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ "სიცოცხლე" მე-2 ნაწ. 14.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-3 ნაწ. 16.00 დ/ფ "100 უდიდესი აღმოჩენა" მე-2 ნაწ. 19.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-4 ნაწ.22.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)01.00 მხ/ფ "ტოვლის ანგელოზები" (კ. ბეკინსეილი)

08.00 ან/ფ.09.00 ქ.სერ."ცხელი ქალი – 3" (გ/ჩ)10.00 სერ."იღბლიანი მოახლე"11.00 სერ."უკვდავი ამბავი"12.00 სერ."მემკვიდრეები"13.00 სერ."გაქცევა – 2"14.00 სერ."თვალი არ მომაცილო"15.00 მხ/ფ17.00 სერ."მოჯადოებული"18.00 სერ."მეწამული ცა"19.00 სერ."სახიფათო ვნება"20.00 ქ. სერ. "ყავა და ლუდი – 2"21.00 სერ."მემკვიდრეები"22.00 ქ. სერ. "ცხელი ქალი – 3"23.00 სტუმრად იუმორინასთან 00.00 სერ."შერკინება"01.00 მხ/ფ02.45 მხ/ფ04.20 მხ/ფ06.00 მუსიკა

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."ქალის მსხვერპლი" 11.00 სერ."იდუმალი ქალი"12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 სხვა ამბები13.00 "შუა დღე"15.30 კომედი შოუ (გ/ჩ)17.00 სერ."ვნების უფსკრული"18.45 სერ."მგზნებარე გული"19.50, 20.05 სერ."ღირსება და ამბიცია"22.00 პროფილი01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

09.00, 24.00 "მ-კოდი"09.35 "კვაჭი კვაჭანტირაძე"09.45, 12.00, 15.00, 17.00 "ტვ-მარკეტი"10.00 სერ. "ასა"10.30 "დიდი სანაძლეო"11.00, 17.40 "ბიჭები. გოგოები" 11.20, 19.20 "ფარული კამერა"12.15, 21.15 "მზის დარტყმა"13.00 "მზესუმზირა" 15.15 "პულსი" 15.45 სერ. "დიდი დასვენება"16.05 "საქართველოს ისტორია"16.35 "ხმა საქართველოდან"17.05 "გუნდი"18.05 "სიცილი მზეზე"18.50 სერ. "ასა"19.55 "გზა ევროპისკენ" 22.00 "იცხოვრე სპორტით" 23.00 მიუზიკლი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 მხ/ფ"დიმიტრი II" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.25 სიახლენი 10.35, 21.03 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ"საქართველოს სიმებიანი კვარტეტი" 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ"სინემა". 13.30 კონცერტი - სესილია ბარტოლი 15.05 მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად 15.30 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.55 მხ/ფ"ბავშვი მიდის სასეირნოდ" 17.50 დებიუტი 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ"ჩემი ბოშები". 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.05 ერთსულოვნების სალონი 22.20 დოკ/ფ"არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე" 22.45, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.30 მხ/ფ"ოქროს ტბასთან"

მაესტრო 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00, 21.00, 00.00, 01.25, 04.55, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.45, 15.30, 16.30, 18.40, 05.30, 06.35 უცხოეთის ამბები. 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის "დილა". 11.30, 22.00, 01.05 ყოველდღიური ამბები. 13.30 აკრედიტაციის გარეშე. 14.05 მაესტროს პრესკლუბი. 17.10, 04.15 თოქ-შოუ "პირდაპირი საუბარი". 19.05, 00.20 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი". 20.05, 02.00 თოქ-შოუ "არგუმენტები". 22.20, 02.45 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## პარასკევი 7 დეკემბერი

06.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 "ჩვენი დილა" 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" 12.45 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" 15.00 ტ/სერ"კვალდაკვალ"17.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" 18.00 "პეპე და მეგობრები" 19.05 ტ/სერ"აგენტურა საიდუმლო სამსახური"21.00 ტ/სერ"სპირალი"22.00 "აქცენტები" 23.30 "გააგრძელე საქართველოს ისტორია"00.00 "წითელი ზონა" 01.00 ქართ. მხ/ფ "არაჩვეულებრივი გამოფენა"03.00 მხ/ფ "ბნელი რაინდი" (ტიტ.) 05.30 მხ/ფ "ჩემი ძმა იყო" 1-2 სერ. (ტიტ.)

08.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 11.00 დ/ფ "სიცოცხლე" მე-3 ნაწ. 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" მე-5 ნაწ.22.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 00.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე)01.00 მხ/ფ "აპალუზა" (ტიტ.)

08.00 ან/ფ.09.00 ქ. სერ. "ცხელი ქალი – 3" (გ/ჩ)10.00 სერ."იღბლიანი მოახლე"11.00 სერ."უკვდავი ამბავი"12.00 სერ."მემკვიდრეები"13.00 სერ."გაქცევა – 2"14.00 სერ."თვალი არ მომაცილო"15.00 ახალი ქართული ხმა 17.00 სერ."მოჯადოებული"18.00 სერ."მეწამული ცა"19.00 სერ."სახიფათო ვნება"20.00 ქ.სერ."ღმერთო რისი გულისთვის"21.00 სერ."მემკვიდრეები"22.00 ქ. სერ. "ცხელი ქალი – 3"23.00 სტუმრად იუმორინასთან00.00 სერ."შერკინება"01.00 მხ/ფ03.10 მხ/ფ04.50 მხ/ფ06.50 მუსიკა

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ."ქალის მსხვერპლი" 11.00 სერ."იდუმალი ქალი"12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი12.30 სხვა ამბები13.00 "შუა დღე"15.30 პროფილი (გ/ჩ)18.45 სერ."მგზნებარე გული"19.50, 20.05 სერ."ღირსება და ამბიცია"21.50 ეროვნული ლატარეა 2.00 ვანოს შოუ 23.00 სერ."მომავლის გაელვება"01.00 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

09.00, 24.00 "მ-კოდი"09.35 "კვაჭი კვაჭანტირაძე"09.45, 12.00, 15.00, 17.00 "ტვ-მარკეტი"10.00 სერ. "ასა"10.30 "დიდი სანაძლეო"10.55, 17.40 "ბიჭები. გოგოები"11.20, 19.15 "ფარული კამერა"12.15, 21.05 "მზის დარტყმა"13.00 "მზესუმზირა" 15.15 "პულსი" 15.45 სერ. "დიდი დასვენება"16.05 "საქართველოს ისტორია"16.35 "ხმა საქართველოდან"17.05 "გუნდი"18.00 "სიცილი მზეზე"18.45 სერ. "ასა"19.40 "გზა ევროპისკენ" 22.00 "105 წუთი" 23.45 "ვიდეოპირატი

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 მხ/ფ"ოქროს ტბასთან" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ"ჩემი ბოშები". 13.30 კონცერტი - ნუნუ დუღაშვილი 15.05 მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად 15.30 დოკ/ფ"ველური ბუნება" 15.55 დეკორატიული ფლორა. 16.05 მხ/ფ"ბესამე". 17.40 ნამორი 17.50 დებიუტი 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.20 დიდ ხარ შენ, უფალო 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ"ხევსურული ბალადა" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.20 წმინდა დიდმოწამე ეკატერინე 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მრავალთათვის საკეთილო - ერლომ ახვლედიანი 00.30 კვირიაკე 01.45 ირაო

მაესტრო 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.00, 00.00, 02.35, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 08.20, 10.30, 12.30, 13.30, 15.30, 16.30, 18.40, 05.30, 06.35 უცხოეთის ამბები. 08.30, 09.15 შალვა რამიშვილის "დილა". 11.30, 22.00, 02.15 ყოველდღიური ამბები. 14.05 მაესტროს პრესკლუბი. 17.10, 04.50 თოქ-შოუ "პირდაპირი საუბარი". 19.05, 00.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი". 19.30, 00.55 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები". 22.20, 03.10 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი".

## შაბათი 8 დეკემბერი

07.30 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 08.30 დ/ფ "კოდის კონცხი" 09.30 საბავშვო მხ/ფ "სკუბი დუ" 11.00 "ეთნოგრაფიული ნარკვევები" 11.15 "ვაკა-პედია" 11.30 საბ. ტ/სერ "მე და ჩემი მონსტრები" 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 03.40"მოამბე" 13.00 "ჩემი ოჯახი" 14.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი: "დილა" /გორი/ – "ტორპედო" /ქუთაისი/ (პ/რ)16.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური"17.00 დ/ფ "მკვლელი ვეშაპები"18.00 "ეტალონი"19.00 "გურმანია" 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 ტ/სერ "შინაგანი უსაფრთხოება"23.00 "ახალი ქართული კინო" 23.30 დ/ფ "გემლერებოდეს დედაო!" (რეჟ: ზ. ინაშვილი)01.00 მხ/ფ "ზოდიაქო" (მ.რუფალო) 04.00 მხ/ფ "ჩემი ძმა იყო" 3-4 სერ. (ტიტ.)05.50 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები"

08.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის)17.00 მხ/ფ "გზა და კავშირი" (კ. ბეიკონი) 19.00 დ/ფ"ექსტრაორდინარული ქალები" – კოკო შანელი20.00 მხ/ფ "ზამთრის ბუნიობა" I სერია (პ. უსტინოვი) 22.00 მხ/ფ "თუ დედამთილი ურჩხულია" (ჯ.ფონდა) 00.45 მხ/ფ "ჩვენი მამების დროშები" (ტიტ.)

08.00 სერ."ურჩხულებზე მონადირენი"09.00 მხ/ფ11.00 მხიარული ოჯახი (გ/ჩ) 12.00 ქ.სერ."შუა ქალაქში" 13.00 საბავშვო გადაცემა:"ორმაგი რისკი"14.00 სერ."რობინზონ კრუზოს საოცარი თავგადასავალი"15.00 ფორტ ბოიარი15.50 სერ."კაცი კოლენიოდან"17.00 სერ."გმირები – 3"18.00 სერ."მეწამული ცა"19.00 სერ."სახიფათო ვნება"20.00 ქ.სერ."ღმერთო რისი გულისთვის"21.00 სერ."მემკვიდრეები"22.00 ქ.სერ."შუა ქალაქში"23.00 ახალი ქართული ხმა01.00 ქ.მხ/ფ01.30 მხ/ფ03.20 მხ/ფ05.10 მხ/ფ06.55 მუსიკა

08.00 კურიერის დაიჯესტი08.30 MTV TEEN CRIBS 09.00 MTV ROOM RAIDERS09.30 MTV MADE10.00 გუნდი11.00 სერ."კლუბი"12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 03.00 კურიერი12.30 ბიზნეს კურიერი15.30 შერეკილები17.00 სერ."ჩემი ცოლის დაქალები" გ/ჩ18.30 საქართველოს ვარსკვლავი 22.00 სერ."ჩემი ცოლის დაქალები"23.00 სერ."მომავლის გაელვება"00.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა00.30 "Latin Angels"01.00, 03.30 მხ/ფ

09.00, 24.00 "მ-კოდი"09.30 "კვაჭი კვაჭანტირაძე"09.45, 10.45, 15.00, 17.00 "ტვ-მარკეტი"10.00 სერ. "ასა"10.30 "დიდი სანაძლეო"11.00 "პულსი" 11.20, 20.00 "ფარული კამერა"11.40, 17.40 "ბიჭები. გოგოები"12.15 "მზის დარტყმა"13.00, 22.00 "მზესუმზირა" 15.15 "ხმა საქართველოდან"15.50 "ვიდეოპირატი"16.00 სერ. "დიდი დასვენება"16.25 "საქართველოს ისტორია"17.05 "გუნდი"18.25 "სიცილი მზეზე"19.25 სერ. "ასა"20.25 "გზა ევროპისკენ" 21.15 "მზის დარტყმა"

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 შემეცნებით - დოკუმენტური ფილმი "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ"ანტიკური ქალაქები" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.50, 00.05 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 10.40 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ"ხევსურული ბალადა". 13.35 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 15.10 ოპერა-"ნაბუქო" 17.20 შეხვედრამდე ცათა სასუფეველში 17.35 სალბუნი 17.50 დებიუტი 18.10 აქტუალური თემა 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00 ძველი აფიშა 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 "კარაბადინი" 21.55 მხ/ფ"ელისო" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.10 ქართული კინოს ვარსკვლავები 01.10 მხ/ფ"მუსიკის ჰანგები" I ნაწ.

მაესტრო 07.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 01.00, 03.00, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 11.20, 12.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 21.40, 00.30, 05.20, 06.25 უცხოეთის ამბები. 09.30 კვირის არგუმენტები. 11.00, 13.05, 14.05, 16.05, 16.35 ყოველდღიური ამბები. 17.05 დოკ.ფ. 18.45 კვირის რეპორტაჟი. 20.10, 01.30 სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება. 22.00, 02.00 "პრეს-პრესი". 23.00, 03.30 "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად. 04.30 დოკ.ფ.

## კვირა 9 დეკემბერი

07.30 დ/ფ "გიკუბის რევაში" 08.30 საბ/ფ "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ" 10.00 "ეტალონი"11.00 "ჩვენი ექსპრესი" 11.30 საბ. ტ/სერ"მე და ჩემი მონსტრები" 12.00, 14.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: "ასერგასის დღე"16.30 "ჩვენი ეზო" 17.30 "ვაშინგტონი დღეს" 18.00 დ/ფ 19.00 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: ვ. მაჭავარიანი 20.00 მხ/ფ "კომიკოსები" (პ.ვილაჯო) 22.00 "სპიკერი" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.00 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: ამერიკული მუსიკა01.00 მხ/ფ "სექსი დიდ ქალაქში" (ს.ჯ.პარკერი) 03.30 მხ/ფ "ზოდიაქო" (ტიტ.) (მ.რუფალო) 06.10 დ/ფ "ჩერჩილის გამოწვევა"

08.00 დ/ფ "ექსტრაორდინარული ქალები" – კოკო შანელი 09.00 "ბრიფინგის დრო" (შაბ. გ/ჩვ.)10.00 მხ/ფ "სუპერმენის დაბრუნება" 12.50 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "მადაგასკარი"13.20 მხ/ფ "პიკის საათი-3" (ჯ. ჩანი) 14.00 დ/ფ "ქალაქები" – "ლონდონი"15.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი)18.00 მხ/ფ "ყოველთვის თქვენი დიახ" (ჯ. კერი) 20.00 მხ/ფ "ზამთრის ბუნიობა" მე-2 სერ. (პ. უსტინოვი) 22.00 მხ/ფ "მზის ჩასვლის შემდეგ" (ს. ჰაეკი) (12) 00.00 მხ/ფ "აბრეშუმი" (ტიტ.) (კ. ნაიტლი) (15

08.00 სერ."ურჩხულებზე მონადირენი"09.00 ან/ფ.11.00 ან/ფ.11.25 ბასტი ბუბუ12.00 ქ.სერ."შუა ქალაქში"13.00 მხიარული სტარტები 14.00 სერ."ჰანა მონტანა" 15.00 ფორტ ბოიარი15.25 ქ.მხ/ფ"სიყვარული ყველას უნდა"17.00 სერ."გმირები – 3"17.40 იმედის გმირები 17.55 ქ.სერ."ღმერთო რისი გულისთვის" 18.50 ცეკვავენ ვარსკვლავები 21.00 ღამის შოუ22.00 ქ.სერ."შუა ქალაქში"23.00 ქ. სერ. "ცხელი ქალი – 3"00.00 სტუმრად იუმორინასთან 01.00 მხ/ფ 03.10 მხ/ფ04.45 მხ/ფ06.35 მუსიკა

08.00 კურიერის დაიჯესტი 8.30 ანიმაცია 09.30 MTV MADE10.00 გუნდი11.00 სერ."კლუბი"12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 03.00 კურიერი12.30 დოკ.ფ (ფრაგმენტი)13.00 ეკი ვოკი15.30 შერეკილები17.00 სერ."ჩემი ცოლის დაქალები" გ/ჩ18.00 კურიერი18.30 სიცილის ზონა19.00 ყველაზე ჭკვიანი19.50 სერ."ღირსება და ამბიცია"21.00 P.S.22.00 კომედი შოუ 23.00 სერ."მომავლის გაელვება"00.00 კარდაშიანების ოჯახი01.00, 03.30 მხ/ფ

09.00, 24.00 "მ-კოდი"09.30 "კვაჭი კვაჭანტირაძე"09.45, 10.45, 15.00, 17.00 "ტვ-მარკეტი"10.00 სერ. "ასა"10.30 "დიდი სანაძლეო"11.00 "პულსი" 11.20, 19.55 "ფარული კამერა"11.40, 17.40 "ბიჭები. გოგოები"12.05 "ვიდეოპირატი"12.15, 21.20 "მზის დარტყმა"13.00, 22.00 "მზესუმზირა"15.15 "ხმა საქართველოდან"15.50 "ვიდეოპირატი"16.00 სერ. "დიდი დასვენება"16.25 "საქართველოს ისტორია"17.05 "გუნდი"18.25 "სიცილი მზეზე"19.20 სერ. "ასა"20.20 "გზა ევროპისკენ"

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ"ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 თბილისის ტაძრები 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 დილის პროგრამა "განთიადი" (კოლაჟი). 10.05, 18.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 მოკ/ფ"ბავშვები" 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.15 ერთსულოვნების სალონი 13.10 გუთნისდედა 13.40 "ჩვენი ტრაპეზი" 13.50 ქართული მულტფილმი 14.05 დოკ/ფ"ბილიკების ენა" 14.35 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 გზა, რომლითაც ვიარე 16.10 ქართული კინოს ვარსკვლავები 17.15 სღვთისმეტყველო საუბრები 17.50 დებიუტი 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 მხ/ფ"რობინზონიადა, ანუ ჩემი ინგლისელი პაპა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.40 "კვირიაკე" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.30 მხ/ფ"მუსიკის ჰანგები" II ნაწ.

მაესტრო 07.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00, 01.00, 03.00, 05.00, 06.00 ახალი ამბების კოლაჟი. 07.30, 10.35, 13.25, 15.30, 17.35, 20.45, 21.40, 23.50, 00.25, 02.45, 04.25, 05.25, 06.25 უცხოეთის ამბები. 10.00, 20.10, 23.15 ღია კარის დღე. 10.00 "პრეს-პრესი". 12.30, 13.05 აკრედიტაციის გარეშე. 14.05 დოკ.ფ. 16.05 "ჩვენ" თამარ ჩიქოვანთან ერთად. 17.05 სტუდია "მონიტორის" ჟურნ. გამოძიება. 19.00, 03.25 დისკუსია – სტუდია "რე". 22.00, 01.30 ნანა ლეჟავას კვირის რეპორტაჟი.

# ალექსანდრე ლუკაშენკო: პუტინმა ვარჯიშის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო“

„რუსეთის პრეზიდენტმა ვარჯიშის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ალექსანდრე ლუკაშენკომ, – ამის გამო დაგეგმილი საერთაშორისო ვიზიტები, ალბათ, გადაიდება“.

ბელორუსის პრეზიდენტი მისი რანგის სახელმწიფო მოღვაწისათვის უჩვეულო როლში მოგვევლინა. ის დეტალურად შეჩერდა მეზობელი ქვეყნის ლიდერის ჯანმრთელობაზე და ილაპარაკა იმ მიზეზებზე, თუ რატომ შეიძლება გადაიდოს რუსეთის პრეზიდენტის უახლოესი საერთაშორისო ვიზიტები. ლუკაშენკო დაწვრილებით შეჩერდა იმ გარემოებებზე, რომელთა შედეგადაც პუტინი დაშავდა:

– მოგეხსენებათ, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს ძალიან უყვარს სპორტი, კერძოდ კი – ძიუდო. მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე სამოცი წლისაა, ბევრს და გატაცებით ვარჯიშობს. მე ძალიან მინდოდა, მის გუნდთან ჰოკეის მატჩი გამემართა. ამას მაშინ ვაპირებდი, როდესაც პუტინი მინსკში ჩამოვიდოდა. სამწუხაროდ, ახლა ეს გადაიდო. ვლადიმირ ვლადიმიროვიჩმა სერიოზული ტრავმა მიიღო და ჰოკეის თამაშს ველარ შეძლებს“.

ლუკაშენკომ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ ამომწურავადაა ინფორმირებული ყველაფერზე, რაც მოსკოვში ხდება. ბელორუსის პრეზიდენტმა დეტალურად აღწერა გარემოება, რომლის დროსაც პუტინი დაშავდა:

– ვარჯიშისას მას სურდა, მოწინააღმდეგისათვის თავისი საყვარელი ილეთი ჩაეტარებინა, მაგრამ არ გაუმართლა და ზურგის სერიოზული ტრავმა მიიღო. როგორც ჩანს, გარკვეულწილად ხერხემალიც დაიზიანა, – განაცხადა ლუკაშენკომ.

ბელორუსის პრეზიდენტის ასეთმა განცხადებამ ექსპერტები საგონებელში ჩააგდო. რას ნიშნავს ალექსანდრე გრიგორიევიჩის ასეთი უცნაური საქციელი? რუსი ექსპერტის გრიგორი ტროფიმჩუკის აზრით, ლუკაშენკოს საქციელი კარგად გათვლილი პოლიტიკური სვლაა:

– ბელორუსის პრეზიდენტმა, მოგეხსენებათ, თავისი გეოპოლიტიკური არჩევანი უკვე გააკეთა. მან არა მხოლოდ ლიბერალიზმზე თქვა უარი. ლუკაშენკომ თავისი ქვეყნის მომავალი მთლიანად მოსკოვს დაუკავშირა.

როგორც ცნობილია, ლუკაშენკოს ინიციატივით ხელი მოეწერა რუსეთ-ბელორუსიას შორის ე.წ. სამოკავშირეო სახელმწიფოს შექმნას. მართალია, ეს ძირითადად ვერ შესრულდა, მაგრამ აღნიშნული მოვლენიდან „ევრაზიული კავშირის“ პროექტი ამოიზარდა. ბელორუსია ყაზახეთთან ერთად ამ კავშირში პირველი გაწევრიანდა. ლუკაშენკო დათანხმდა, შეეზღუდა თავისი ქვეყნის სუვერენიტეტი. ეს გამოიხატა როგორც რიგ ჰუმანიტარულ პროგრამაში (რუსულისათვის მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება, „რუსკი მირის“ სახელმწიფო იდეოლოგიად გამოცხადება, ბელორუსი გმირების უგულებელყოფა), ასევე ძირეულ დათმობებში ეკონომიკის სფეროში (რუსეთისათვის გაზის მილისა და გაზგამანაწილებელი სისტემის გადაცემა, რუსული კაპიტალისათვის გზის გახსნა). საგარეო პოლიტიკაში ბელორუსი მკვეთრი ანტიდასავლური პოზიციით გამოირჩევა: ლუკაშენკომ დაგმო ნატოს გაფართოება, იუგოსლავიის დაშლა. მას ახლო ურთიერთობა გააჩნია ისეთ ოდიოზურ ლიდერებთან, როგორებიც არიან ვენესუელის პრეზიდენტი ჩავესი ან სირიის დიქტატორი ასადი. ლუკაშენკომ საჯაროდ გამოუცხადა სოლიდარობა სადამ ჰუსეინს. სამაგიეროდ, ბელორუსის პრეზიდენტი რიგ ეკონომიკურ დათმობებს მოითხოვს. მან მიაღწია, რომ რუსეთი ფაქტიურად ინახავს ბელორუსს, რომლის ეკონომიკაც მეტწილად საბჭოური და არაეფექტურია. მოსკოვში რუსეთ-ბელორუსის გაერთიანებაზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ. ლუკაშენკო ამას წინ აღუდგა, რადგანაც ამ შემთხვევაში მისი, როგორც ფეოდალის უფლებები იზღუდებოდა.



– პუტინ-ლუკაშენკოს შორის პიროვნული შეუთავსებლობა სწორედ ამ ნიადაგზე წარმოიშვა, – თვლის რუსი ექსპერტი ტროფიმჩუკი.

თავად ალექსანდრე გრიგორიევიჩს, როგორ ჩანს, ძალზე აწუხებდა ის ფაქტი, რომ პუტინთან ურთიერთობები ვერ აეწყო. რუსეთის პრეზიდენტის საქციელი, ის, რომ რუსეთი ჩალის ფასად ცდილობს ბელორუსული სიმდიდრეების ხელში ჩაგდებას, პუტინთან ურთიერთობების დალაგებას ნამდვილად ხელს უშლიდა. რუსების საქციელი იმდენად უბოდიშო იყო, რომ თვით ლუკაშენკოც კი იძულებული ხდებოდა, გარკვეული კონტრგანცხადებები გაეკეთებინა. მოსკოვში ამით ღიზიანდებოდნენ. კრემლის პოზიციაც ჩვეულებისამებრ ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გააჟღერა:

– ზოგიერთები რუსეთისადმი უმადურობას იჩენენ. ჩვენ მათ ვაჭმევთ, ისინი კი სხვაგან იყურებიან!

ლუკაშენკოს, როგორც ჩანს, ეს გულზე მოხვდა. ბელორუსის ლიდერიც მოხერხებულ მომენტს უცდიდა, როცა ცხადლივ დაუმტკიცებდა კრემლს, რომ მისი ერთადერთი საიმედო მოკავშირეა. ასეთი მომენტი დადგა დღეს, როცა უკრაინაში ჩატარებული არჩევნების შედეგად ამ ქვეყნის ევრაზიულ კავშირში შესვლა ჩაიშალა. თვით რუსი პოლიტოლოგებიც კი აღიარებენ, რომ 2015 წლამდე უკრაინის ევრაზიულ კავშირთან მიერთება შეუძლებელია.

– ნაციონალიზმი დღევანდელ უკრაინში პოპულარულია. ახლად არჩეულ პარლამენტშიც ძლიერი, გავლენიანი საყრდენის გამოძებნა გაძნელდება, – თვლის პოლიტოლოგი მარკოვი, – ევრაზიულ კავშირთან უკრაინის შეერთებაზე 2015 წლამდე საუბარი უნაყოფოა. ამ ქვეყნის მიმართ ალბათ სხვა სქემა უნდა გამოვიყენოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უკრაინაში პრორუსულად განწყობილი მთელი რეგიონებია, რაც ალბათ უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე პრორუსულად განწყობილი ლიდერები.

კიევთან ურთიერთობების გართულების ფონზე (პრაქტიკულად ვერ განხორციელდა ვერც ერთი პროექტი, რაც რუსეთ-უკრაინის დაახლოებისაკენ იყო მიმართული) ლუკაშენკომ კრემლს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ მისი ერთადერთი საიმედო მოკავშირეა. საბაბი კი პუტინის ტრავმა გახდა. საქმე ისაა, რომ უახლოეს მომავალში ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი ინდოეთში ჩასვლას გეგმავს. პაკისტანური დიპლომატიის აქტიურობის შედეგად რუსეთის პრეზიდენტი ისლამაბადში ჩასვლასაც დათანხმდა. შეიქმნა ფრიად უხერხული ვითარება. დელიში რუსეთის პრეზიდენტი სწორედ პაკისტანიდან უნდა ჩასულიყო.

– ის, თუ როგორი „მეგობრული“ ურთიერთობებია ინდოეთსა და პაკისტანს შორის, ყველამ ვიცით. თუკი პუტინი დელიში პირდაპირ პაკისტანიდან ჩავიდოდა, ეს ინდოელებს ძალზე გაანაწყენებდა. ამავე დროს, არც პაკისტანელებისათვის უარის თქმა შეიძლებოდა. აუცილებელი იყო რაიმე ზრდილობიანი საბაბი, რათა პაკისტანში ვიზიტი ოდნავ გადადებულიყო, – თვლის რუსი ექსპერტი ტროფიმჩუკი.

ამის გახმოვანება კი ბელორუსის პრეზიდენტმა იკისრა. ამით მან კიდევ ერთხელ შეახსენა მოსკოვს, რომ მისი საუკეთესო მეგობარი და მოკავშირეა.

– ლუკაშენკოს სურს, დარჩეს რუსეთის სატელიტად, მიაღწიოს კიდევ უფრო მეტ ეკონომიკურ დათმობებს, მაგრამ თავიდან აიცილოს რსფსრ-ს შემადგენლობაში შესვლა, რისი საფრთხეც უკვე ნათლად გამოიკვეთა, – თვლის ტროფიმჩუკი.

რუს დათვთან მეგობრობა სახიფათოა, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც ბელორუსია. მართლაც რუსეთ-ბელორუსის გაერთიანებისათვის თითქოს ყველა პროცედურა ჩატარდა. რუსული კაპიტალი ჩალის ფასად ეუფლება ბელორუსის სტრატეგიულ ობიექტებს (განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში), რუსულმა ენამ კი ბელორუსული პრაქტიკულად მეორე პლანზე გადასწია. პარლამენტისა თუ მთავრობის სხდომები რუსულად მიმდინარეობს, რუსული დომინირებს არმიაში, უშიშროებაში, ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში. რუსულენოვანია განათლება, სახელმწიფოს იდეოლოგია კი „რუსკი მირის“ იდეოლოგიურ პლატფორმაზე შეიქმნა, რომელიც „სლავურ ერთობას“ ქადაგებს. ჩატარებულია რეფერენდუმიც, რომლის ძალითაც მოსახლეობის უმრავლესობამ რუსეთ-ბელორუსის „სამოკავშირეო სახელმწიფოს“ შექმნას მხარი დაუჭირა (თუმცა საერთაშორისო საზოგადოებამ არ ცნო).

– ჩემი მიზანია, რუსეთთან ისეთი ურთიერთობები ჩამოვაყალიბო, როგორიც საბჭოთა პერიოდში სსრკ-სა და მონღოლეთს შორის იყო, – განაცხადა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე ლუკაშენკომ, – ევროპა ჩვენთვის უცხო და მიუღებელია, თუმცა რუსეთთან მეგობრობა იმას როდი ნიშნავს, რომ რსფსრ-ს ნაწილი უნდა გავხდეთ.

კრემლში ასეთი პოზიცია ბევრს აღიზიანებს. თუკი ჟირინოვსკი ხმამაღლა აცხადებს, რომ „რუსები, უკრაინელები და ბელორუსები ერთ სახელმწიფოში უნდა ცხოვრობდნენ“, სხვები ამის დეკლარირებას არ ახდენენ, თუმცა ამისაკენ მისწრაფვიან. უწინარეს ყოვლისა, ეს, რასაკვირველია, ვლადიმირ პუტინს ეხება. ამავე დროს, საერთაშორისო იზოლაცია, რომელშიც ბელორუსი მოექცა, ლუკაშენკოს მანევრირების საშუალებას უზღუდავს. ბელორუსის პრეზიდენტიც იძულებულია, ძირითადად მხოლოდ პუტინთან დიალოგის ურთიერთობებით შემოიფარგლოს, დაარწმუნოს, რომ „მონღოლური ვარიანტი“ რუსეთ-ბელორუსს შორის ურთიერთობის საუკეთესო მოდელია. საამისოდ მან პუტინის ვარჯიშის დროს მიღებული ტრავმაც გამოიყენა.

შეძლებს თავისი მიზნების მიღწევას ბელორუსის პრეზიდენტი?

**ნიკა თევზაძე**


## განცხადება

**ნოტარიუსი ნათელა გაგაძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს ქ.თბილისში, ქ.წამებულის ქ.№92-ში, პირველ სართულზე, გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება 1944 წლის 15 აპრილს გარდაცვლილი პრაკოფი კარალოვის დანაშთ სამკვიდრო ქონებაძე, კერძოდ, უძრავ ქონებაზე, საცხოვრებელ სახლზე, თავისი კუთვნილი მიწის ნაკვეთით, მდებარე: ქ.თბილისი, ბაბისხევის ქ.№7ა-ში.**

**მემკვიდრეებს, რომელთაც პრეტენზია გააჩნიათ ზ/აღნიშნულ უძრავ ქონებაზე და სამოქალაქო კოდექსის თანახმად ითვლებიან 15.04.1994 წ. გარდაცვლილი პრაკოფი კარალოვის მემკვიდრეებად, გთხოვთ მიმართოთ ნოტარიუს ნათელა გაგაძეს, რომლის სანოტარო ბიუროც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, ქ.წამებულის ქ.№92-ში, პირველ სართულზე.**


## ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

### გამოსათხოვარი

უდიდესი დანაკლისი განიცადა შპს „მჭევრის“ დამოუკიდებელი ბიზნეს სკოლის პედაგოგიურმა საზოგადოებამ. გარდაიცვალა

**დოდო (დარეჯან) მაისურაძე**

ქალბატონი დოდო შემკული იყო იმ ღირსებებით, ცოდნით, კეთილშობილებით, სათნოებით, სიყვარულით, ნიჭიერებით, რომელიც ღვიოდა, იღვწოდა და ყოველდღიურ სიცოცხლეს იძენდა და გრძელდებოდა ათასობით მოზარდში, რომელსაც წლების მანძილზე ემსახურებოდა.

მან საგანმანათლებლო სისტემაში დაიმკვიდრა ღირსეული პედაგოგის სახელი, იგი სიყვარულს იმკიდა მოსწავლეებში, მათ მშობლებში, იმ სამეგობროში, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო.

ძნელია, დოდო, უშენოდ შენი სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების ყოფნა.

ყველასათვის ელდა იყო შენი უეცარი გარდაცვალება. ალბათ მოუშუშებელი იქნება ის იარა, რომელიც ასე ნაადრევად შენმა წასვლამ დაგვიტოვა.

დოდო, ჩვენო კარგო, საყვარელო მეგობარო, შენი ლამაზი სული გაგრძელებას იპოვის შენს ძვირფას ოჯახში, შვილებში, შვილიშვილებში, რომლებითაც ასე ამაყობდი, რომლებსაც მართლა დააკლდები.

მარად სასუფეველში იქნები, შენთვის ვილოცებთ.

უკანასკნელად გეთხოვება და გაცილებს მარადიულ გზაზე შენი ბიზნეს სკოლის პედაგოგები და მოსწავლე-ახალგაზრდობა.

ქ.სოხუმის I საშუალო სკოლის 1966 წლის კურსდამთავრებულები მწუხარებით თანაუგრძნობენ თანაკლასელს, მურმან გაგუას ძმის, შესანიშნავი არქიტექტორის, პიროვნული თვისებებით გამორჩეული ღირსეული სოხუმელის

**გივი გაგუას**

გარდაცვალების გამო.

გამოსვენება: 1 დეკემბერს, 14 საათზე, წმ.ანტონ მარტყოფელის ეკლესიიდან.


ცფვუქჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბპჰბც უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8


## h3xცეხ3ლბ ,



***შვეულად***: 1. თურქული აბანო; 2. ოქროქსოვილის ძველი ქართული სახელწოდება; 3. ფასიანი ქაღალდების გასაყიდ და საყიდ ფასებს შორის სხვაობა; 5. ხორვატიის კუნძული ადრიატიკის ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 6. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 8. წვრილი წვნიანი ნაყოფის მქონე ბუჩქოვან მცენარეთა საერთო სახელწოდება; 11. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 13. უმაღლესი პილოტაჟის ფიგურა; 14. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 15. მონასტერი ქსნის ხეობაში; 19. ცხვრის, ხბოს ტყავისგან დამზადებული ღვინის შესანახი ჭურჭელი.

***თარაზულად***: 1. ბეჰემოტის მეორე სახელწოდება; 4. რადიოს ერთ-ერთი გამომგონებელი იტალიელი რადიოტექნიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 9. მე-14 საუკუნის საფრანგეთის გლეხთა აჯანყების სახელწოდება; 10 სამატომიანი ჟანგბადი; 12. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 16. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 17. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 18. წვრილად დაჭრილი და ერთმანეთში არეული ბოსტნეულით მომზადებული ცივი საუზმეული; 20. სარწმუნოება ანუ ...; 21. ტბა თბილისში; 22. პოპულარობის მაჩვენებელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## ობყფ ყჯვტ3იბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ h3xცეხ3ლტ,ბც გფცეĮტ,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ჰონოლულუ; 2. სალდო; 3. გუჯაბიძე; 4. „დინამო“; 7. ამური; 9. ეთიკა; 12. ადრენალინი; 14. სენსეი; 15. აზიმოვი; 17. არქტიკა; 20. ნუჟრი.

**თარაზულად**: 5. მონბლანი; 6. იღუმენი; 8. ბოდრუმი; 10. მარჩვიბი; 11. „ალგეთი“; 13. ავენიდა; 16. „სარბიელი“; 18. კრინი; 19. წინდა; 21. ხუცესი; 22. ავლაბარი; 23. კანკანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. პუშერი; 2. რიკოთი; 3. იფქლი; 5. გემა; 6. თაგორი; 8. მორენო; 11. აბსოლუცია; 13. მუტრუკი; 14. ქანქარა; 15. ხითხითი; 19. იორი.

**თარაზულად**: 1. პოლიქრომია; 4. გოლგოთა; 7. შინჯუკუ; 9. ლაკოსტა; 10. თართი; 12. კრეისერი; 16. ბოლივუდი; 17. ეტალონი; 18. აქუბარდია; 20. „იაგუარი“; 21. პიცა; 22. კოსტიოლი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 dekemberi

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6623 |
| ევრო | 2,1246 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5779 |
| რუსული რუბლი | 0,0512 |

**ამინდის პროგნოზი 1 დეკემბრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 20–21, ღამით — 15–17.
დასავლეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 21–23, ღამით — 16–17
სამხრეთ საქართველო: დღისით ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით წვიმა, დღისით — 16–17, ღამით — 7–8





## 3 დეკემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

# წმინდანთა ცხოვრება

## ტომი 2






# მალე!

## „ახალ თაობასთან“ ერთად

# ბიბლია ოქროს ხანა

## სამტომეული


## იაპონიის პრემიერ-მინისტრმა რუსეთში ვიზიტი პუტინის ჯანმრთელობის გამო გადადო



იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ესიხიკო ნოდამ რუსეთში დაგეგმილი ვიზიტი გადადო. მისი პრესმდივნის განცხადებით, „ვიზიტის გადადება ვლადიმერ პუტინის ჯანმრთელობის მდგომარეობამ გამოიწვია“.

მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვლადიმერ პუტინმა ხერხემალი დაიზიანა. „როიტერის“ ინფორ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე





## 10 დეკემბრიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

# „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორიის“

## ოთხტომეულის მე-4 ტომი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


## h3xცeх3eb ფ

***შვეულად***: 1. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 2. სცენის გასანათებელი მოწყობილობა თეატრში; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 4. ქართული მინერალური წყალი; 7. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 9. ოსური ცეკვა; 12. ორთქმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. საფრანგეთის პრეზიდენტი; 15. უმაღლესი სათათბირო ორგანო, სამეფო საბჭო ფეოდალურ საქართველოში; 17. ულტრანაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი.

***თარაზულად***: 5. ბუნებრივი ნაკრძალი აღმოსავლეთ საქართველოში; 6. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული საშობაო კერძი ბრიტანეთში; 8. გამოქვაბულებში, მიწისქვეშეთში, ნაპრალებში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. განუხორციელებელი ოცნება, იმედი; 13. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-სცენური ნაწარმოები; 16. გერმანიის პირველი იმპერატორი; 18. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება ბიჭვინთაში; 19. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 21. ზღვისპირა კურორტი ოჩამჩირის რაიონში; 22. ათკაპიკიანი მონეტის ძველი ქართული სახელწოდება. 23. ირლანდიის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## ბაჩანა ცხადაძე აზერბაიჯანში ორ ტიტულს უმიზნებს



ბაქოს „ინტერის“ ქართველი ფორვარდი ბაჩანა ცხადაძე აზერბაიჯანის ჩემპიონატში შედეგიანად თამაშობს. მისი გუნდიც, რომელსაც მამამისი, კახა ცხადაძე წვრთნის, პოტენციური ლიდერია ცხრილში და ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტადაც ითვლება. „ინტერსა“ და გიორგი ჩიხრაძის გაწვრთნილ „სიმურგს“ თანაბარი ქულები აქვთ. „ინტერმა“ ბოლო ტურში კონკურენტთან წააგო. ერთია, ცხადაძის გუნდს ერთი თამაშით ნაკლები აქვს ჩატარებული. გეტყვით იმასაც, რომ ჩიხრაძე გასულ სეზონში სწორედ ცხადაძის თანაშემწედ მუშაობდა „ინტერში“.

დავუბრუნდეთ ბაჩანას, რომელთან ინტერვიუც აზერბაიჯანულ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— ბოლო ტურში „სიმურგთან“ წააგეთ. რა იყო ამის მიზეზი?***

— რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის არყოფნა დაგვეტყო. ამასთან, ვალერი აბრამიძე პირველ ტაიმში დაშავდა

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## fcnhjghjuyjpb

### 1 დეკემბერი _ ზედმეტად ნუ იაქტიურებთ

**ვერძი** — ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ, იმაზე მეტს ნუ მოინდომებთ, რაც დაშვებულია. **კურო** — არ გაფლანგოთ ფული, ზომიერად დახარჯეთ. **ტყუპები** — ყურადღების ცენტრში ხართ, გააკონტროლეთ თავი. **კირჩხიბი** — იაქტიურეთ, მაგრამ ზომიერად. **ლომი** — ახალ ცხოვრებას იწყებთ, მაინც ფრთხილად იყავით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, დაისვენეთ. **სასწორი** — არ აყვეთ სხვებს, არ გარგებთ. **ღრიანკალი** — მეგობრები დაგეხმარებიან და პრობლემას მოგიგვარებენ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, წადით მეგობრებთან. **თხის რქა** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, დაფიქრდით. **მერწყული** — საქმის გარჩევას ნუ შეეცდებით, მაინც არაფერი გამოვა. **თევზები** — საკუთარ თავს დაეყრდენით, პასუხს ნურავის აგებინებთ.

### 2 დეკემბერი _ საინტერესო დღეა

**ვერძი** — ახალ ამპლუაში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **კურო** — ყურადღებას ნამდვილად იმსახურებთ, თქვენ ეს მოგწონთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ, გაერთეთ, რაც გსურთ, ის აკეთეთ. **ლომი** — დიდი წარმატებაა მოსალოდნელი, გაოცებული ხართ. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — ცხოვრება გეცვლებათ, გახარებილი ხართ. **ღრიანკალი** — ახალი შემოთავაზება მსუყე ლუკმა აღმოჩნდება. **მშვილდოსანი** — თავს მიხედეთ, გადაიხალისეთ გარდერობი. **თხის რქა** — ფული გაქვთ, არც პრობლემები გაწუხებთ. **მერწყული** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თევზები** — საქმეს ბოლომდე მიიყვანთ, პრობლემას ადვილად გადაჭრით.

უბცე3ed,ს ,ტღყბტ3 ცქტც=